ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali Taoba
## შაბათი-კვირა

19 — 20 თებერვალი, 2011 №42 (5423) ფასი: 30 თეთრი

სტივენ სიგალი — თეთრი სამურაი



გვ.9

გვ.16

ასტროპროგნოზი

TV პროგრამა



# თმა ცოლის მოყვანის შემდეგ დამცვივდა

გვ.4

რატომ დაანება ჯონდი ბაღათურიამ წყალბურთს თავი



გვ.6

# „ბექუაშვილების სასახლის გადალების დროს დაცვა ფოტოების წაშლას მთხოვდა“

„ორ კვირაში ახალ გამოფენას მოვაწყობთ“



# ერევნის „არარატი“ უმაღლეს ლიგაში სვანებმა გადაიყვანეს

ვან ბაიბურთი შეი ლება რუსეთსა და ისრაელს შორის კონფლიქტის დაწყების მიზეზი გახდეს



გვ.5

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



გვ.12

# ხალხის ხარჯზე ნაშოვნი ფული არავის არ შერჩება

გახდება თუ არა ბენდუქი ე მეორე ბადრი პატარკაციშვილი

# ირაკლი ჩარკვიანი ჩემთვის მარტო ქმარი არ იყო

გვ.8

როგორია ცხოვრება მის გარეშე

ISSN 1987-9385



## კვირის ქრონიკა



გვ.2

# თბილისში წყლის ტარიფი უკანონოდ გაიზარდა

რესპუბლიკურმა პარტიამ თბილისის წყალთან დაკავშირებით დაიწყო საქართველოს მთავრობას, თბილისის მერიასა და წყალმომმარაგებელ კომპანია „მულტი ფლექს ენერჯილიმითედს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების დეტალების გახმაურება, საიდანაც ირკვევა, რომ თბილისში წყლის გადასახადი უკანონოდ გაიზარდა.




რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ხელშეკრულების მეთერთმეტე მუხლში გარკვევით წერია, 2011 წელს წყლის გადასახადი 2,95 ლარი უნდა ყოფილიყო და არა ის თანხა, რომელსაც დედაქალაქის მოსახლეობა დღეს იხდის. იმავე მუხლის თანახმად, თბილისში წყლის გადასახადი 2012 წელსაც 2,95 ლარით უნდა განისაზღვროს, ხოლო 2014 წელს 3,3 ლარი უნდა შეადგინოს.

დედაქალაქის მოსახლეობა წყალზე სულადობის მიხედვით გადასახადსაც უკანონოდ იხდის. ამასთან, უკანონოა მრიცხველის დამონტაჟებისთვის გადასახადის მოთხოვნა. საქართველოს მთავრობა და თბილისის მერია კი ამ ხელშეკრულებას ასაიდუმლოებენ, რადგან სახეზეა მათი მხრიდან ჩადენილი დანაშაული.

— ხელშეკრულების თანახმად, წყლის გადასახადზე ტარიფი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაძვირებულიყო, თუ დედაქალაქის მასშტაბით ელექტრონერგიის გადასახადიც გაძვირდებოდა. თუმცა, როგორც ვიცით, ასეთი რამ არ მომხდარა. შესაბამისად, თბილისის მოსახლეობას წყლის ტარიფის გაზრდის გადასახადს უკანონოდ ახდევინებენ, — განაცხადა ხიდაშელმა.

ხიდაშელი გვპირდება, რომ რესპუბლიკური პარტია აღნიშნული ხელშეკრულების დეტალებსა და ხელისუფლების მიერ მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებებს საზოგადოებას მომავალშიც გააცნობს.

# ბაღაფში კოკოითის გზას დაადგა

მშობლიური ოპოზიციის მტკიცებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებიდან წასვლას არ აპირებს. მართალია, მას საპრეზიდენტო ვადა 2013 წელს ეწურება, მაგრამ ის უკვე 2015 წელზე ფიქრობს. ეს თარიღი მან საეჭვოდ



ახსენა და ოპოზიციას გულს შემოეყარა. პრემიერად მოსვლას რომ აპირებდა, ყველას სჯეროდა. ახლა კი უკვე იმას შიშობენ, რომ სააკაშვილი პრეზიდენტად მესამე ვადითაც დარჩეს. ეს პარლამენტი პრეზიდენტს ყველაფერს უმტკიცებს და რა გასაკვირია, მესამედ კენჭისყრის უფლებაც რომ მისცეს.



ჩვენი პრეზიდენტის მსგავსად მხოლოდ ორი ვადით აქვთ პრეზიდენტობის უფლება კოკოითისა და ბაღაფშს. კოკოითის პრეზიდენტობა ნოემბერში მთავრდება. ათიოდე დღის წინ კოკოითიმ საჯაროდ დადო პირობა, მესამე ვადით კენჭს აღარ ვიყრიო. სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის თანახმად, ერთსა და იმავე პიროვნებას მხოლოდ ორჯერ აქვს უფლება, პრეზიდენტის პოსტი დაიკავოს.

ოსი უხუცესები აპირებდნენ, კოკოითისთვის მესამე ვადაც გაეჩალიჩებინათ. მაგრამ კოკოითიმ თქვა, მე ჩემს კონსტიტუციას პატივს ვცემ და მის შეცვლას არ ვაპირებო.

კონსტიტუციის მიმართ პატივისცემა ამ კვირაში სერგეი ბაღაფშმაც დაადასტურა და პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე რამდენიმე წლით ადრე საგანგებო განცხადება გააკეთა.

ამ კვირაში ბაღაფშმა თავის ადმინისტრაციაში ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა. სწორედ იქ განაცხადა, რომ მესამე ვადით პრეზიდენტობას არ აპირებს. ამასთან, ბაღაფშმა ისიც დაამატა, ხანგრძლივი დროით არ შეიძლება ერთი და იგივე პირი ხელისუფლების სათავეში იყოს.

# ნოღაიდელი ახალ საგადასახადო კოდექსს წერს

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ მისმა ყოფილმა თანაპარტიელებმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. ისინი ნოღაიდელისაგან ძველი ვალების გასტუმრებას ითხოვენ. ნოღაიდელი ფულის გადახდას არ აპირებს და, როგორც მის ახალ პარტიაში ამბობენ, სამომავლო საქმეებით არის დაკავებული.



ამ სამომავლო საქმეს კი ახალი საგადასახადო კოდექსი ჰქვია. როგორც ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, ახალი კოდექსის შექმნაში მონაწილეობას მიიღებს ამ სფეროს მრავალი ექსპერტი და ახალი კოდექსი განსახილველად საზოგადოებას მომდევნო არჩევნებამდე წარედგინება.

ნოღაიდელის თქმით, ახალი საგადასახადო კოდექსის შექმნა დღის წესრიგში იმიტომ დადგა, რომ, მისი პროგნოზით, გაზაფხულზე საქართველოში ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება.

— საქართველოში არსებული ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის რეკეტი, რომელსაც ხელისუფლება ბიზნესზე ახორციელებს. ამის საშუალებას კი ხელისუფლებას დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი აძლევს. ლიბერალური საგადასახადო კოდექსი ყოველთვის არის ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეკონომიკურმა კრიზისმა და ინფლაციამ შესაძლოა მონეტარული სტაბილურობაც კი დააყენოს კითხვის ნიშნის ქვეშ, — განაცხადა ნაპრემიერალმა.

# იგორ გიორგაძე გააქტიურდა

უკვე კარგა ხანია ხელისუფლება იგორ გიორგაძით გვაშინებს. 1995 წელს პრეზიდენტ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ გიორგაძე საქართველოდან გაიქცა.

იმ დღიდან მოყოლებული ჯერ მოქკავშირლები და ახლა კიდევ ნაციონალები სულ მისი ჩამოსვლით გვემუქრებიან. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გიორგაძე ყოველთვის არ არის სახიფათო. ის ბუა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ოპოზიცია აქტიურდება.

ბოლოს გიორგაძით 2009 წელს შეგვაშინეს, მერე კი, როცა ოპოზიცია ჩაკვდა, უშიშროების ექს-მინისტრი აღარავის გახსენებია.

ცოტა ხნის წინ იგორ გიორგაძის სახელი ისევ აქტუალური გახდა.



გავრცელებული ცნობებით, ის ხან ერთ, ხან მეორე ოპოზიციურ ძალასთან აწარმოებს კონსულტაციებს. ეს ოპოზიციური პარტიები ნამინისტრალთან ყოველგვარ კავშირს უარყოფენ.

ჩვენებური „ბენ ლადენით“ ამ დღეებში რუსული მედიაც დაინტერესდა. რუსულ გამოცემასთან საუბარში გიორგაძეს თავისი გეგმები სრულად არ გაუმხელია. სამაგიეროდ ოპოზიციას მისცა რჩევები.

მან ინტერვიუში განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ქართული ოპოზიციის საღად მოაზროვნე ლიდერები გაერთიანებასა და მოსახლეობის შეკრებას, კონსოლიდაციას შეძლებდნენ.

— ოპოზიციას ქმედითი ნაბიჯების გადადგმა რომ შეეძლოს, საქართველოში პრობლემების გადასაჭრელად ტუნისისა და ეგვიპტის მსგავსი სცენარის განვითარება საჭირო არ იქნებოდა, — აღნიშნა გიორგაძემ.

მისი თქმით, ოპოზიციამ ხელისუფლების შეცვლას დემოკრატიული და მშვიდობიანი გზით უნდა მიაღწიოს.

# ისრაელმა საქართველოში თავისი საელჩო დახურა

ერთი კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ ისრაელმა საქართველო სახიფათო ქვეყნების სიაში შეიყვანა. ამ ცნობამ ჩვენი ნაციონალები ძალიან გააბრაზა, ერთი კვირის თავზე კი ცნობილი გახდა, რომ ისრაელმა საქართველოში თავისი საელჩო დახურა.

ირანულმა საინფორმაციო სააგენტომ გამოქვეყნა ისრაელის დიპლომატიური მისიების ნუსხა, რომლებიც ქვეყანამ ტერაქტების საშიშროების გამო დახურა.



გამოცემის ინფორმაციით, საელჩოები დროებით დაიხურა თურქეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ვენესუელაში, მავრიტანიასა და კოტ დივუარში.

ოფიციალური ვერსიით, ტერაქტების საშიშროება ჰესბოლას ერთ-ერთი ლიდერის იმადა მარნიის გარდაცვალების წლისთავს უკავშირდება.

მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასეთი ნაბიჯის გადადგმისთვის უკვე ემზადებოდა, თუმცა, მთავრობის გადაწყვეტილებით, მაშინ ქვეყანათა სია არ გამოქვეყნებულა.

საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, საელჩოს მუშაობა ტექნიკური მიზეზების გამოა შეფერხებული და ის საქმიანობას ორშაბათიდან განაახლებს.

# სააკაშვილმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ქვების გროვად მოიხსენია

ჩვენი პრეზიდენტი მშობლიურ ოპოზიციას სალაპარაკოს არ ულევს. მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები ოპოზიციას ძალიან ანერვიულებს. ამჯერად ჩვენი ოპოზიცია სააკაშვილის ინტერვიუს გამო აღშფოთდა.

ეს ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა ინგლისურ გამოცემას მისცა, სადაც მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ქვების გროვაა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ამ განცხადების გამო ქართველმა ხალხმა პრეზიდენტ სააკაშვილს პასუხი უნდა მოსთხოვოს.

ამ მოსაზრებას იზიარებს ოპოზიციის დიდი ნაწილი. სამაგიეროდ ნაციონალები უყურებენ ამ საკითხს სხვანაირად. მათი მტკიცებით, პრეზიდენტის განცხადებას გაგება უნდა და თურმე სააკაშვილს ცუდი არაფერი უთქვამს.

მათი მტკიცებით, აფხაზეთი და სამაჩაბლო ქვების გროვა იქნება მანამდე, ვიდრე იქ რუსული ტანკები დგას.

# მატარებლით მგზავრობა გაძვირდა

საქართველოში ცხოვრება ძალიან გაძვირდა. ამ მხრივ უკან არც საქართველოს რკინიგზას დაუხევია და მატარებლით მგზავრობაც გაძვირდა. მატარებლით მგზავრობის გაძვირების გამო ქართველმა ლეიბორისტებმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს.




პარტიის ერთ-ერთ ლიდერ სოსო შატბერაშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ქართველი ხალხის წინააღმდეგ კიდევ ერთი მძიმე გადაწყვეტილება მიიღო — გააძვირა მატარებლით მგზავრობა.

შატბერაშვილი მატარებლით მგზავრობით გაძვირებას „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას მიერ თავისი მოადგილეებისთვის საახალწლოდ პრემიების სახით 200 ათასი ლარის დარიგებას უკავშირებს.

— ირაკლი ეზუგბაიამ თავის მოადგილეებს პრემიების სახით ჯამში 1 მილიონი ლარი გადასცა და სწორედ ეს პრემიები გადადის ახლა ჩვენს კისერზე. ეს ყველაფერი მგზავრობის ტარიფებზე აისახა, — განაცხადა შატბერაშვილმა.

მისი თქმით, მატარებლით მგზავრობის გაძვირება პროდუქტის ფასებზეც აისახება, რადგან თბილისში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან პროდუქტები სწორედ ამ რკინიგზით შემოდის.

— ამიერიდან, როგორც ბატონმა პრეზიდენტმა განაცხადა, იაფი ტარიფებისა და ფასების დრო წარსულს ჩაბარდა. მის სიტყვებს ამტკიცებს გაძვირებული ტარიფები. მატარებლის ბილეთის ღირებულება დაახლოებით 20-30% პროცენტით გაიზარდა და, რაც ყველაზე მთავარია, ეს დაეტყობა პროდუქტების ფასებს, რომელიც ისედაც გაძვირებულია, — განაცხადა პარტიის გენერალურმა მდივანმა.

ლეიბორისტული პარტია მოუწოდებს კონტროლის პალატას, შევიდეს რკინიგზის დეპარტამენტში, გაარკვიოს იქ არსებული კორუფციული სქემები და ტარიფები დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს თავის პირვანდელ ღირებულებას.

ლეიბორისტების ბრალდებებს გამოეხმაურნენ „საქართველოს რკინიგზაში“. ისინი მგზავრობის გაძვირებას კატეგორიულად უარყოფენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ბოკერიას შექმნილი უსაფრთხოების კონცეფცია სახიფათოა

შორენა კოწოწაშვილი

**გიგა ბოკერიას ინიციატივით შექმნილ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას ყოფილი დეპუტატი მამუკა გიორგაძე საკმაოდ საფრთხის შემცველ დოკუმენტად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ბოკერიამ ამ კონცეფციაში რუსული ინტერესები გაატარა. მამუკა გიორგაძე შიდა კლანური დაპირისპირებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ბოკერია-ხამიშვილ-ბენდუქიძის პოლიტიკური დაჯგუფება სააკაშვილის მემკვიდრეობაზე აცხადებს პრეტენზიას და ერთიანდებიან თავიანთი ვერაგული პოლიტიკური ზრახვების განსახორციელებლად. ეს ხალხი ლიბერალური ქოლგის ქვეშ ერთიანდება, სინამდვილეში კი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობენ.**



გთავაზობთ ინტერვიუს სახალხო პარტიის ლიდერ **მამუკა გიორგაძესთან.**

***— ბატონო მამუკა, შესაძლოა, ქვეყანაში იგივე გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, ვითარება ისე დაიძაბოს, რომ ეგვიპტის სცენარი გამეორდეს? ექსპერტების ნაწილი ამას გამორიცხავს.***

— საქართველოში ძალიან მძიმე ვითარებაა, გამომდინარე იქიდან, რომ, პრაქტიკულად, დღესდღეობით ამ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფო არ არსებობს. არ არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტები. გარეგნულად თითქოს ყველაფერია. გვყავს პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, მედია და ა.შ., მაგრამ, პრაქტიკულად, ეს ჯგუფები ინსტიტუციონალურად არ ფუნქციონირებენ, სახელმწიფოებრივ ფუნქციას არ ასრულებენ. ეს, უბრალოდ, არის ერთი კლანის ან კლანთა ერთობლიობის ინტერესების გამომხატველი. აქედან გამომდინარეა, რომ ჩვენ ვიმყოფებით ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე. პრაქტიკულად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტი და არა სუბიექტი. ამიტომ ყველა ჩვენზე ზრუნავს, ყველა ფიქრობს ჩვენზე. ყველა ფიქრობს, რა მიიტაცოს ამ ზრუნვის სანაცვლოდ საქართველოდან. შესაბამისად, ხელს უწყობენ, რომ საქართველოში ასეთი ხელისუფლება არსებობდეს. სამწუხაროდ, ჩვენ არა ვართ სუბიექტი.



ჩვენ არ გვყავს ჩვენი ინტერესების გამომხატველი ხელისუფლება. ერი ვერ ჩამოყალიბებულა თავის ძირითად ღირებულებებსა და მაგისტრალურ პოლიტიკურ მიმართულებებზე. გამომდინარე აქედან, ყოველ წუთს შესაძლებელია ნებისმიერი უცხო ძალის მიერ ნებისმიერი ქმედების განხორციელება. თვითონ ის ფაქტი, რომ საქართველო სხვა ქვეყნებს შორის საჯილდაო ქვად იქცა, ამის ნათელი გამოხატულებაა, ხოლო სააკაშვილის რეჟიმი მხოლოდ ერთი მიმართულებით ფიქრობს: ამ ჯილდაობის დროს როგორმე არ დაკარგოს ძალაუფლება, კეთილდღეობა და პირადი კომფორტი. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლება სხვა არაფერზე ფიქრობს.

***— თქვენ საქართველოზე სხვა ქვეყნების მხრიდან ზრუნვა ახსენეთ. ამ ზრუნვით აიხსნება ამერიკაში გაკეთებული განცხადებები ანტისარაკეტო სისტემების საქართველოში განთავსებასთან დაკავშირებით? თუნდაც მაკკეინის განცხადება ავიღოთ, რომლის თანახმადაც, ის ლობირებას გაუწევს საქართველოში თავდაცვითი იარაღის შემოტანას.***

— რაც შეეხება ზრუნვას, ბუნებრივია, ეს ზრუნვა გამომდინარეობს ყველა ქვეყნიდან საკუთარი ინტერესების დასაცავად. ისინი საკუთარ ინტერესებს იცავენ საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო ჩვენთან ღია კარის პოლიტიკაა და, ფაქტობრივად, მთლიანად კორიდორის ამპლუაში ვართ. რაც შეეხება მაკკეინის განცხადებას და თავდაცვითი შეიარაღების განლაგებას საქართველოს ტერიტორიაზე, ბუნებრივია, ამ განცხადებას მივესალმებით. უბრალოდ, პრობლემა ისაა, რომ პირველი: საქართველოს ჰყავს ისეთი ხელისუფლება, რომელიც მსგავს სერიოზულ სახელმწიფოებრივ დახმარებას არ მიიღებს; მეორე — შესაძლებელია, კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააყენოს საქართველო. ცხადია, უმჯობესი იქნება, მაკკეინმაც და სხვებმაც საქართველოს მიმართ მხოლოდ რუსეთთან დაკავშირებით კი არ გაამახვილონ ყურადღება, არამედ, ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე პრობლემების მოგვარებაში დაეხმარონ ქართველ ერს, თორემ, კიდევ ვიმეორებ, თავისთავად, იმაში, რომ ეს ანტისარაკეტო სისტემები საქართველოში განლაგდეს, ცუდი არაფერია, მაგრამ, როცა ჩვენ ასეთი ხელისუფლება გვყავს, რომელმაც ფართოდ გაუღო კარი ყველა ჯურის დამნაშავეს საქართველოს ტერიტორიაზე, ესეც დიდი საფრთხის შემცველი იქნება.

***— ანუ, გარკვეულწილად, ახალ ამერიკულ ინიციატივებს საფრთხეებიც ახლავს?***

— რა თქმა უნდა, საფრთხეები ახლავს. ჩვენ რომ გვყავდეს ეროვნული ცნობიერების მატარებელი ხელისუფლება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს უსაფრთხოება, მაკკეინისა და სხვა კონგრესმენების ასეთი ლობისტური საქმიანობა, უდავოდ დადებითი შედეგის მომტანი იქნებოდა, მაგრამ, რადგან ვიცით, რომ ჩვენი ხელისუფლება ძირითადად რუსეთის სპეცსამსახურების პარტნიორია და მათი შეკვეთით მოქმედებს, ამიტომ ამ შემთხვევაში საქართველოსთვის მისაღებ ამ წინადადებას სერიოზული საფრთხეები ახლავს. თუნდაც ის ფაქტი ავიღოთ, როდესაც საქართველოს მიმართ კეთილად განწყობილი ისრაელი აკეთებს განცხადებას თავისი მოქალაქეების მიმართ, რომ არ წამოვიდნენ საქართველოში, იმიტომ რომ საშიშია მათთვის აქ გადაადგილება, ბუნებრივია, აქ რეალურად არსებობს საფრთხეები. ფაქტია, აქ რეალურად არსებობს საფრთხეები და საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ შედგეს რეალური სახელმწიფოებრივი დახმარების მიღება საქართველოში, ან, თუ შედგება, ეს გამოიყენოს რეჟიმის გასაძლიერებლად და არა ქართული სახელმწიფოს მხარდასაჭერად. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: საქართველოს ხელისუფლება თავისი მოქმედებებით, პრაქტიკულად, ხელს ჰკრავს მის მიმართ კეთილგანწყობილ ყველა ქვეყანას და კარს უხსნის იმ ქვეყნებს, რომელთაც საქართველოს მიმართ გარკვეული ანგარება გააჩნიათ. ისრაელს რომ საქართველოს მიმართ ანგარება არ აქვს, თუ არ ჩავთვლით ბიზნესს, რაც ბუნებრივი მოვლენაა, ეს ფაქტია. ჩვენ ამ ადამიანებს ვაიძულებთ, უარი თქვან საქართველოში ჩამოსვლაზე. მათი ბიზნესმენები იმ მდგომარეობამდე მივიყვანეთ, რომ ისრაელის ხელისუფლებამ ლამის აუკრძალა თავის მოქალაქეებს საქართველოში ჩამოსვლა.

***— ბატონო მამუკა, ხელისუფლება აპიარებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, რომლის ავტორიც გიგა ბოკერიაა. ითქვა, რომ 2005 წლის შემდეგ ქვეყანას მსგავსი დოკუმენტი არ ჰქონია. რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით?***

— ეს არის ჩვეულებრივი ბოლშევიკური მეთოდი, როგორ უნდა გადაფაროს ადამიანმა გამცემლობა. როგორ უნდა გადაფარონ ლალატი. როგორ უნდა გადაიფაროს კეთილი მოწოდებებით მათი ბოროტი საქმეები. ეს ამის ნათელი დადასტურებაა. რომელ რუსეთის მტრად აღიარებაზეა საუბარი, როდესაც 2 თვის წინ გიგა ბოკერიამ ჟენევაში ხელი მოაწერა დოკუმენტს, სადაც ნათლაც წერია, რომ სამშვიდობო პროცესის გაგრძელება ბევრად არის დამოკიდებული რუსეთის სურვილების შესრულებაზე და ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ. ე.ი. გიგა ბოკერიამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობის მინიშნება გააკეთა. ეს ხომ რაღაცით უნდა გადაფაროს. ისტერიკული ფონი ხომ უნდა შეიქმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაშინ ეს დოკუმენტები, უბრალოდ, დამამტკიცებელი იქნება სააკაშვილის, ბოკერიასა და სხვების პრორუსული და რუსული აგენტურული საქმიანობის ხელშეწყობისთვის. ამიტომ ეს უნდა გადაიფაროს გარკვეული რიტორიკითა და პიარით. ეს ანტირუსული ისტერიკა არის კიდევ ერთი შეტევა ქართულ ცნობიერებაზე, იმიტომ რომ საქართველოში შოვინიზმი არასოდეს ყოფილა. ჯანსაღი ნაციონალიზმი სრულებითაც არ გულისხმობს იმ ისტერიკას, რომელიც დღეს არის საქართველოში. რესტორნებში რუსული სიმღერა ავკრძალოთ — ეს არ არის ჯანსაღი ნაციონალიზმი. დღეს შეგნებულად ხდება ყოფით დონეზე ასეთი სკანდალური გადაწყვეტილების მიღება. ეს, ერთი მხრივ, შოვინიზმის დანერგვას ემსახურება ყოფით დონეზე და მეორე — გადაფარონ თავიანთი პრორუსული ნაბიჯები. ამით უნდა დაანახვონ ხალხს, როგორ ვარ რუსეთის მომხრე, რუსული სიმღერაც არ დავუშვი რესტორნებშიო, თან აგერ უსაფრთხოების კონცეფციაში რუსეთი გამოვაცხადეთ მტრად.

***— რაზე მიანიშნებთ, ბოკერიას ინიციატივით შექმნილი უსაფრთხოების კონცეფცია რუსულ ინტერესებზეა გათვლილი?***

— რა თქმა უნდა. რუსეთი უზრუნველყოფს სააკაშვილსა და მის რეჟიმს, რათა მან გამოიყენოს მტრის თემა საკუთარი მომხრეების ორგანიზებისთვის. რუსეთსაც აწყობს ეს თემა და ისიც იყენებს ამ თემატიკას საკუთარი მიზნებისთვის. რუსეთშიც და საქართველოშიც არის ერთი და იგივე სისტემა, რომლებიც უწყობენ ხელს ერთმანეთის პოზიციების გამყარებას. დღეს, როცა ბოკერიას გარკვეული სერიოზული პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა და უკვე მიმდინარეობს სერიოზული ბრძოლა სახელისუფლებო კლანებს შორის მემკვიდრის პოზიციაზე, ბუნებრივია, ბოკერიას სჭირდება თემა. ეს თემა იქნება სწორედ ანტირუსული ისტერიკა, მაშინ, როდესაც იგივე უგულავა და მერაბიშვილი რუსეთის მიმართ ძალიან ლოიალურ განცხადებებს აკეთებენ. ამიტომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, გარკვეულწილად, სახელისუფლებო ბრძოლის შემადგენელი ნაწილიც არის.

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან“ ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ
„ჯუმბათთან“ ერთად შეიძინეთ
„ახალი ქართული პროზის“ ახალი ტომი
14 თებერვლიდან გაიყიდება
მე-8 ტომი




ჟურნალი წიგნთან ერთად
3 ლარი ღირს

ნანა მიშელაშვილი

# თმა ცოლის მოყვანის შემდეგ დამცვივდა

## რატომ დაანება ჯონდი ბაღათურიამ წყალბურთს თავი

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ საკუთარ გვარში 10 წელია ხევისბერად არის არჩეული. ეს ამბავი ჯერ კიდევ 2001 წელს, ბაღათურიების საგვარეულო შეკრებისას მოხდა. ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, ბავშვობისას გოგოს გამო ჩხუბი ხშირად უწევდა, პირველად კი საბავშვო ბაღში იჩხუბა. ვინ დააცვივნა თმები და ვისი დამსახურებაა ჯონდი ბაღათურიას ასეთი „ვარცხნილობა“?**

„ახალი თაობა“ **ჯონდი ბაღათურიას** ესაუბრა.

***— საიდან ხართ ბაღათურიები წარმოშობით?***

— ჩვენი გვარი არის სენაკის რაიონიდან, ორი სოფელია: ნოქალაქევი, ლებაღათურე და ბეთლემი. ძველი ქართული წყაროების მიხედვით, ნოქალაქევი არის ციხეგოჯი, რომელიც ერისთავმა ქუჯიმ ააშენა. ბავშვობაში ზაფხულის მთელი პერიოდი იქ მაქვს გატარებული.

***— ბაღათურიები თავადები იყავით, აზნაურები თუ გლეხები?***

— ძალიან კარგი გვარია, ძველ გუჯრებს თუ ამოვიღებთ, მებრძოლი გვარია. ბაღათური იყო წოდება. მონღოლური სიტყვაა, რომელიც არმიის ხელმძღვანელს ნიშნავს. ასეთი გადმოცემაა, ძმები ბაღათურიები იყვნენ სარდლები, მათ დაუდეს ჩვენს გვარს საფუძველი. ისტორიული წყაროების მიხედვით, ბაღათურიები ხშირად გამოდიოდნენ, როგორც მოწმეები, ანუ ჩვენი გვარის წარმომადგენლებთან მიდიოდნენ და ორ მხარეს ბაღათურიები უდასტურებდნენ შეთანხმებას.

***— ნოტარიუსის მსგავსი ფუნქცია ჰქონიათ...***

— კი, რაღაცით ჰგავდა ნოტარიუსს. საერთოდ, წარსულშიც მებრძოლი გვარი იყო და ახლაც ასეა.

***— სამეგრელოს გარდა, ბაღათურიები კიდევ სად ცხოვრობენ?***

— ძალიან ბევრი ცხოვრობდა აფხაზეთში: გულრიფშში, ბიჭვინთაში, გაგრაში, მცირე ნაწილი ზუგდიდში ცხოვრობს. ნატანებში არიან ბაღათურიები. ისინი ამბობენ, რომ მეგრელები არიან, უბრალოდ, ნატანებში ცხოვრობენ.

***— საგვარეულო შეკრება გაქვთ?***

— ბაღათურიების გვარის ერთ-ერთ შეკრებაზე, ასე ვთქვათ, გვარის ხევისბერად ამირჩიეს. კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მაინც ამირჩიეს. ძალიან დიდი პურმარილი იყო, თითქმის ყველა ბაღათურია იქ იყო შეკრებილი. წარმოიდგინეთ, ყველა ჯიუტი, როხროხა და ხმამაღლა მოლაპარაკე ბაღათურია ერთად იყო.

***— ყველა ასეთია?***

— მე ვისაც ვიცნობ ბაღათურიებს, ყველა ასეთია.

***— საგვარეულო გერბი გაქვთ?***

— ერთი ნათესავი მყავს, რომელსაც ძალიან უყვარს გვარის ისტორიაში კირკიტი. მას აქვს მოძიებული გვარის წარმოშობა, გუჯრები, სიგელები, ძველი, გაყვითლებული, დაგლეჯილი ქაღალდები აქვს მიწებებული. მის ოჯახში ორ ჭიქას რომ დალევ, მესამე ჭიქაში გუჯარ სიგელებს გამოამზეურებს. ისე, ეგ უნდა აერჩიათ გვარის ხევისბერად, რადგან მოუხდებოდა, მაგრამ რატომღაც ასე გადაწყვიტეს.

***— რომელ წელს აგირჩიეს გვარის ხევისბერად?***

— 2001 წელს. 10 წელია უკვე, რაც გვარის ხევისბერი ვარ, თან ბაღათურიების ხევისბერობა მარტივი არ არის.

***— ეს სტატუსი რაიმე სტანდარტებსა და წესებს გულისხმობს?***

— ბაღათურიები ძალიან ტრადიციულები და თან ძალიან თანამედროვეები ვართ. მე მაშინვე ავირჩიე ე.წ. აპარატი, რომელსაც კოორდინაცია და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება დაევალა. მაგალითად, ამა და ამ დღეს ამ დარბაზში ვიკრიბებით, ანუ ვიცე-ხევისბერები იქვე ავირჩიე. ხუმრობით თუ ვიტყვი, მე მხოლოდ ტიტული და პრივილეგია დავიტოვე.

***— მერე, ამ პრივილეგიით ბოროტად ხომ არ სარგებლობთ?***

— არა, ბოროტად არ ვსარგებლობ.

***— ბაღათურიების შეკრებაზე, ალბათ, თამადა თქვენ ხართ...***

— კი, თამადა ვარ.

***— როგორი თამადა ხართ?***

— ძალიან მაგარი.

***— მკაცრი ხართ?***

— თამადა მკაცრი არ უნდა იყოს, ნამდვილი თამადა უნდა იყოს. სხვათა შორის, თამადობას ძალიან გავურბივარ.

***— რატომ გაურბიხართ?***

— თამადობა რა არის? სამსახურია, მუშაობ, სუფრა მიგყავს, ტემპი უნდა შეინარჩუნო. მერე ბოლოს ტემპი ხომ კლებულობს? თამადამ ხალისი უნდა შეიტანოს, მაგრამ სუფრა არ უნდა მიუშვა, რომ ღრეობას არ დაემსგავსოს. კი არ ისვენებ, მუშაობ. ინტერვალები უნდა დაიკავო, რომ ბოლოში ტემპმა არ იკლოს.

***— ოდესმე ისე თუ დამთვრალხართ, რომ მეორე დღეს არ გხსომებიათ, რა მოხდა?***

— ვინმე თუ იტყვის, რომ ასე არასდროს დამთვრალა, ტყუის, თუ, რა თქმა უნდა, ღვინოს სვამს. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ 10-12 წელია, ძალიან მაგრად არ დავმთვრალვარ. ძალიან ხშირად მიწევს დალევა, თითქმის ყოველდღე. სახლში საღამოს რომ მივალ, თითქმის ყოველ საღამოს ნახევარ ბოთლამდე ვსვამ, მაგრამ მხოლოდ ღვინოს მივირთმევ.

***— არაყს?***

— ხანდახან არაყსაც ვსვამ. ძალიან მიყვარს ჭაჭა, ხილის არაყიც მიყვარს, ოღონდ ძალიან ცოტას ვსვამ. ვისკი მიყვარს, თუმცა, ადრე ვისკის ნაკლებად ვსვამდი. თუ ვქეიფობ, ღვინო მიყვარს.

***— ბაღათურიებმა მხოლოდ როხროხი იცით თუ სიმღერაც?***

— ზოგიერთმა ბაღათურიამ როხროხის გარდა სიმღერაც იცის.

***— იმ ზოგიერთში თქვენც შედიხართ?***

— სახელს არ დავასახელებ, ამას ინტრიგად დავტოვებ. რომ ვთქვა, ვმღერი, სადღაც როდესაც მოვხვდები-მეთქი, მეტყვიან, იმღერეო, რომ ვთქვა, არ ვმღერი-მეთქი, იტყვიან, ნახეთ, სიმღერა არ სცოდნიაო. მოდით, არ ვიტყვი, ვინ არის ის ზოგიერთი ბაღათურია, ვინც მღერის.

***— თქვენს ოჯახში მღერიან?***

— მამაჩემი და ბიძაჩემი კარგად მღერიან. ორივე პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ჯაზ-ორკესტრში უკრავდა. არ არსებობს ინსტრუმენტი, რომელზეც მამაჩემი და ბიძაჩემი არ უკრავდნენ.

***— მართალია, რომ პირადად თქვენ გიტარაზე კარგად უკრავთ?***

— კარგად — არა, მაგრამ გიტარაზე ვუკრავ. კარგად თემურ ყვითელაშვილი უკრავს.

***— ოპოზიციონერი დეპუტატებიდან ვინ არის კარგი თამადა?***

— ვერ გეტყვით. ისე, პარლამენტს გარეთ მყოფი ოპოზიციიდან ბევრი კარგი თამადა ვიცი.

***— მაგალითად, ვინ?***

— ყველა კარგი თამადაა. ვისთან ერთადაც მიქეიფია, ყველა კარგი თამადაა. თავის დროზე ჩემს ოპოზიციონერ კოლეგებთან ერთად პურის ჭამა ხშირად გვიწევდა, ტრადიციული პურმარილი იმართებოდა. გაერთიანებულ ოპოზიციაში როდესაც ვიყავი, მთელი წელი შუკა-შუკა სიარულში გავატარეთ, მართლა მეგობრულად ვიყავით მაშინ შეკრული. იმ დროს ჩემი შვილი 4 წლის იყო, მაშინ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, მამაშენი სად მუშაობსო? ჩემმა შვილმა უპასუხა, ტელევიზორშიო. რას აკეთებს ტელევიზორშიო? მამაჩემი და „გრეჩიხა“ ქუჩა-ქუჩა დადიან, დროშებს დაარჭობენ და იძახიან, მატყუარა მიშაო. ასე აღიქვა ბავშვმა ის ერთწლიანი პერიოდი, როდესაც გაერთიანებულ ოპოზიციაში ვიყავით.

***— პირადად თქვენ როგორი ბავშვი იყავით?***

— ახლა ცუდს ხომ არ ვიტყვი? კარგი ბავშვი ვიყავი.

***— ცელქი იყავით?***

— ცელქი ვიყავი. როგორი ვიქნებოდი? დაიჯერებთ, რომ ვთქვა, ძალიან ჩუმი ბავშვი ვიყავი, ხელები მაგიდაზე წინ მედო და საერთოდ არ ვინძრეოდი-მეთქი? ძალიან ცელქი ვიყავი, უფრო სწორად, სულ ვმოძრაობდი, აქტიური ვიყავი.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— როგორ არა? ძალიან ბევრჯერ. კლასიდანაც გავუგდივარ და ჩავუკეტივარ კიდეც.

***— რატომ ჩაგკეტათ?***

— ისტორიის მასწავლებელმა ერთხელ კლასი ჩაკეტა და მამაჩემი გამოიძახა, მაგრამ მე კლასის ფანჯარა გავაღე და ფანჯრიდან გავიპარე.

***— გაკვეთილი არ იცოდით თუ ხმაურობდით?***

— სკოლაში ისე არ მივსულვარ, რომ გაკვეთილი არ მცოდნოდა, ვცელქობდი, მასწავლებელი წყობილებიდან გამოვიყვანე. ძალიან ცუდად მოვიქეცი. ტრადიციულად, მეგონა, რომ გამაგდებდდა, მაგრამ, კი არ გამაგდო, მთელი კლასი ჩაგვკეტა, მამაჩემთან დარეკა და გამოუძახა. როდესაც მითხრეს, რომ მამაჩემი მოდიოდა, ფანჯარა გავაღე და გადმოვხტი. სხვათა შორის, ჩემთან ერთად კიდევ ერთი კლასელი გადმოხტა. ის რატომ გადმოხტა, არ ვიცი, მაგრამ, ეტყობა, სოლიდარობის ნიშნად გადმოხტა. იცით, „პაბეგში“ სად წავედით? ბებიაჩემთან, რომელიც იმ დროს საავადმყოფოში მუშაობდა.

***— მერე, ბებიამ რა გითხრათ?***

— თქმაც არ უნდოდა, მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, დამიყვავა, საჭმელი მაჭამა. ძალიან მაგარი ბებია მყავდა. ყველა ბებია და ბაბუა ხომ ძალიან მაგრები არიან, თან პენსიაც ჩემი იყო.

***— ბებია პენსიას სულ თქვენ გაძლევდათ?***

— ბებიას პენსია ჩემი იყო. ბებიას პენსიას მე ველოდებოდი.

***— სხვა შვილიშვილები არ ჰყავდა, მხოლოდ თქვენ რატომ გაძლევდათ?***

— როგორ არ ჰყავდა სხვა შვილიშვილები, ჩემი ძმები პატარები იყვნენ, მე პირველი შვილიშვილი ვიყავი და პენსია მე მეკუთვნოდა.

***— პენსიონერებისთვის პენსიის გაზრდას ახლა, ეტყობა, ამიტომაც მოითხოვთ...***

— კი, იქიდან ჩამრჩა ეს გონებაში. ბებია ოჯახში ჩემი ფარი იყო სოციალური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

***— სკოლაში ცუდად როდესაც იქცეოდით, მშობლები გსჯიდნენ?***

— როგორ არა...

***— ორიანი მიგიღიათ?***

— მიმიღია, ხშირად — ყოფაქცევაში.

***— მერე, მალე ასწორებდით?***

— რას ვასწორებდი. რა ვიცი, ალბათ, ვასწორებდი.

***— რომელი საგანი არ გიყვარდათ?***

— ფიზიკა. ძალიან კარგი მასწავლებელი მყავდა, მაგრამ ფიზიკას ძალით ვსწავლობდი.

***— ჩხუბის დროს თავი გაგიტეხიათ?***

— კი, არაერთხელ. ჩხუბის დროს გამიტყდა თავი, ერთხელ ვიღაცამ უმისამართოდ ქვა ისროლა და გამიტყდა. ხან აზრიანად ვჩხუბობდით, ხან უაზროდ. ხან გოგოსთვის ვჩხუბობდით, ხან მამლაყინწობისთვის.

***— გოგო გამო ხშირად ჩხუბობდით?***

— აბა, რა. გოგოების გულისთვის ვჩხუბობდით, მარტო ჩემი გოგოს გულისთვის კი არა, სხვისი გოგოს გამოც ვჩხუბობდით. აბა, სკოლაში სხვა რა გვქონდა გასაყოფი! ჩხუბები იმართებოდა და ყველაფერი ორ დღეში მთავრდებოდა.

***— მალე რიგდებოდით?***

— შინაგანად ასეთი ვარ: ძალიან მალე ვინთები, უცებ განვრისხდები, მაგრამ ბოღმა არ მიმყვება.

***— გულში ჩადება არ იცით?***

— არა. ბოღმა აბერებს, ამიტომაც არ ვბერდები. თუ გინდა, დიდხანს იცხოვრო, არ უნდა დაიმახსოვრო, გულში არ უნდა ჩაიდო, უნდა გაატარო.

***— ძირითადად გოგოს გამო რომელ ასაკში ჩხუბობდით?***

— ბაღიდან დაწყებული, ინსტიტუტით დამთავრებული, ყველა ასაკში ვჩხუბობდით. ბაღში გოგოს გამო მიჩხუბია, თან ყველას რატომღაც ერთი გოგო გვყავდა ამორჩეული და ის მოგვწონდა. ჩემი უმცროსი ძმა კვირაში ერთხელ მოდიოდა და ამბობდა, რომ ვიღაც უყვარდა. მე ასე არ ვიყავი. ხან ვიღაც მომწონდა, ხან სხვისი გოგოს გამო ვჩხუბობდი, ხან — მეგობრის დის ან მეგობრის შეყვარებულის გამო. ეს ბავშვური, უბოროტო ჩხუბი იყო.

***— სპორტის რომელ სახეობაზე დადიოდით?***

— წყალბურთელი ვარ. 3 წლის ვიყავი, ცურვა რომ დავიწყე.

***— სად ისწავლეთ?***

— აუზზე. მე მგონი, ცურვა დაბადებიდანვე ვიცი. სხვათა შორის, ყოველ დილით, ზამთარ-ზაფხულს, მამაჩემს ბათუმში, ბულვარზე გავყავდი, ფეხშიშველს ქვიშაზე მარბენინებდა და მერე ჩავდიოდი აუზზე, ვარჯიში იწყებოდა. სამი-ოთხი წელი ცურვაზე დავდიოდი, მერე წყალბურთზე გადავედი. ვეტერანი წყალბურთელი ვარ.

***— თავი რატომ დაანებეთ?***

— დარდიმანდობის გამო, ხან ვსვამდი, ხან სიგარეტს ვეწეოდი. ნაბახუსევზე არ უნდა ივარჯიშო. ძალიან კარგი გუნდი გვყავდა, მაგრად ვჩაგრავდით სხვა გუნდებს.

***— სტუდენტობის პერიოდში მართლა ხუჭუჭი თმა გქონდათ?***

— ბავშვობაში კულულები მქონდა.

***— ასეთ „ვარცხნილობას“ როდიდან ატარებთ?***

— ძალიან კარგი თმა მქონდა, მაგრამ მეუღლემ დამაცვივნა. რაც ცოლი მოვიყვანე, მას შემდეგ თმები დამცვივდა.

***— მართლა?***

— დიახ, ასეთ მძიმე მდგომარეობაში ვარ. 23 წლის შემდეგ დამეწყო თმის ცვენა. მანამდე ვიყავი ხუჭუჭა ბიჭი პატარა...

***— ე.ი. ამას მეუღლეს აბრალებთ?***

— იცით, როგორ იყო? საკრებულოს წევრი როდესაც ვიყავი, ძალიან დაბალ ვარცხნილობას ვიკეთებდი. ახალგაზრდობიდან მოკლედ მქონდა თმა. არასდროს ვნერვიულობდი თმის ცვენის გამო. ზოგიერთები ისე განიცდიდნენ, რომ ხახვსა და ნიორს ისვამდნენ და აქოთებულები დადიოდნენ. თბილისის საკრებულოში ჩემთან ერთად ფრაქციაში იყო მიშა ახვლედიანი. ერთხელ მან მითხრა: არც ღვინო ხარ და არც წყალი, გადაიპარსე და სოლიდური გამომეტყველება გექნებაო. ერთი კვირა შემომიჩნდა და თავისას მიაღწია. ე.ი. მიშა ახვლედიანის „პოლიტიკური წნეხის“ ქვეშ გადავიპარე თმა და ასე დავრჩი. უკმაყოფილო არა ვარ, დასამახსოვრებელი „ვარცხნილობა“ მაქვს.



**საკრებულოს წევრი როდესაც ვიყავი, ალიან დაბალ ვარცხნილობას ვიკეთებდი. ახალგაზრდობიდან მოკლედ მქონდა თმა. არასდროს ვნერვიულობდი თმის ცვენის გამო. ზოგიერთები ისე განიცდიდნენ, რომ ხახვსა და ნიორს ისვამდნენ და აქოთებულები დადიოდნენ. თბილისის საკრებულოში ჩემთან ერთად ფრაქციაში იყო მიშა ახვლედიანი. ერთხელ მან მითხრა: არც ღვინო ხარ და არც წყალი, გადაიპარსე და სოლიდური გამომეტყველება გექნებაო. ერთი კვირა შემომიჩნდა და თავისას მიაღწია. ე.ი. მიშა ახვლედიანის „პოლიტიკური წნეხის“ ქვეშ გადავიპარე თმა და ასე დავრჩი. უკმაყოფილო არა ვარ, დასამახსოვრებელი „ვარცხნილობა“ მაქვს.**

# ერევნის „არარატი“ უმაღლეს ლიგაში სვანებმა გადაიყვანეს

## ვან ბაიბურთი შეი ლება რუსეთსა და ისრაელს შორის კონფლიქტის დაწყების მიზეზი გახდეს

თეა მარხვაი ე

*თებერვალი ძალიან ცივი გამოდგა. ისევე, როგორც ყოველ წელს, წელსაც ქარიანი ამინდები იყო. ამბობენ, რომ ეს სუზსარქისის ბრალია. სინოპტიკოსები გამოდარებას 19 თებერვლიდან ვარაუდობენ, სუზსარქისის დღესასწაული კი 18 თებერვალს აღინიშნება. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი გვიმტკიცებს, რომ ყველანი სუზსარქისის მადლიერნი უნდა ვიყოთ.*
*რატომ უნდა უმადლოდნენ სომხები ერევნის „არარატის“ უმაღლეს ლიგაში გადასვლას სვანებს, რა მოითხოვა ლავრენტი ბერიამ, რა საერთო აქვთ მეგრულ და სომხურ ბაყაყებს, რა სარგებლობა მოაქვს სუზსარქისს, ამ თემებზე ვან ბაიბურთი „ახალ თაობას“ ესაუბრება.*

**ვან ბაიბურთი:**

— სუზსარქისს ყველამ მადლობა უნდა ვუთხრათ. ვინც იცის, როდის მოდის ეს დღესასწაული, იცის, რომ იწყება საშინელი სიცივე, ქარი, თოვა. ნუ, ყველაფერი მოდის, რაც შეიძლება ზამთარში მოვიდეს. ეს, მე მგონია, კარგია.

***— კარგი რატომ არის?***

— იმიტომ რომ ყველამ იცის, იმ დღეებში თხლად არ ჩაიცვას. სუზსარქისის პერიოდში სულ ცივა. დილით მზეც რომ გამოვიდეს, მაინც თბილად უნდა ჩავიცვათ. სხვა დროს დილით შეიძლება მზე გამოვიდეს და საღამოთი აცივდეს, ადამიანი გაცივდება, სუზსარქისის დროს კი ყველამ იცის, რომ სიცივე აუცილებლად იქნება. ამიტომ ყველას თბილად აცვია და არავინ ცივდება.

***— რამდენი ხანი გრძელდება სუზსარქისი?***

— სამი-ოთხი დღე მიდის. სომხეთის პატრიარქმა გარეგინ მეორემ ეს დღე ახალგაზრდობისა და სიყვარულის დღედ გამოაცხადა.

***— ქარსა და ყინვას სიყვარულთან რა საერთო აქვს?***

— მხოლოდ ქარი და უბედურება არ არის. სუზსარქისის ღამეს აცხობენ ცოტა მარილიან ბლითებს, ჭამენ და ღამე საბედოს ნახულობენ ხოლმე. ამიტომ სომხეთის პატრიარქმა ჩათვალა, რომ უნდა დაეწესებინა სიყვარული დღე. რატომ უნდა აღინიშნოს სომხეთში ვალენტინობის დღე, როცა არის სუზსარქისის დღე.

***— სომხური სიყვარულის დღე რა რიცხვშია?***

— 18 თებერვალს და მე მინდა, ყველა შეყვარებულს მივულოცო ეს დღე. სუზსარქისი ძალიან კარგი დღესასწაულია.

***— კარგი რანაირად არის, როცა ასეთი ქარი და ყინვა იცის?***

— ზამთარში ქარი და სიცივე აუცილებელია, თანაც რთული კლიმატური პირობები სიყვარულს კიდევ უფრო ამძაფრებს. სიყვარულის გარეშე ცხოვრება არავის შეუძლია. მე ვთვლი, რომ მსოფლიოში ყველაზე მოსიყვარულე ხალხია ქართველები. ქართველების 98 პროცენტი სიყვარულით სავსეა.

***— იმ 2 პროცენტს რაღა სჭირს?***

— ისინი ყველაფრით უკმაყოფილო არიან, როგორც ჩვენი ოპოზიცია.

***— ოპოზიციას რომ არ მიხტომოდით ამ სიყვარულის დღეს, არ შეიძლებოდა?***

— რატომ მივახტი, სიყვარულით ვახსენე. ცუდად რატომ უნდა ვახსენო. ოპოზიციაც ჩვენია.

***— რას ნიშნავს, თქვენია? მოდით, დავაკონკრეტოთ. თქვენ ხელისუფლების წარმომადგენელი ხართ და ვინმემ სხვანაირად არ გაიგოს. ისედაც იმას ამბობენ, ოპოზიცია ხელისუფლებასთან არის შეკრულიო.***

— მხედველობაში ის მქონდა, რომ ოპოზიციაც მშობლიურია. მე ოპოზიციაც ძალიან მიყვარს, ისევე, როგორც მთელი საქართველო.

***— ოპოზიციონერმა დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა ცოტა ხნის წინ ჩვენს გაზეთთან მოყვა, რომ თქვენ მაგივრად მიუციათ ხმა ხელისუფლების საწინააღმდეგო კანონისთვის. ეს ის დრო იყო, როცა მოქკავშირში იყავით.***

— იყო ასეთი ამბავი. ოპოზიცია მუდამ არღვევს თამაშის წესებს. ეს გია ცაგარეიშვილის ბრალი არ არის. ამ ხუმრობის უკან ან გოგი თოფაძე იდგა, ან ზურაბ ტყემალაძე. უფრო, მგონი, თოფაძე იყო.

***— ამის გამო თოფაძის ლუდის დალევაზე უარი ხომ არ გითქვამთ?***

— უარი არ მითქვამს იმის გამო, რომ ლუდს არ ვსვამ.

***— მერე, რატომ არ სვამთ?***

— მე საქართველოში დაბადებული კაცი ვარ და კარგ ქართულ ღვინოზე გავიზარდე. ჩვენ უნდა ვიყოთ პატრიოტები და ვსვათ ქართული სასმელი.

***— თოფაძის მოხარშული ლუდი არაპატრიოტული რატომ არის?***

— მე არ მითქვამს, რომ არაპატრიოტულია. უბრალოდ, ლუდი ქართული სასმელი არ არის. ქართველები და სომხები იმით გამოვირჩევით, რომ ვამბობთ, მსოფლიოში ყველაფერი ჩვენი მოგონილია. ამ ნიადაგზე ქართველები და სომხები სულ ვეტაკებით ერთმანეთს.

***— ეგ კარგი რამე გამახსენეთ, აბა ერთი გვითხარით, ვისია ჩურჩხელა და ხაჭაპური?***

— რა თქმა უნდა, ქართულია. როგორ შეიძლება, ამაში ვინმეს ეჭვი შეეპაროს.

***— ვილაცებმა სომხეთში თქვეს, ერთიც და მეორეც სომხურიაო.***

— მერე, ეგ სომხებმა თქვეს? ეგ თქვეს რუსებმა. რუსებმა მოიგონეს ეს მავნებლობა, ისევე, როგორც თავის დროზე „ჩაკრულო“ სომხურ სიმღერად გამოაცხადეს. ასეთ მავნებლობას სომეხი არ გააკეთებს.

***— ისე, მართალია, რომ სომხები მესტიაში აპირებენ გადასახლებას, ხოლო სვანები სევანის ტბასთან აპირებენ ჩასვლას? ამბობენ, ამაზე შეთანხმება უკვე გაფორმებულიაო.***

— ეს ხუმრობაა. სევანის ტბასთან დაკავშირებით ბერიამაც იხუმრა. მან პირველად რომ დაინახა სევანის ტბა, მისი სილამაზით გადაირია. მან მის გვერდით მყოფ ენუქიძეს უთხრა, ეს სილამაზე აბაშაში გადაიტანეთო. სვანები შეიძლება მართლა სევანიდან არიან.

***— გვარები კი გაქვთ ერთნაირი.***

— ძალიან ერთნაირი გვარები გვაქვს — ფალიანი, დავითიანი. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ.

***— ისე, თქვენი გვარი რაღაც არც სომხურად ჟღერს და მით უმეტეს — არც სვანურად. რაღაც უფრო კოკოითივით ჟღერს. კოკოითი, ბაიბურთი...***

— ბაიბურთს თავი დაანებეთ, მით უმეტეს, მის კოკოითისთან დაკავშირებას! კარგად მახსოვს, როგორ წავედი პირველად სამუშაოდ ერევანში. ჯერ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტად ვმუშაობდი.

***— წარმომიდგენია, რას შეაქებდით ერევნის „არარატს“.***

— სიმართლეს ვწერდით. მაგრამ მე სხვა რამეს გიყვებით. ერევანში რომ წავედი, სატელეფონო ცნობარი გადავათვალიერე და თავი თბილისში მეგონა.

***— რატომ?***

— ასეთი გვარები იყო ჩამოთვლილი: ფალიანი, ცინდელიანი. ვთქვი კიდევაც, საიდან აღმოჩნდნენ ეს სვანები ერევანში. მერე გავარკვიე, რომ სომხები იყვნენ. ერევნის „არარატის“ მთავარი მწვრთნელი იყო არტიომ ფალიანი. სხვათა შორის, ამ კაცმა გადაიყვანა ერევნის „არარატი“ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში.

***— ამით რა გამოდის — სვანებს გადაუყვანიხართ უმაღლეს ლიგაში.***

— ასე გამოდის. ის, სხვათა შორის, თავის ფეხბურთელებს




ემუქრებოდა, კარგად თუ არ ითამაშებთ, წაგიყვანთ ჩემს სვანეთშიო.

***— ჭრიდა ეს მუქარა?***

— ფეხბურთელებს ეშინოდათ და კარგად თამაშობდნენ. ასე რომ, ქართველებსა და სომხებს შორის ძალიან ბევრია საერთო.

***— სიტყვებიც ხომ გვაქვს საერთო?***

— როგორ არა გვაქვს. რამდენიმე ასეული სიტყვა გვაქვს ისეთი, რომლებსაც მხოლოდ ქართველები და სომხები ხმარობენ.

***— რა სიტყვებია ასეთი?***

— ოჯახი, დროშა, ხარისხი....

***— ეს ქართული სიტყვებია თუ სომხური?***

— საერთოა. ალბათ, ორივემ მოიფიქრა. სხვათა შორის, სომხურშიც და მეგრულშიც არის საერთო სიტყვები.

***— რა სიტყვები?***

— სომხურად ბუზი არის ჭანდი, მეგრულადაც ასე ჰქვია. ბაყაყი სომხურადაც და მეგრულადაც არის გორდი. საინტერესოა, რომ ეჩმიაძინი მეგრულად ითარგმნება, როგორც ოცის ნახევარი. ასე რომ, ჩვენ მხოლოდ ლეგენდა არ გვაახლოებს.

***— რომელი ლეგენდა?***

— ჰაოსისა და ქართლოსის ძმობის შესახებ.

***— რადგან ჰაოსი და ქართლოსი ახსენეთ, ხინკალი უფრო კარგია თუ ტოლმა?***

— ორივე კარგია. გულახდილად კი გეტყვით, რომ ტოლმა მირჩევნია.

***— ვითომ რატომ?***

— როცა მეგობრებთან ერთად ზიხარ, ტოლმა ჯობია. ტოლმას რომ ჭამ, ხინკალივით კუჭებს არ ტოვებ. გარშემო ზოგჯერ ისეთი ხალხია, რომ დაითვლიან, რამდენი ხინკალი შეჭამე, ტოლმა კი იმით არის უკეთესი, რომ კვალს არ ტოვებს. აი, ამით ჯობია ტოლმა ხინკალს.

***— ხინკალსა და ტოლმას შევეშვათ და ის გვითხარით, რატომ მოითხოვეთ რუსეთში ებრაული ავტონომიის შექმნა.***

— ავტონომია არ მომითხოვია, უფრო მეტი მოვითხოვე. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი რუსული სააგენტოს ჟურნალისტი დამიკავშირდა მოსკოვიდან. დამიწყეს საუბარი ცხინვალის რეგიონზე, მითხრეს, რატომ აცხადებს საქართველო ძირძველ ოსურ მიწაზე პრეტენზიებსო. მე გადავირიე, რას ჰქვია, ცხინვალი ძირძველი ოსური მიწაა-მეთქი. ამ ჟურნალისტს ვურჩიე, გადაეხედა რუსი მეცნიერების ნაშრომებისთვის, რომლებიც ბრომლეის სახელობის ინსტიტუტშია მოთავსებული. მე საუბარი მაქვს მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ნაშრომებზე. რუსი ავტორები წერენ, რომ ეს მიწა არის ქართული, ოსები კი ჩასახლებული იყვნენ. მათ ავტონომია მიიღეს ბოლშევიკების წყალობით. ახლა გამოვიდნენ რუსები და ამბობენ, რადგან ავტონომია ჰქონდათ, გამოდის, რომ ეს ოსური მიწაა. თუ ამ ლოგიკით წავალთ, მაშინ რუსეთს სერიზული პრობლემები შეექმნება ისრაელთან. უფრო სწორად, ისრაელს შეუძლია შეუქმნას რუსეთს პრობლემები.

***— როგორ შეუძლია პრობლემების შექმნა?***

— რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, ხაბაროვსკში, არის ებრაული ავტონომიური ოლქი. ისრაელს თავისუფლად შეუძლია თქვას, რომ ეს მათი მიწაა.

***— რანაირად შეუძლიათ თქვან, რომ ეს არის ებრაული მიწა?***

— რანაირად და ძალიან მარტივად. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ებრაული ავტონომია მსოფლიოში სხვაგან არსად არის. ისრაელის მთავრობას შეუძლია თქვას, რომ ეს არის მათი მიწა და მოითხოვოს ებრაელების დაცვა.

***— ამ ავტონომიაში ებრაელები ბევრნი ცხოვრობენ?***

— არა. ეს ყველაფერი რუსიფიკაციის ბრალია. ეს რუსების



ჩვევაა. ისინი, ვინც რუსეთში ცხოვრობენ, ყველას არუსებენ. ებრაელებიც გაარუსეს. იმ ავტონომიაში ებრაელები ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ 7-8 პროცენტს შეადგენენ, დანარჩენები კი გარუსებული არიან.

***— გამოდის, რომ თქვენს ინიციატივას პერსპექტივა არა აქვს.***

— როგორ არა აქვს. ისრაელს თავისუფლად შეუძლია პრეტენზიების გამოხატვა.

***— თუ ამ ოლქში ებრაელები ცოტანი არიან, როგორ გამოხატავენ პრეტენზიას?***

— ძალიან კარგად გამოხატავენ პრეტენზიებს. მთავარია, მოინდომონ. რუსებს თუ აქვთ ასეთი უაზრო პრეტენზიების გამოხატვის უფლება, სხვას რატომ არა აქვს! მოსკოვი ამტკიცებს, რომ რადგან ავტონომია იყო, ცხინვალი ოსური მიწაა. მაშინ ხაბაროვსკის მხარეში არსებული ებრაული ავტონომია ისრაელის მიწა ყოფილა.

***— ებრაელებში თუ ჰპოვა თქვენმა ინტერვიუმ გამოხმაურება?***

— ისრაელიდან ჯერ არაფერი ისმის. ეტყობა, იქ არ წაუკითხავთ. რუსეთში კი ამას უკვე მოჰყვა გამოხმაურება.

***— რა გამოხმაურება მოჰყვა?***

— ჩემი განცხადება ბევრმა წაიკითხა. ნაცნობები მირეკავენ და მეუბნებიან, რა მაგარი რამე გითქვამსო. მოკლედ რომ გითხრათ, მაგარი აჟიოტაჟი მოჰყვა.

***— მაშინ, ფრთხილად იყავით, პუტინმა რაიმე შარი არ აგიტეხოთ.***

— პუტინის მე არ მეშინია.

***— პრინციპში, არც უნდა გეშინოდეთ. თქვენ იქ არ ჩადიხართ და ის აქ არ ჩამოდის.***

— შარის ასაგდებად ჩემი იქ წასვლა ან მისი აქ ჩამოსვლა საჭირო არ არის. პუტინს თუ მოუნდება, ამას შორიდანაც გააკეთებს. მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ პუტინი ყველაფერზეა წამსვლელი. რადგან პუტინი ვახსენეთ, უნდა ვთქვა ერთი რამეც.

***— რა უნდა თქვათ, კიდევ რაიმე ახალი ინიციატივა გაქვთ?***

— ინიციატივა — არა. ყველა ვამჩნევთ, რომ პუტინი და მედვედევი ყველაფერში გვბაძავენ.

***— რაში გვბაძავენ?***

— რეფორმებში.

***— რა რეფორმებში?***

— ყველაფერში. საკმარისია, ჩვენ რამე გავაკეთოთ, ეგენიც მაშინვე იწყებენ.

***— მაგალითად, რა დაიწყეს?***

— იგივე სკოლის რეფორმა. ახლა უცხო ენის მასწავლებლების ჩამოყვანაც დაიწყეს. როგორც უკვე გითხარით, ყველაფერში გვბაძავენ.

***— თუ ასე გვბაძავენ, არ უნდათ, ტერიტორიების დაკარგვაში მოგვბაძონ. იქნებ მათაც დაკარგონ აფხაზეთი და სამაჩაბლო.***

— მათ არ უნდათ ამ მიწების დაკარგვა, მაგრამ, მე 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ის სამაჩაბლოსა და აფხაზეთს დაკარგავს.

***— რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული?***

— იმიტომ რომ სხვანაირად არ შეიძლება მოხდეს.

***— რატომ არ შეიძლება?***

— ამ მიწების წართმევით რუსეთმა ჩვენ უბედურება დაგვატეხა თავს, მაგრამ არანაკლები უბედურება მოუტანა საკუთარ ქვეყანას.

***— რა უბედურება დაემართა ამით რუსეთს?***

— მთელი მსოფლიო მის წინააღმდეგ განეწყო. ის დღეს ხაფანგშია გამომწყვდეული.

***— რაღაც არაფერი ეტყობა რუსეთს ხაფანგში ჩავარდნილისა.***

— როგორ არ ეტყობა. მთელმა მსოფლიომ აღიარა რუსეთის მიერ სუვერენული ქვეყნის ოკუპაცია.

***— თქვენი აზრით, ეს არის რუსეთის უბედურება?***

— რა თქმა უნდა, უბედურებაა.

***— რუსეთი თავს, პირიქით, გამარჯვებულად გრძნობს.***

— როგორ გეკადრებათ. რუსეთი ძალიან სერიოზულ შარშია გახვეული. ის მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც ოკუპანტი. ის ოკუპანტის კლიშეთი ცხოვრებას ვერ გააგრძელებს.

***— ვითომ რატომ?***

— იმიტომ რომ ძნელია ასეთი იარლიყით ცხოვრება. ეს ძალიან დიდი სირცხვილია. დარწმუნებული ვარ, ამას რუსეთი ვერ აიტანს.

***— რუსეთს ისეთები აუტანია....***

— ეგ ადრე იყო. ახლა 21-ე საუკუნეა და სხვა დროა. ახლა ოკუპანტების აღარ ეშინიათ. ახლა ოკუპანტებს ცუდად უყურებენ. რუსეთი ამის გამო უკვე სერიოზულ დისკომფორტს განიცდის. აი, სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დააბრუნებს და, რაც მალე გააკეთებს ამას, მით უკეთესი იქნება მისთვის.

***— როდის იქნება ეს მალე?***

— თარიღს ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ვიცი, რომ ეს ძალიან მალე მოხდება.

# „ბეჟუაშვილების სასახლის გადაღების დროს დაცვა ფოტოების წაშლას მთხოვდა“

## „ორ კვირაში ახალ გამოფენას მოვაწყობთ“

**პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლის დროს უმცირესობის წევრ გურამ ჩახვაძეს, რომელსაც ის ელიტურ კორუფციაზე აკეთებდა აქცენტს, კითხვა დაუსვა — „გადახედეთ ამ მთავრობას და მითხარით, ვინ არის კორუმპირებული?" ჩახვაძემ დაბნეულობის თუ დამორცხვების შემდეგ დაასკვნა, რომ საშუალო ელიტური კორუფციაა ხელისუფლებაში, მაგრამ მთავრობის ვერც ერთი წევრი ვერ დაასახელა ინფორმაციის არქონის მიზეზით.**



ნათია ხურცილავა

სწორედ პრეზიდენტის ეს კითხვა გახდა მაპროვოცირებელი მოძრაობა „არას“ ხელმძღვანელისთვის, რათა საზოგადოებისა და პრეზიდენტისთვის ეჩვენებინა, ვინ აიშენა სასახლეები მას შემდეგ, რაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ.

რა ფულით აიშენეს სასახლეები მინისტრებმა და ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებმა, ეკუთვნით თუ არა მათ რეალურად ფოტოობიექტივის მიერ დაფიქსირებული სასახლეები? ეს ის კითხვებია, რაზეც სასამართლომ უნდა გასცეს პასუხი ან თავად ჩინოვნიკებმა.

ინტერვიუ მოძრაობა „არას“ ხელმძღვანელ **ლევან ჩიტაძესთან.**

***— როდის გადაწყვიტეთ, რომ, როგორც თქვენ ამბობთ, ჩინოვნიკების სახლების ფოტოები გადაგეღოთ და შემდეგ საზოგადოებისთვის გეჩვენებინათ? სხვათა შორის, ამას თავის დროზე სააკაშვილი აკეთებდა...***

— პარლამენტში წლიური ანგარიშის წარდგენის დროს სააკაშვილმა პარლამენტში მყოფ ოპოზიციონერებს ბრალდება წაუყენა, რომ ისინი არ ასაბუთებდნენ ხელისუფლების ჩინოვნიკების კორუმპირებულობას. სამწუხაროდ, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა რეალურად ვერ შეძლეს ოპონირება. ერთ-ერთმა მათგანმა, ჩახვაძემ, ისიც კი თქვა, რომ თურმე სააკაშვილი და მინისტრები კი არ არიან კორუმპირებულები, არამედ, ის ადამიანები, მინისტრის მოადგილეები, რომლებიც დაიჭირეს. ამით ჩახვაძემ, პირიქით, ხოტბა შეასხა დღევანდელ რეჟიმს და აღიარა, რომ კარგი რეჟიმი გვაქვს, კორუმპირებულ ჩინოვნიკებს იჭერენ.

***— ეს გახდა მიზეზი, რომ გადაწყვეტილება მიგეღოთ?***

— დიახ, ჩვენ მანამდეც ვიცოდით, ბევრი ინფორმაცია გვქონდა ამ სასახლეებთან დაკავშირებით. ინფორმაციები გვქონდა მერაბიშვილზე, ცისკარიშვილზე. გადავწყვიტეთ, მისამართი მოგვეძიებინა ყველა სასახლის, რომ გადაგვეღო ფოტოები და შემდეგ გამოფენა გაგვეკეთებინა, რითიც სააკაშვილს ვუპასუხებდით მის მიერ დასმულ კითხვაზე, თუ ვინ არის კორუმპირებული მის მთავრობაში. ეს რეალურად ვერ შეძლო ოპოზიციამ, ამიტომ ავიღეთ ეს პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე. ხუთ დღეში რამდენიც მოვასწარით, ის გადავიღეთ. რამდენიმე ჩინოვნიკის სასახლე და ქონებაა გადაღებული.

***— ვისი სასახლეები გადაიღეთ?***

— ძმები ბეჟუაშვილების, ჩოჩელის, კეზერაშვილის, ბარამიძის. გადავიღეთ ბაქრაძის სასახლე, რომელიც მის სიმამრზეა დარეგისტრირებული. ასევე გადავიღეთ სასახლე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი თავის მეუღლეს, სანდრას, უშენებს. ბეჟუაშვილებს ორ ადგილას აქვთ, კოჯორში და ყაზბეგის ქუჩაზე. ასევე ყაზბეგის ქუჩაზე აქვს ცისკარიშვილს. კეზერაშვილს აქვს თბილისის ზღვაზე. ბაქრაძის სახლი, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, ისიც კოჯორშია გადაღებული. ერთადერთი, რაც ძველი, სამი თვის წინ გვაქვს გადაღებული, არის გიორგი ბარამიძის სახლი. მაშინ ჩვენ ბარამიძის ქონებით დავინტერესდით, რადგან, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ის სახლი, რომელიც ფოტოზე აღვბეჭდეთ, ბარამიძეს საჩუქრად, 1 ლარად და 80 თეთრად გადაეცა. მაშინ ამაზე ვაწარმოებდით გამოძიებას, მაგრამ მოგვიანებით ვერ დადასტურდა, რომ 1 ლარად და 80 თეთრად გადასცეს ეს სახლი, მაგრამ ის სახლი, რომელიც მდებარეობს რეზიდენციის სიახლოვეს, მისი კუთვნილებაა. თავის დროზე ამაზე მთელი ამბავი ავტეხეთ, რაზეც ბარამიძემ — არა, თუმცა, ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ბარამიძესთან დაახლოებულმა პირმა, გვირჩია, კარგად გადაგვემოწმებინა. მან ტყუილების გავრცელება დაგვდო ბრალად. თუმცა, თითოეულ სახლზე, მაშინაც ბარამიძის სახლზეც და ბოლოს გადაღებულ სახლებზეც, საჯარო რეესტრში შევიტანეთ განცხადება.

***— რას ითხოვდით საჯარო რეესტრისგან?***

— რომ მოეცათ მისამართები, მაგრამ ეს არ იყო ხელმისაწვდომი.

***— როგორ იპოვეთ, თუ ხელმისაწვდომი არ იყო?***

— ჩვენი პირადი ინფორმაციით მოვიპოვეთ. მეგობრები გვაწვდიდნენ, ასევე მოსახლეობასთან კონტაქტის დროს ვიგებდით, ვინ ცხოვრობს ამა თუ იმ სასახლეში ან ვის ეკუთვნის. როდესაც მოვიპოვებდით ინფორმაციას, თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის სახლი, მაშინვე ვამოწმებდით საჯარო რეესტრში, საიდანაც ინფორმაცია არ მოგვდიოდა, მაგრამ გავდიოდით და მეზობლებს ვეკითხებოდით, ხომ არ დაგინახავთ, ვინ დადის ამ სახლში, ხომ არ იცით, ვისია ეს სახლი? მაგალითად, ვანო მერაბიშვილის სახლი, რომელიც დიღომშია, სიხარულის ქუჩაზე, მისმა მეზობლებმა დაგვიდასტურეს, რომ ვანო მერაბიშვილი ხშირად მიდიოდა და ამ სახლის მშენებლობის მიმდინარეობას ათვალიერებდა. ახლაც მშენებარეა ეს სასახლე. უზარმაზარი სასახლეა. არა მგონია, რომ ვანო მერაბიშვილი იყოს სადაზღვევო აგენტი ან საჯარო რეესტრის წარმომადგენელი, რათა შეამოწმოს, ხომ არ არის დარღვევა პროექტსა და მშენებლობას შორის. რეალურად შემიძლია ვამტკიცო სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე, რომ ეს სახლი ვანო მერაბიშვილს ეკუთვნის. აბა, რატომ ინტერესდება მერაბიშვილი ვილაცის სახლით, თუ როგორ შენდება? რაც შეეხება სანდრა რულოვსის სახლს, ამაზეც ანალოგიური შემიძლია გითხრათ. ეს სასახლეც სიხარულის ქუჩაზეა. მივიღეთ ინფორმაცია და გვითხრეს, რომ სანდრას სახლსაც ისეთივე გუმბათი ჰქონდა, როგორიც ავლაბრის რეზიდენციას, მაგრამ, უფრო მცირე ზომის, ამიტომ გაგვიადვილდა მისი პოვნა. მივედით და მეცხვარეებმა გვითხრეს, რომ ამ ეზოში სამთავრობო მანქანები ხშირად შედიოდნენ. რომ მივუახლოვდით სახლს, მუშებს ვკითხეთ, ვისი იყო. ყველა დუმდა, არავინ არაფერს გვეუბნებოდა, გვითხრეს, რომ ამაზე საუბრის უფლება არ ჰქონდათ. ერთ-ერთმა ადამიანმა, რომელსაც ურიკით სილა მოჰქონდა, გვითხრა, რომ იქ იყო სანდრა მისული, მაგრამ მითხრა, თუ ვინმემ ეს გამიგო, ცუდად იქნება ჩემი საქმეო. არც სახელი ვიცი შენი და არც გვარი, ასე სილა ბევრს დააქვს-მეთქი. მე ვამტკიცებ, რომ ეს არის სანდრას სასახლე. რატომ უნდა მივიდეს პირველი ლედი სახლის დასათვალიერებლად, თუ არა აქვს რაიმე ინტერესი? თუ სხვისია, მაშინ წართმევა უნდა ან თავად აშენებს, რადგან მან მშენებლობა რამდენჯერმე დაათვალიერა. ისეთივეა, როგორიც რეზიდენცია. აქედან გამომდინარე, სააკაშვილი უკეთებს საჩუქარს თავის მეორე ნახევარს. რაც შეეხება სააკაშვილის სასახლეს, სადაც ის ახლა ცხოვრობს, როგორც ამბობენ, ესეც სიხარულის ქუჩაზეა. საკმაოდ დიდ პერიმეტრზე ამ სახლს იცავს ფორმიანი დაცვის







პოლიციის თანამშრომელი. როდესაც ამ სახლს გადასაღებად მივუახლოვდი, რა თქმა უნდა, შლაგბაუმის იქით არ გადავსულვარ. დამესივნენ. ვუთხარი, რომ გადაღება მინდოდა. წრეში მომაქციეს და აქეთ-იქიდან ამომიდგნენ, რომ არ გავნძრეულიყავი. ფოტოაპარატი გამომართვეს, მითხრეს, რომ გადაღების უფლება არ მქონდა და დასძინეს, რომ გადაამოწმებდნენ ჩემს ვინაობას. პირადობა ჩამომართვეს. 15-20 წუთის განმავლობაში გარეთ ვიდექი. მერე რომ დააზუსტეს, ვინ ვიყავი, დაუძახეს ერთ პიროვნებას, რომელიც, არ ვიცი, ვინ იყო. ის არ იყო დაცვის თანამშრომელი, არც ფორმა ეცვა, სამოქალაქო სამოსში იყო. რამდენიმე კითხვა დამისვა, რაზეც არ ვპასუხობდი. მე ჩავაცივდი, ვინ იყო, რა ერქვა. მაშინ მითხრა, რომ შოთა დამეძახა. თუმცა, შოთა ნამდვილად არ ერქვა. მან შემომთავაზა, რომ ჩავმჯდარიყავი მის მანქანაში და დიღმის ტრასაზე გამიყვანდა, რის მერეც დამიბრუნებდა ფოტოაპარატს. ეშინოდათ, მერე შორიდან არ გადამეღო. დავთანხმდი და დიღმის ასახვევამდე გამომაცილა, დამიბრუნა ფოტოაპარატიც. რომ გამოდიოდა მანქანა, დავინახე, საქარე მინასთან მარცხენა მხარეს იდო წითელი ხაზით გადახაზული საშვი და ეწერა: უსაფრთხოების სამსახური, მაგრამ, როდესაც ჩავჯექი, უკვე საშვზე ეწერა: საგარეო საქმეთა სამინისტრო. გამოცვალეს. არ უნდოდათ, რომ მცოდნოდა, უსაფრთხოების სამსახურიდან იყო. ცოტა კომიკურია, რომ საგარეო საქმეთა წარმომადგენელს გავერიდებინე იმ ტერიტორიიდან. არც ამიხსნეს, რატომ არ მქონდა უფლება, ფოტო შორიდან გადამეღო, ვეუბნებოდი, იქნებ განცხადების დაწერაა საჭირო ან სხვა ნებართვა. ერთ-ერთმა დაცვის თანამშრომელმა მითხრა, თუ არ გავჩერდებოდი და კიდევ მივიდოდი, ისინი იტყოდნენ, რომ მე გადავლახე პერიმეტრი, ვცდილობდი შეჭრას და დამაკავეს. ამიტომ ვერ გადავიღე სააკაშვილის რეზიდენციის ფოტო, დანარჩენი ყველას გადაღება მოვახერხე. ვიცოდი, რომ მსგავსი რამე შეიძლებოდა ამ ყველაფერს მოჰყოლოდა, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა „შოთა“, რომელმაც გაანეიტრალა დაძაბულობა.

რაც შეეხება დანარჩენ სახლებს, მინდა ვთქვა, რომ ბეჟუაშვილების სახლიც სულ შემთხვევით აღმოვაჩინეთ კოჯორში. სხვადასხვა სახლს ვათვალიერებდით და ვეძებდით ჩინოვნიკების სახლებს, ამ დროს დავინახეთ ძალიან დიდი კომპლექსი, უზარმაზარ ტერიტორიაზეა გადაშლილი თავისი კორტებით, ფეხბურთის მოედნებით. დავინტერესდი, ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო, მეზობლებს ვკითხეთ. სრულიად უწყინრად გვითხრეს, ბეჟუაშვილებისო. რამდენიმე მუშის ჩაწერა მოვახერხე. მათ ვეკითხებოდი, ვისი სახლია-მეთქი და მპასუხობდნენ, ბეჟუაშვილებისო. ერთ-ერთმა დაცვის თანამშრომელმა დამიდასტურა, რომ მართლაც ბეჟუაშვილების იყო.

***— წინააღმდეგობა არ იყო?***

— იყო. ამ დაცვის თანამშრომელმა, როგორც ჩანს, დარეკა და ორი პიროვნება დამადგა. მთხოვდნენ, ფოტოაპარატი მეჩვენებინა და გადაღებული ფოტოები წამეშალა. თუმცა, არ ვაჩვენე, რადგან პერიმეტრი არ დამირღვევია და ამის გადამოწმება იქ დაყენებული კამერებითაც შეიძლება. თუ პერიმეტრი დარღვეული მაქვს, მაშინ მიჩივლონ. მთელი გაწევ-გამოწევა იყო. ოდნავ მოშორებით იყვნენ ჩემი მეგობრები და მერე ისინიც დამეხმარნენ. დანარჩენი სახლების გადაღებისას წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია, რადგან სახლებში ძირითადად მუშები არიან და მშენებლობის პროცესშია. ისე, დაცვის თანამშრომლების შეუმჩნევლად ვახერხებდით გადაღებას.

მინდა, ერთ პრობლემაზეც გავამახვილო ყურადღება: საჯარო რეესტრმა, რომელსაც მივმართეთ, წერილი გამოგვიგზავნა, რომ სახლები ჯერ არ არის რეგისტრაციაში გატარებული. მაგალითად, ასეთი პასუხი მოგვივიდა კეზერაშვილის სახლზე. მერაბიშვილის სახლზეც ასეთი პასუხი მივიღეთ. მერაბიშვილის სახლზე ლეჟავას სიუჟეტის შემდეგ პასუხი იყო: ვიღაც რუსი ბიზნესმენის მერაბიშვილის არისო. ახლა კი საჯარო რეესტრი გვეუბნება, ჯერ არ ვიცით, ეს სახლი ვისი კუთვნილებაა, რადგან არ არის რეგისტრაციაში გატარებულიო. ასეთივე პასუხი მოვიდა ბარამიძეზეც.

***— ამ ჩინოვნიკებს თუ აქვთ დეკლარაციაში დაფიქსირებული ეს სახლები?***

— არც ერთს. მაგალითად, ცისკარიშვილს თავისი სახლი, რომელიც ყაზბეგის ქუჩაზეა, არა აქვს დეკლარაციაში დაფიქსირებული. არც ბეჟუაშვილებს აქვთ ყაზბეგის ქუჩაზე სახლი დეკლარაციაში დაფიქსირებული. თუმცა, შეიძლება მეორე ძმაზე იყოს გაფორმებული. არც კეზერაშვილზეა დაფიქსირებული, არც ბაქრაძეზე. როგორც გითხარით, ეს სახლი მის სიმამრზეა. აქედან გამომდინარე, დეკლარაციაში ვერ მოხვდა.

***— თუ მათი არ არის, უარყოფას ელოდებით ან პრეზიდენტისგან გამოხმაურებას?***

— პრეზიდენტისგან არაფერს ველოდები. გამორიცხულია, რომ მან რამე განცხადება გააკეთოს. ველოდები ამ ჩინოვნიკებისგან პასუხებს. მათგან ველოდები უარყოფას. თუ დაადასტურებენ, გამოდის, რომ კორუმპირებულები არიან. გამოდის, ვანო მერაბიშვილმა საკუთარი თავი უნდა დაიჭიროს, რაც გამორიცხულია. თუმცა, მე ამ ჩინოვნიკებს პირდაპირ დებატებს ვთავაზობ. თუ ჩივილი უნდათ, მიჩივლონ, რასაც ვერ შეძლებენ.

***— რატომ?***

— იმიტომ რომ მე დავამტკიცებ, ეს სასახლეები მათი კუთვნილებაა. მე მაქვს აუდიოჩანაწერი გაკეთებული. ფარული ჩანაწერები მაქვს მუშების. მეზობლების ან სხვა უცხო პირის შემთხვევაში ჩაწერა არ ხდებოდა, კონფიდენციალობას ვიცავდით. თუ სასამართლომდე მივა საქმე, ამ ჩანაწერებს ამოვიღებ. თუმცა, ამ ეტაპზე ჩანაწერების გამოქვეყნებას არ ვაპირებ. ამ ადამიანების უსაფრთხოებას ვუფრთხილდებით.

***— არ არის ადვილი, რომ ამაზე წახვიდე. ვინმე ხომ არ გმფარველობთ?***

— არა. ჩვენ ვართ ის ახალგაზრდები, რომლებიც ვიცავთ ადამიანის უფლებებს. საკმაოდ ცნობილი ვართ ამ კუთხით საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, საელჩოებისთვის. თუ დაიწყო პიროვნული დევნები და დაშინებები, ამას საერთაშორისო ორგანიზაციებამდე, დიპლომატებამდე მივიტანთ და მათ შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ისე, უკვე მიჩვეული ვართ დევნას. ჩვენი მოძრაობის წევრების უმრავლესობა ან „კაპეზეზეა“ ნამყოფი, ან სასჯელი აქვს მოხდილი პოლიტიკური ნიშნით. არაერთი დაშინების ფაქტი იყო. ჩემს სახლთან დღესაც დგანან „ოდეერები“ და მაკვირდებიან, მივალ სახლში თუ არა. აქედან გამომდინარე, შინ არ ვრჩები, გადავსახლდი.

***— გაგრძელდება ასეთი გამოფენები?***

— რა თქმა უნდა. ორი კვირის თავზე ვაპირებთ, დამატებით გამოვაქვეყნოთ მასალები. მაგალითად, გიორგი არველაძეს ბევრი ვილა აქვს კიკეთში. ტაბახმელაშია ბევრი სასახლე, ასევე — ცხვარიჭამიაში. იმ კვირიდან ტაბახმელაში გავდივართ. შემდეგი გამოფენა იქნება პარლამენტთან ან პრეზიდენტის რეზიდენციასთან.

# პრეზიდენტობა მიხეილ სააკაშვილისთვის ძალიან დიდი სასჯელი გახდება

**უზენაესი საბჭოს დეპუტატი თემურ ქორიძე ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი თავიდანვე კრიმინალური მიმდინარეობის გვერდით იდგა, როცა 1992 წელს საქართველოში დაბრუნებულმა არჩევანი კრიმინალურ დაჯგუფებაზე გააკეთა. ამდენად, ის თვითონ არის კრიმინალური მენტალიტეტის.**

გულიკო ბალა ე

**თემურ ქორიძის** განცხადებით, ადამიანთა გონებაში მენტალური რევოლუციები არ ხდება. ამიტომ, რაც არ უნდა ეცადოს მიხეილ სააკაშვილი, ის ქართველი ერის მენტალიტეტს ვერ შეცვლის.

***— ბატონო თემურ, დღევანდელი ხელისუფლება ქართველ საზოგადოებას ხშირად უჩვენებს დოკუმენტურ ფილმებს 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების თაობაზე. სხვათა შორის, იმ ფილმში სიუჟეტი ისეა აწყობილი და იმ კონტექსტში გასაუბრებენ, რომ შთაბეჭდილება იქმნება, ხელისუფლებას სურს, მის დამცველად გამოგიყვანოთ...***

— ამ ხელისუფლებას?

***— დიახ. ამ ფილმების ჩვენება იმ კონტექსტში ხდებოდა, რომ ასეთი შთაბეჭდილება იქმნება.***

— როდესაც ჩემთან მოდიან და შეკითხვებს მაძლევენ, მე, როგორც მომსწრე და მონაწილე, მეტად აქტიური, რომელიც იმ მოვლენების შუა გულში ტრიალებდა, გულწრფელ პასუხებს ვცემ იმასთან დაკავშირებით, რაც იმ დროს ხდებოდა. თუ ჩემს პასუხებთან დაკავშირებით ვინმეს პრეტენზია აქვს, სიამოვნებით მივიღებ გამოწვევას და გავმართავ დებატებს.

***— პრეტენზია არა მგონია ჰქონდეთ. უბრალოდ, ასეთი შთაბეჭდილება მე შემექმნა.***

— შეიძლება... თუკი, დავუშვათ, ხელისუფლება მთლიანობაში ჩათვლის, რომ ის ფილმი ფარად გამოიყენოს, არა მგონია ეს გამოუვიდეს, რადგან თვითონ ეს ხელისუფლებაა გამგრძელებელი იმ კურსისა, რამაც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება და სისხლიანი წინააღმდეგობა გამოიწვია, რამაც, პრაქტიკულად, ეროვნულ-გამათავისუფლებელ, პატრიოტულ სულისკვეთებას უდიდესი დარტყმა მიაყენა. პირდაპირ ვაცხადებ, დღევანდელი ხელისუფლება არის არა მხოლოდ სამართალმემკვიდრე, არამედ მენტალური თვალსაზრისითაც მემკვიდრე იმ პროცესებისა, იმ მოვლენებისა და იმ ადამიანებისა, რომლებმაც მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ჟამს, ანუ მაშინ, როცა საფუძველი ეყრებოდა დამოუკიდებელ საქართველოს, როდესაც მანიპულირებდა დემოკრატიით, ლიბერალიზმით, დასავლური ღირებულებებით, ეს იყო მხოლოდ შენიღბვა იმ რეალური სულისკვეთებისა, რითიც ისინი უპირისპირდებოდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ასე რომ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიითვლის სააკაშვილი და ხელისუფლება თავის ანგარიშში ეროვნულ ხელისუფლებას ვერანაირ კონტექსტში.

***— ეტყობა, ამ ფილმებს ხშირად იმიტომ უჩვენებენ, სააკაშვილს და მის ჯგუფს ეშინიათ, დროზე ადრე არ გაუშვან. როგორც ჩანს, ის არც აპირებს წასვლას ძალის გამოყენების გარეშე, თუ ვითარება რადიკალურად გამწვავდება, ხალხი ქუჩაში მისი გადადგომის მოთხოვნით გამოვა და უკან არ დაიხევს. ამიტომ მსგავს მოვლენებზე ფილმების ჩვენებით, ის საზოგადოებას აშინებს. სხვა შემთხვევაში, სააკაშვილს და ამ ხელისუფლებას იმ მოვლენების რეალური განსჯა რომ უნდოდეს, სამართლებრივ შეფასებას მისცემდა...***

— რასაკვირველია...

***— რადგან შეფასებას არ აძლევს, ის ფილმები საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის იარაღად მოჩანს.***

— როგორ მისცემს მიხეილ სააკაშვილი სამართლებრივ, თუნდაც პოლიტიკურ, თუნდაც ზნეობრივ შეფასებას 1991-92 წლების მოვლენებს, როდესაც მის ხელისუფლებაში აქტიურად არიან ის ძალები, რომლებმაც ის სისხლისღვრა მოაწყვეს საქართველოში. 2001 წელს გამოვიდა მიხეილ სააკაშვილის წიგნი „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“. მე რეცენზია გამოვაქვეყნე ამ წიგნის შესახებ. იქ მივუთითებდი, რომ მიხეილ სააკაშვილს, ამ ახალგაზრდა კაცს, ჰქონდა არჩევანი, როგორც ბევრმა მისმა თანატოლმა გააკეთა მაშინ, დამდგარიყო დევნილი, უსამართლოდ შევიწროვებული, სამაგიეროდ, ეროვნულ-პატრიოტული იდეალებით ანთებული ადამიანების გვერდით, ან დამდგარიყო ედუარდ შევარდნაძისა და მისი გუნდის გვერდით. მიხეილ სააკაშვილმა 1992 წელს, როდესაც პირველი ნაბიჯები გადადგა ქართულ პოლიტიკაში, უყოყანოდ დაიკავა ადგილი ედუარდ შევარდნაძისა და მისი გუნდის გვერდით. მეტიც, მიხეილ სააკაშვილი გვერდით დაუდგა არალეგიტიმურ, უზურპატორ,



ქართველების სისხლში გასვრილ ხელისუფლებას. რატომღაც მედია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ მომენტს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ბიოგრაფიისას...

***— ბატონო თემურ, მოდით გავიხსენოთ, რა ნაბიჯი გადადგა მიხეილ სააკაშვილმა 1992 წელს.***

— მიხეილ სააკაშვილი საქართველოში 1992 წელს ჩამოვიდა. იმ პერიოდში ყველა აქტიურ, პოლიტიკით დაინტერესებულ, პატრიოტ მოქალაქეს უნდა გადაეწყვიტა, სად დამდგარიყო იგი, კრიმინალების გვერდით თუ პატრიოტული ძალების გვერდით. მიხეილ სააკაშვილი კი იმ გუნდის გვერდით დადგა, რომელმაც ძალაუფლება მიიტაცა საქართველოში. პრაქტიკულად, ის წარმოადგენდა კრიმინალურ დაჯგუფებას. მიხეილ სააკაშვილი ამით ამაყობს კიდეც. 1992 წელს სააკაშვილი იყო ე.წ. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თანამშრომელი და სანდრო კავსაძესთან ერთად, რაღაც მოლაპარაკებებში ღებულობდა მონაწილეობას. სამწუხაროდ, მას არავითარი აქტიურობა არ გამოუჩენია არც პატრიოტულ მოძრაობაში, არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში. საერთოდ, ეს პიროვნება ქართული საქმისგან ყოველთვის შორს იდგა და მხოლოდ მაშინ გამოჩნდა ასპარეზზე, როცა წყალი აიმღვრა. მოგეხსენებათ, ასეთ დროს მუდამ აქტიურდებიან ის მებადურები, რომლებიც ამ მღვრიე წყალში ოქროს თევზის დაჭერას ცდილობენ. მან თითქოს მიაღწია თავის მიზანს და მის სანუკვარ ოქროს თევზს დაეუფლა — მიიღო პრეზიდენტობა, მაგრამ როგორც სტენდალი იტყოდა, თუ კაცს უნდა გახდეს მინისტრი, ის გახდება მინისტრი და ეს იქნება მისი სასჯელი. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტობა მიხეილ სააკაშვილისთვის ძალიან დიდი სასჯელი გახდება.

***— თქვენ ბრძანეთ, სააკაშვილი 1992 წელს უყოყმანოდ დადგა კრიმინალური დაჯგუფების გვერდითო, ანუ ის მენტალურად კრიმინალურ სამყაროს ეკუთვნოდა?***

— სააკაშვილი დადგა კრიმინალური მიმდინარეობის გვერდით. კრიმინალი მხოლოდ და მხოლოდ ჯიბის ქურდს არ ნიშნავს. კრიმინალი, მოგეხსენებათ, დანაშაულს ნიშნავს. მაშინ სახელმწიფო გადატრიალება პოლიტიკური, პარტიოტული, ზნეობრივი მოტივებით არ განხორციელებულა. სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა დანაშაულებრივი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით და მიხეილ სააკაშვილი სწორედ დანაშაულებრივი მენტალიტეტის პიროვნება აღმოჩნდა.

***— ბოლო დროს, სააკაშვილი ყველგან ამბობს, რომ საქართველოში უნდა მოახდინოს მენტალური რევოლუცია. ამ განზრახვიდან რა იკვეთება? მას უნდა, ვთქვათ, ქართველობის იდენტობის, ქართველური ცნობიერების, ტრადიციების (ან ყველაფრის ერთად) შეცვლა, თუ მას სურს თავის იმ ძველ კრიმინალურ წარსულს, კრიმინალურ მენტალიტეტს გაექცეს?***

— ნეტავი, მისი მიზანი კრიმინალური წარსულისაგან გაქცევა იყოს. ნეტავი, სააკაშვილს თავისი კრიმინალური მენტალიტეტის უკუგდება უნდოდეს და მენტალური რევოლუცია თავის თავში მოახდინოს. მაგრამ მას ეს ნამდვილად არ აქვს განზრახული. სააკაშვილის მიზანი ბოლშეიზოდური ახალი ანთროპოლოგიური ტიპის შექმნაა. სხვათა შორის, ამგვარი ტიპაჟის შექმნაზე აქტიურად მუშაობდნენ თავის დროზე ნაცისტები გერმანიაში, ფუტურისტები იტალიაში, რომლებიც გამოდიოდნენ ლოზუნგით, რომ ძველი ყველაფერი უნდა დაინგრეს და მხოლოდ და მხოლოდ ძველის ნანგრევებზე უნდა წარმოიშვას ახალი ადამიანი. მოგეხსენებათ, ბოლშევიკებიც ცდილობდნენ შეექმნათ ახალი ადამიანი, მაგრამ ასეთი მენტალური რევოლუციები არ ხდება ადამიანთა შეგნებაში. ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში არსებობს ასეთი გამოთქმა, კონტინუუმ (უწყვეტი ადამიანი). შესაძლებელია, რაღაც ისტორიულ პერიოდში მოხდეს გარკვეული წყვეტილობა, შესაძლებელია ამოიფრქვეს ისეთი ენერგია, რომელიც საზოგადოების თვალში რაღაც მოულოდნელობის ელფერს იძენდეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ადამიანი მიდრეკილია უხრწნელობისკენ, ანუ ის არასოდეს გამოუცნობ მომავალს არ გაამარჯვებინებს თავის წარსულზე, თავის თავზე, თავის აწმყოზე. ამიტომაა ადამიანი მთლიანი. სამყაროც და კაცობრიობაც ამიტომ ინარჩუნებს ერთ მთლიანობას. ასე რომ არ იყოს, მთელი სამყარო ნანგრევებით და ცხედრებით იქნებოდა მოფენილი. ამდენად, მიხეილ სააკაშვილს ძალიან ეცოტავება თვალში ადამიანი და კაცობრიობა. თუკი ის ცდილობს (ნამდვილად ცდილობს) ძალიან გულიბრყვილო მიზნის განხორციელებას, რომ ჩამოაყალიბოს ახალი ეთნოფსიქოლოგია, უფრო სწორად, ანტიეთნოფსიქოლოგია და მსოფლიო მოქალაქის მოძველებული, ყავლგასული და ყოვლად ანტიჰუმანური იდეა განახორციელოს საქართველოში, ამას, რასაკვირველია, პერსპექტივა არ გააჩნია.

***— სააკაშვილი თავს იქებს, რომ კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანები (ე.წ. კანონიერ ქურდებს რომ ეძახიან) ციხეში გამოამწყვდია, მაგრამ თვითონ ხელისუფლება, ფაქტობრივად, ისე იქცევა, გეგონება ე.წ. „კანონიერი ქურდები“ ხელისუფლებაში გადასხდნენო.***

— მე ერთი ნიჭიერი ქართველი პოეტის სტრიქონებს შეგახსენებთ: „აქლემის ქურდი ნემსის ქურდს იჭერს, ციხეში აგზავნის“.

***— დიახ, ნიშნიანიძის სტრიქონებია...***

— ყალბი მორალის დამკვიდრება არ მოხდება. ჭეშმარიტი ელიტის ნაცვლად ვერანაირი ყალბი ელიტა თავს ვერ დაიმკვიდრებს. ეს არის ფრაზეოლოგიური ფასადი, რომლის მიღმაც ძალიან საშიში კრიმინალური მიზნები იმალება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს მიზნები არ მთავრდება. მე ძალიან გამაოცა ერთმა ფაქტმა. როდესაც მიხეილ სააკაშვილმა თავისი საპარლამენტო ვიზიტის დროს, ერთ-ერთ „ოპოზიციონერს“ შეკითხვა დაუსვა, ვინ არის კორუფციონერი, მე ვარ კორუფციონერიო? სამწუხაროდ, ეს შეკითხვა მან უპასუხოდ დატოვა, თითქოს მოულოდნელი იყო იმ დეპუტატისათვის, ენა მუცელში ჩაუვარდა. მაშინ, როდესაც მას პირდაპირ შეეძლო გაეშვირა ხელი მიხეილ სააკაშვილისკენ და ეთქვა, დიახ, შენ ხარ კორუფციონერიო. ეს ისეთი ჭეშმარიტი განაცხადი იქნებოდა, რომელსაც არგუმენტიც არ სჭირდებოდა, რადგან მთელი საქართველო უყურებს დაძაბუნებულ, დაბეჩავებულ, გალატაკებულ, მშიერ ქვეყანაში როგორ გალაღებული დადის მისი მმართველი. სააკაშვილს არც კი შეუძლია (ხალხის დასანახად მაინც) ტრაგიკული ნიღბის მორგება. ეს ადამიანი ძალიან შორს დგას რეალობის იმ მწვავე ფაქტისაგან, რაც უნდა ახასიათებდეს პოლიტიკოსს. ყოველთვის ზვიად გამსახურდიას გვერდით ვიყავი და სრულიად გულწრფელად გეუბნებით, გალიმებული, გალაღებული, აღტაცებული ზვიად გამსახურდია არ მახსოვს. მისთვის პრეზიდენტობა დღესასწაულის საგანი კი არა, მძიმე ტვირთი გახლდათ, რომელიც ღამითაც კი მოსვენებას უკარგავდა.

***— დღევანდელი პიარტექნოლოგიების თანახმად, ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი, მინისტრები, ხალხს უნდა უღიმოდნენ, რომ ნდობა მოიპოვონ. ზოგიერთებს ჩემთვის უთქვამთ, ზვიად გამსახურდიას გარკვეული ცნობილი პიროვნებებისთვის იუბილე რომ მიელოცა, მათ გულს მოიგებდა და აღარ დაუპირისპირდებოდნენო. როგორც ჩანს, საზოგადოებას ეს პირფერობა მაინც უხარია.***

— მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა. ამიტომ მხოლოდ ამ თვალსაზრისით ვახსენებ იესოს. სადმე ვინმეს უნახავს, ფრესკაზე ან ხატზე გამოსახული ჩვენი მაცხოვარი გალიმებული?

***— არა, არა.***

— სადმე შეიძლებოდა ეხილა ადამიანს კაცობრიობის ტვირთითა და ცოდვით დამძიმებული იესო გალიმებული და სახეგაბადრული? განა, უხდება კი საქართველოს პრეზიდენტს ჰოლივუდის ვარსკვლავის მსგავსად ალმა-დალმა სიარული? შეიძლება ეს მოხდენილობად ჩაეთვალოს საქართველოს პრეზიდენტს, იმ ქვეყნის პრეზიდენტს, რომლის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას დღეს? შეიძლება ეს მას პლუსად ჩაეთვალოს, თუნდაც გამართლებულ პიარზე მიუთითებდეს? უპრიანი იქნებოდა, საქართველოს პრეზიდენტი ცოტა დაღვრემილი და გულმოკლული დადიოდეს, შუბლზე ნაოჭები უმრავლდებოდეს.

***— ბატონო თემურ, სააკაშვილმა, როგორც ქვეყნის პირველმა პირმა, ერთხელ თქვა, მერე რა, ორი სოფელი დავკარგეთო. ახლა თქვა, რაც რუსეთმა წაგვართვა, ფასი არ აქვს, ქვა და კლდეაო. ამიტომ, ალბათ, მოწყენის მიზეზსაც ვერ ხედავს და რატომ უნდა დადიოდეს დაღვრემილი?***

— რასაკვირველია, ვისთვის ქვა-ღორღია, ვისთვის — სამშობლო, ვისთვის — ერთიანი საქართველო, ვისთვის — ერთიანი ქართველობა. ერთ-ორ სოფელზე რომ იყოს ლაპარაკი, „მიწის ნაგლეჯზე“, როგორც მათ წარმოუდგენიათ, მაშინ არაფერს იტყოდა ადამიანი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაზე, დანაწევრებულ, დაქუცმაცებულ, დაშლილ საქართველოზე არ არის ლაპარაკი. დაშლის პროცესი იმდენად მასშტაბური გახდა საქართველოში, რომ თითოეული ქართველის სულიერებაზე აისახა. რღვევის საშინელი სენი თითოეული ადამიანის შინაგან სამყაროში გადავიდა. დღეს ჩვენ არა მხოლოდ ტერიტორიული და მატერიალური რღვევის მომსწრენი ვართ, არამედ ირღვევა და ინგრევა ქართველის პიროვნული კონსტიტუცია.

## საქართველოში სტალინის სახელობის ქუჩა აღარ იქნება

25 თებერვალს საქართველოში პირველად „საბჭოთა ოკუპაციის“ დღე აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ გადაწყვიტა საბჭოთა ლიდერების და ქართველი რევოლუციონერების სახელობის ქუჩებს სახელები გადაარქვას.

შესაბამისი მოთხოვნით, შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ არსოშვილმა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უკვე მიმართა. გუბერნატორის ინიციატივა საკრებულომ დღეს დააკმაყოფილა და ამიერიდან, იოსებ სტალინის ქუჩას გიორგი სააკაძის სახელი ეწოდება, სააკაძის ძველ ქუჩას კი, გასულ საუკუნეში საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქ ეფრემ მეორის სახელი ეწოდება. სახელები გადაერქვა მახარაძის და ენგელსის ქუჩებსაც. კასპის საკრებულოს სხდომის შესაბამისი ოქმი ქუჩების სახელწოდების ცვლილებებთან დაკავშირებით პროცედურების გასავლელად საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს სპეციალურ კომისიას გაეგზავნა.

აღსანიშნავია, რომ კასპის გარდა საბჭოთა ლიდერების და რევოლუციონერების ქუჩები საქართველოს სხვა ქალაქებშიც არსებობს მაგალითად, გორში. სენაკში საბჭოთა რევოლუციონერ ცხაკაიას (საბჭოთა პერიოდში სენაკს ცხაკაია ერქვა), ხოლო გალში სტალინის სახელობის ქუჩებია.

**მედიანიუსი**

## „სახალხო კრებამ“ სიღნაღსა და ყვარელში კომიტეტი დააფუძნა

„სახალხო წარმომადგენლობითმა კრებამ“ პარასკევს სიღნაღსა და ყვარელში წინააღმდეგობის კომიტეტი დააფუძნა. როგორც „მედიანიუსს“ „სახალხო კრების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ბათიაშვილმა განუცხადა, ყვარელში წინააღმდეგობის კომიტეტს სანდრო გიორგაშვილი უხელმძღვანელებს, ხოლო სიღნაღში გიორგი ჩირინაშვილი. როგორც „სახალხო კრებაში“ აცხადებენ, წინააღმდეგობის კომიტეტები საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო დაუმორჩილებლობისთვის მოამზადებენ. საქართველოს მასშტაბით „სახალხო კრებამ“ უკვე 28 წინააღმდეგობის კომიტეტი დააფუძნა.

**მედიანიუსი**

## ამერიკის შეერთებული შტატები კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით იაპონიას მხარს უჭერს

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება აღიარებს იაპონიის სუვერენიტეტს კურილიის ოთხ კუნძულზე და მხარს უჭერს მოსკოვისა და ტოკიოს მცდელობას სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის შესახებ - განაცხადეს მოსკოვში აშშ-ს საელჩოში.

— ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს იაპონიას ამ საკითხში და აღიარებს მის უფლებას კუნძულებზე, — განაცხადეს საელჩოში.

დიპლომატებმა ასევე აღნიშნეს, რომ ვაშინგტონი მიესალმება მხარეთა მცდელობას, რათა მიღწეულ იქნას სამშვიდობო შეთანხმება და განმტკიცდეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა.

აშშ-ს მთავრობას მიაჩნია, რომ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა პასუხობს ორივე ქვეყნის ინტერესებს და რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების გამყარებას.

**მედიანიუსი**

# სტივენ სიგალი — თეთრი სამურაი



**თეთრ სამურაის წოდებული ამერიკელი კინომსახიობი, სტივენ სიგალი, პირველად ეკრანებზე ფილმით „კანონზე" გამოჩნდა. მას შემდეგ კიდევ ბევრ საინტერესო ფილმში ითამაშა, სადაც დაამტკიცა თავისი ქარიზმატული თვისებები და აღმოსავლური ორთაბრძოლების შესანიშნავი ცოდნა.**

## ბავშვობა

სტივენ სიგალი 1951 წლის 10 აპრილს დაიბადა მიჩიგანის შტატის ქალაქ ლანსინგში. მალე მთელი ოჯახი საცხოვრებლად ჩიკაგოში გადავიდა, ხოლო როდესაც სტივენი 9 წლის იყო, ისევ შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი და ამჯერად ლოს-ანჟელესში დასახლდნენ.

ჯერ კიდევ ჩიკაგოში ცხოვრებისას სიგალი მამამ კარატეზე მიიყვანა, რომელმაც პირველივე დღიდან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ბიჭუნაზე და იქვე გადაწყვიტა მისი ცხოვრებისეული გზა.

## აიკიდო

მოწადინებულმა ყმაწვილმა თავისი შესაძლებლობებითა და შედეგებით მალე აჯობა თავის ყველა თანატოლს და მიხვდა, რომ ამერიკაში უკვე აღარაფერი ესაქმებოდა. 17 წლის სტივენმა ჯიბეში ძალიან მცირე თანხით იაპონიის დედაქალაქ ტოკიოს მიაშურა, სადაც ერთ-ერთ აღმოსავლური ორთაბრძოლების სკოლაში ჩაეწერა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც თეთრი რასის წარმომადგენელს, თავდაპირველად ამზერით შეხვდნენ. იაპონელი კოლეგები ამცირებდნენ და დასცინოდნენ, მაგრამ მალე როლები შეიცვალა. თითქმის ყოველ საღამოს სიგალი შეგნებულად დადიოდა კრიმინალურ უბნებში და იქაურ ხულიგნებთან ჩხუბებს აწყობდა. ასე გახდა სიგალი ტოკიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ხულიგანი და აღმოსავლური ორთაბრძოლების საუკეთესო მცოდნე.

სიგალს განსაკუთრებით მოსწონდა აიკიდოს ფილოსოფია, რომელსაც ჯერ კიდევ ამერიკაში დაეუფლა კალიფორნიაში მცხოვრები იაპონური წარმოშობის ჰარი ისტიტაკასთან. 1973 წელს სიგალი გახდა არაიაპონური წარმოშობის მებრძოლი, რომელიც 2-წლიან სტაჟირებაზე მიიწვიეს აიკიდოს საერთაშორისო ცენტრ „ასიკიკაიში". რამდენიმე წელიწადში სიგალი გახდა აიკიდოს გამოჩენილი ოსტატი, მიიღო შავი ქამარი კარატეში, შეისწავლა ძიუდო, კენდო, ტაიჩი, კუნ-ფუ, კენ-ჯიცუ.

2 წლის შემდეგ სიგალმა ოსაკაში თავისი კლუბი გახსნა და შექმნა ინდივიდუალური სტილი აიკიდოში, რომელშიც ერთმანეთს შეუთავსა ამერიკული ძალა და იაპონელი სამურაების სულისკვეთება.

თუმცა, სიგალი არ იყო ის ადამიანი, რომელიც ერთ ადგილზე ყოფნას შეეგუებოდა და ახალი, საინტერესო და სათავგადასავლო გზის ძიება დაიწყო. ხანგრძლივი განშორების შემდეგ სიგალი კალიფორნიაში დაბრუნდა, სადაც საბრძოლო ხელოვნების სკოლა დააფუძნა. მისი ცოდნა მალევე აღიარეს ამერიკაში და მალე მთავარი ინსტრუქტორი გახდა.

ამერიკაში დაბრუნებული სიგალი პარალელურად მნიშვნელოვანი ფიგურების პირად მცველად მუშაობდა. ამერიკაში ვიზიტის დროს მისი სამსახური თავად ეპიკოპოსმა დეზმონ ტუგუმ ისურვა. ამასთან, მუშაობდა უსაფრთხოების სამსახურის მრჩევლად და კერძო პირებს უსაფრთხოების დაცვის თეორიებს ასწავლიდა.

## კინოკარიერა

სიგალის აღმოსავლური ორთაბრძოლების სკოლის ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი მსახიობები, მათ შორის, შონ კონერი და მაიკლ ოვიცი, რომელიც ჰოლივუდის კინოსამყაროს ერთ-ერთ მაგნატად ითვლება. სწორედ მან „შეიტყუა" სიგალი კინოსამყაროში.

1988 წელს ეკრანებზე გამოვიდა კრიმინალური ბოევიკი „კანონზე", რომლშიც სიგალმა წარმატებით ითამაშა პოლიციელი ნიკო ტოსტანის როლი. ფილმის შემოსავალმა, რომლის გადაღებაც 7 მილიონი დოლარი დაჯდა, 30 მილიონს გადააჭარბა. ფილმის წარმატებაზე იმანაც იმოქმედა, რომ ის გაჯერებული იყო სიგალის რეალური ცხოვრების ეპიზოდებით. ასე დაიწყო სტივენის კინოკარიერა.

1990 წელს გამოვიდა კიდევ ერთი ბოევიკი, „სიკვდილის წინააღმდეგ", რომლის შემდეგ სიგალმა გადაასწრო არა მარტო ჩაკ ნორისს, დოლფ ლუნგრენს, ჟან კლოდ ვანდამისა და სხვა მის კოლეგებ-მსახიობებს, არამედ აწ გარდაცვლილ ბრიუს ლისაც. ფილმის შემოსავალმა 50 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ფილმის გადაღებისას სიგალმა გაიცნო მსახიობი კელი ლე ბროკი, რომელიც არა მარტო მისი პარტნიორი იყო, არამედ პაციენტიც გახდა და მის სკოლაში აკუპუნქტურის სეანსებს გადიოდა.

თითქმის ყველა ფილმში სიგალი ერთი და იმავე ხასიათის როლს თამაშობდა — პოლიციელი, რომელიც სამაგიეროს უხდის კრიმინალებს დაღუპული მეგობრებისთვის, ოჯახის წევრებისთვის და მტრებს ყოველთვის ერთი და იმავე მეთოდით ებრძვის. ამის მიუხედავად, მის ყოველ როლს მაყურებელი მოწონებით ხვდებოდა.

1991 წელს გამოვიდა ფილმი „სამართლიანობის სახელით". სიგალი თვლის, რომ სწორედ ამ ფილმში იქნა გადაღებული საუკეთესო საბრძოლო სცენები. ერთია, კრიტიკოსები მას მხოლოდ სუსტ სამსახიობო ნიჭს უწუნებდნენ.

ამის გამო იყო, რომ 1992 წელს, რამდენიმე უიღბლო მცდელობის შემდეგ, პროდიუსერებმა ძლივს დაითანხმეს სიგალი, მიეღო მონაწილეობა ფილმში „ალყა", სადაც კვლავ შეხვდა რეჟისორ ენდრიუ დევისს. ამჯერად კი კრიტიკოსები ერთობლივი შექებით შეხვდნენ როგორც რეჟისორს, ასევე მსახიობის შესანიშნავ თამაშს.

საწყისი 4 ფილმის შემოსავლმა ამერიკაში 100 მილიონს გადააჭარბა და დაახლოებით ამდენივე შემოსავალი სხვა ქვეყნებიდანაც მიიღო.

სიგალის კუმირად კი იაპონელი რეჟისორი აკირა კუროსავა რჩებოდა და მისი გავლენით გადაწყვიტა, თავად გადაეღო სერიზული ფილმი. თითქოს წინ არაფერი ედგა, მაგრამ 1993 წელს, როდესაც უკვე დამთავრებული იყო ფილმ „სიმართლის კაცის" მოსამზადებელი ეტაპი, გადაღებების დაწყება ვერ მოხერხდა, რადგან სურათი ვერ დაფინანსდა. სიგალს თავად მოუხდა მილიონი დოლარის გადახდა მანამდე გაწეული სამუშაოებისთვის. არადა, ეს ფილმი მისი რეჟისორული დებიუტი უნდა გამხდარიყო.

სამაგიეროდ 1994 წელს კომპანია „უორნერ ბრაზერსმა" ახალგაზრდა მსახიობს შესთავაზა რეჟისორობა ფილმში „სიკვდილის შიშში", რომლისთვისაც გამოყოფილი იყო 50 მილიონი დოლარი და შესანიშნავი მსახიობებიც იყვნენ მიწვეული. თუმცა, სიგალმა აშკარად ჩააგდო რეჟისორული დებიუტი, მაგრამ ამაში კინოკომპანია დაადანაშაულა და ბრალად მისი მოთხოვნების შეუსრულებლობა დასდო.

## ოლიმპზე

1995 წელს გამოვიდა სიგალის ახალი შედევრი, „ალყაში 2", სადაც მას პარტნიორობას უწევდა ერიკ ბოგოსიანი. როგორც ყოველთვის, სიგალი აქაც უთანასწორო ბრძოლას მარტოდ კრიმინალებთან და გამარჯვებული გამოდის. აღსანიშნავია, რომ ყველა მისი გმირი იშვიათად იყენებს ცეცხლსასროლ იარაღს და ძირითადად მოქნილი ხელებისა და ფეხების ხარჯზე იმარჯვებს.



სიგალის კიდევ ერთ წარმატებულ ფილმად მიიჩნევა 1996 წელს გადაღებული „ნაბრძანებია, გაანადგუროთ". არანაკლებ წარმატებული იყო მისი მომდევნი ფილმი, „ცეცხლი იმ ქვეყნიდან", რომელიც მაყურებელმა 1997 წელს იხილა.

იმავე წელს სიგალი ბუდიზმმა გაიტაცა. ნამდროლინგის მონასტრის ღირსეულმა ლამამ, პენორ რინჩოპემ, ცნობილი ტიბეტელი მასწავლებლის, ჩორდენ რონჩეპის რეინკარნაციად აღიარა მხოლოდ იმ პირობით, თუ შეწყვეტდა ფილმებში გადაღებებს, სადაც სისხლი და მკვლელობა იყო გამოყენებული. მსახიობმა მიიღო ეს გამოწვევა და რამდენიმე კინოკომპანიასთან კონტრაქტი გაწყვიტა. როდესაც ეს მისმა მეუღლემ შეიტყო, გაიფიქრა, რომ სიგალი ჭკუიდან შეიშალა. მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო ბევრმა ამერიკულმა ტაბლოიდმა.

## კინოკარიერის გაგრძელება

სიგალმა კინოს გარეშე მაინც ვერ გაძლო და 2003 წელს გადაღებებს შეუდგა. ფილმი „უჯრედების მეფე" დიდი ხნის ჩაფირებული იყო, სადაც მსახიობი თავისი ბიოგრაფიის ნაწილს იყენებს. მაყურებელმა მისი სრული სახე ეკრანებზე ერთი წლის შემდეგ იხილა.

2005 წელს ეკრანებზე რამდენიმე ფილმი გამოჩნდა, რომლებშიც სიგალი მონაწილეობდა — „უცხოელი 2", „წარსულის ჩრდილები" და „შენ დღეს მოკვდები".

მამაცი მსახიობი ყოველ ფილმში თავს, როგორც ნამდვილი სამურაი, ისე წარმოაჩენს. იბრძვის ყოველთვის მარტო, რომელმაც არ იცის არავის დანდობა „ომის" გზაზე და იყენებს ისეთ მეთოდებს, რომლებიც ადამიანურობის თვალსაზრისით მაინცდამაინც არ გამოირჩევა.



## ბოლო ნამუშევრები

სიგალის კარიერა წარმატებით ვითარდებოდა კრიმინალებზე შურისძიებით, მაგრამ მაყურებელს სწორედ ეს სიამოვნებდა. 2007 წელს გამოვიდა 2 ფილმი — „შავი ჭექა-ქუხილი" და „მოძებნე მკვლელი", სადაც ყოფილი სპეცაგენტი ეძებს შვილის მკვლელს.

სიგალი თვლის, რომ საბრძოლო ხელოვნება არის წარმოდგენა, ხოლო სიყვარული ღმერთისგანაა ბოძებული და მის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია. თუმცა, ამ სიტყვებში ძნელია ენდოთ მსახიობს, როდესაც ნახავთ ფილმს „სასიკვდილო დარტყმა". მაყურებელს ამ ფილმში სიტყვა „სიყვარული" თავში აზრადაც არ მოუვა.

არანაკლებ პოპულარული იყო მისი მონაწილეობით 2008 წელს გამოსული ფილმები — „რუსლანი" და „ეშმაკისეული ცნობები".

2009 წელს კი მისი ხილვა შეიძლებოდა საშინელებათა ფილმში „კაცობრიობის ბოლო იმედი", სადაც თავის ოსტატობას ვამპირების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებს.

## კინოკარიერის გარდა

სიგალი, ამავდროულად, წარმატებული ბიზნესმენიც არის. მან სილვესტერ სტალონესთან, არნოლდ შვარცნეგერთან და ბრიუს უილისთან ერთად დააარსა კინოკომპანია. რამდენიმე ქვეყანაში ფლობს რესტორანთა ქსელს „ჰოლივუდის პლანეტა".

ბევრი თვლის, რომ სიგალს კინოკარიერამ შეუშალა ხელი, გამხდარიყო პოპულარული მომღერალი. მათი აზრით, „სიგალი და ტრანდერბოქსი" შესანიშნავი ბლუზის შემსრულებელი ჯგუფი იქნებოდა და მეტი წარმატება ექნებოდა, ვიდრე ფილმებში.

## პირადი ცხოვრება

სიგალის პირადი ცხოვრება ძალიან წააგავს მისი გმირებისას. ერთხელ სიგალმა ცნობილი კარატისტი ბობუოლი ჩხუბში გამოიწვია და, წესების თანახმად, მთლიანად კონტაქტური უნდა ყოფილიყო. ეს კარატისტი ჩაკ ნორისთან და ბრიუს ლისთან ერთად არის გადაღებული ფილმებში და ერთხელ სიგალის მეგობარ ნორისს შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც სიგალმა არაკორექტული გამონათქვამები იხმარა უოლის მიმართ. თუმცა, უოლმა მისი გამოწვევა არ მიიღო.

ამის შემდეგ სიგალმა ყველა აღმოსავლური ორთაბრძოლის ოსტატი ჟურნალ „ბლეკ ბელტით" სასიკვდილო ბრძოლებზე გამოიწვია. მისი ეს წინადადებაც უყურადღებოდ დატოვეს.

აღმოსავლური ორთაბრძოლების ძალიან ბევრი ავტორიტეტული პიროვნება მის მიმართ დიდი პატივისცემით იყვო გამსჭვალული. მაგალითად, ცნობილმა ძიუდოისტმა ჯინ ლე ბელმა აღნიშნა, რომ სიგალი ძალიან კეთილია, ბევრ უცნობ ადამიანს დახმარებია და სამსახური მიუცია.

ცნობილი ინსტრუქტორი ტომ მუზილი კი აღნიშნავდა, რომ სიგალი იმიტომ კი არ იყო წარჩინებული, რომ ძალიან მაღალ, მეშვიდე დანს ფლობდა საბრძოლო ხელოვნებაში, არამედ იმიტომ, რომ მართლაც შეუდარებელი პროფესიონალი იყო.

რაც შეეხება მის ქორწინებებს: 19 წლის ასაკში სიგალმა იაპონელ გოგონა მიჯიკო ფურჯიტანიზე იქორწინა, რომელიც აიკიდოს ოსტატის ქალიშვილი გახლდათ. ეს ქორწინება იმიტომ შედგა, რომ მიჯიკო ფეხმძიმედ იყო. ქორწინებიდან წყვილს ბიჭი კენტარო და გოგონა აიაკო შეეძინა. მათი თანაცხოვრება 1981 წლამდე გაგრძელდა.

1985 წლის ბოლოს სიგალმა იაპონიაში გაიცნო მსახიობი და მოდელი კელი ლე ბროკი, რომელიც შემდეგ მისი ცოლი და 2 შვილის დედა გახდა. თუმცა, ამ ქორწინებას კელის კინოკარიერა შეეწირა. მაგრამ კელი ვერ შეეგუა სიგალის ფილოსოფიას — ქალმა მხოლოდ ბავშვები უნდა შვას, მიხედოს იჯახს, ენას კბილი დააჭიროს. ამასთან, მეუღლის „მორჯულებას" მსახიობი ხშირად მუშტებითაც ცდილობდა.

როგორც ჩანს, სიგალს მუშტების გამოყენება უამრავ საყვარელთანაც უხდებოდა, რომელთა თვალებჩალურჯებული ფოტოები ხშირად ჩნდებოდა ყვითელი პრესის ფურცლებზე. სიგალი არა მარტო დასცინოდა მათ, არამედ ემუქრებოდა და აშანტაჟებდა კიდეც. ერთ-ერთ მათგანთან, ბიზნესმენ შერლი შუმათან „მეგობრული" საუბრის შემდეგ გოგონას სახეზე მოზრდილი სილურჯე დარჩა.

1994 წელს სტივენი და კელი ერთმანეთს დაშორდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ სიგალს თავისი შვილის აღმზრდელი, 16 წლის არისა ვულფი შეუყვარდა.

1996 წელს ყველაფერი ქორწინებით დასრულდა და მალე გოგონაც შეეძინათ, ხოლო გასულ წელს 57 წლის სიგალი კიდევ ერთხელ გახდა მამა — არისამ ამჯერად ბიჭი აჩუქა.

## საინტერესო ფაქტები

სიგალი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ამერიკის სამხედრო და სპეცსამსახურებში. ისინი მსახიობში თავიანთ აგენტს ხედავენ.

სიგალი აზიაში დაქირავებულ მკვლელებზე ნადირობდა.

2007 წელს სიგალს უნდოდა, მოლდავური საფეხბურთო კლუბი შეეძინა და საამისოდ დიდი თანხის გაღებას აპირებდა. მოლდავეთის მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენა და კიშინიოვში ჰოლივუდის „ფილიალის" შექმნაც სურდა, მაგრამ მის გეგმები ვერ განხორციელდა.

ყალმუხეთის პრეზიდენტმა კირსან ილუმჟანოვმა სიგალს რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის წოდება და უბოძა და სიტი-ჩესში ბინაც აჩუქა.

სიგალი ჰოკეისტთა კლუბის, „ფილადელფია ფლეიერსის" თავგადაკლული გულშემატკივარია.

# დავით ზარქუა: „ბავშვობის ოცნება ამისრულდა“

ახლახან თბილისში დასრულებულ საქართველოს კაცთა ეროვნულ ჩემპიონატზე იმდენი სენსაცია და მოულოდნელი შედეგი ვიხილეთ, რომ ყველაზე თამამ პროგნოზისტსაც გააოცებდა. „სასწაულები“ პირველივე ტურიდან დაიწყო და ბოლომდე ასე გაგრძელდა — ჩემპიონი დავით ზარქუა გახდა, ვინც ტურნირში რეიტინგით ბოლო — მეთექვსმეტე იყო განთესილი!

აუტსაიდერმა ფავორიტები გზიდან ჩამოიცილა და ქართულ საჭადრაკო ქარავანს თავში მოექცა! გასაკვირია ისიც, რომ 24 წლის ზარქუას არათუ დიდოსტატის წოდება უმაგრებს ზურგს, საერთაშორისო ოსტატიც კი არ გახლავთ და მხოლოდ ეროვნული ოსტატობით შეუძლია თავის მოწონება. მისი გამარჯვება ბევრს, ალბათ, მაინც შემთხვევითობად მიაჩნია, მაგრამ თუ მასთან ინტერვიუს გაეცნობით, რომელიც ჭადრაკის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, შესაძლოა, აზრი შეგეცვალოთ.

***— დავით, გილოცავთ გამარჯვებას. თქვენი თამაში სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჭადრაკის სპეციალისტებისა და გულშემატკივრებისათვის. ვერავინ იფიქრებდა, რომ ფავორიტთა ძლევას მოახერხებდით. თქვენც ასე ფიქრობდით, თუ მზად იყავით მსგავსი წარმატებისთვის?***

— უპირველესად დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მოლოცვისათვის. მსგავსი წარმატება კი, გულახდილად გეტყვით, ჩემთვისაც დიდი სიურპრიზია. საქმე ის არის, რომ გარდა საჭადრაკო ოსტატობისა, რომელიც მე ნამდვილად არ მქონდა ამ ჩემპიონატზე ყველაზე მაღალი, სათამაშო პრაქტიკაც მაკლდა. წლებია უკვე, რაც აქტიურ სპორტულ ცხოვრებას აღარ ვეწევი. სათამაშო პრაქტიკის და შესაბამისი მომზადების გარეშე კი ნებისმიერი ტურნირის მოგება ურთულესი საქმეა. როგორც ჩანს, საკუთარ ძალებს არცთუ ობიექტურად ვაფასებდი და მაღალ დონეზე თამაშიც შემძლებია. აშკარაა, რომ ჩემზე დადებითად იმოქმედა ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა — დასაკარგი არაფერი მქონდა, არ ვნერვიულობდი და ვცდილობდი ის ჭადრაკი მეთამაშა, რაც ვიცი და შემიძლია. მეტოქეებს კი სანერვიულო ბლომად ჰქონდათ — მიკრომატჩებში ერთ შეცდომას შეუძლია გადამწყვეტი როლის თამაში და როცა ფავორიტად ითვლები, ნერვული დაძაბულობა ორმაგ ტვირთად გაწვება.

***— მხოლოდ განწყობით და სიმშვიდით ფონს რომ ვერ გახვალ, ესეც უნდა იყოს თქვენთვის ცნობილი. კიდევ რამ განაპირობა შენი ტრიუმფი?***

— დაგეთანხმებით და აღვნიშნავ, რომ თუ კარგად ვერ ითამაშე, ვერანაირი ფსიქოლოგიური სტაბილურობა ვერ გიშველის. მართალია, ბევრს ველარ ვთამაშობდი, მაგრამ იმ ტურნირებში, რომელიც საქართველოში ტარდებოდა, მონაწილეობას ვიღებდი. სხვა საქმეა, რომ ასეთი ასპარეზი ქართველებს ბევრი არ გვაქვს. როგორც ჩანს, სამწვრთნელო ასპარეზზე გადართვამაც იმოქმედა დადებითად — სკოლაში და კერძოდაც ვამეცადინებ ბავშვებს, ანუ გარკვეულ პრაქტიკას მაინც გავდიოდი და სათანადო საჭადრაკო უნარ-ჩვევები არ დამიკარგავს. ერთსაც დავამატებდი: დღეს მსოფლიოში ძალიან პოპულარულია ინტერნეტით ჭადრაკის თამაში. მეც ვარ გაწევრიანებული რამდენიმე საჭადრაკო ვებგვერდზე და სისტემატურად ვთამაშობ ხოლმე; ძირითადად, ბლიცებში ვეჯიბრებით ერთმანეთს, მაგრამ ესეც სასარგებლოა.

***— კარიერაში აქამდე მსგავსი მასშტაბის გამარჯვება არ გქონიათ, შესაბამისად, არც წოდება გაქვთ მაღალი რანგის. საკუთარ თავს ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველის ადგილზე დავაყენებ და გკითხავთ: კი მაგრამ, ასე ერთი ხელის მოსმით „გააზნაურება“ როგორაა შესაძლებელი? ეგებ კარიერული წარმატებების შესახებ გეთქვათ მოკლედ.***

— სიამოვნებით. მესმის მკითხველისაც, მაგრამ ისეც არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ აქამდე ჭადრაკში არაფერს წარმოვადგენდი. ბავშვობაშიც და შემდგომ პერიოდშიც — სტუდენტობის დროს, საკმაოდ კარგ შედეგებს ვაღწევდი. ჩემი თაობის ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი, რაც შედეგებშიც აისახებოდა: ორჯერ გავხდი 16 წლამდე ასაკში საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი; 18 წლამდე ასაკში მესამეზე გავედი; 2006 წელს კი ოცწლამდელთა ჩემპიონატი მოვიგე. 2005 წელს შავი ზღვის აუზის ქვეყნების უნივერსიადაზე გავიმარჯვე, როგორც გუნდურში, ისე ინდივიდუალურში. რამდენჯერმე ვიასპარეზე ევროპისა და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებში და მართალია, დიდი შედეგიანობით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ არც ძალიან ცუდად მიასპარეზია. სადღაც ცხრილის შუა წელში ვასრულებდი შეჯიბრებას.

***— ვიცი, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიც არ არის თქვენთვის უცხო.***

— ეროვნულ ჩემპიონატში სამჯერ ვითამაშე. 2004-ში წრიულად ჩატარდა და საერთაშორისო ოსტატის ნორმა შევასრულე — პირველი ბალი მოვიპოვე. შემდეგ შვეიცარიული სისტემით გამართულ ჩემპიონატში მომიწია ძალების მოსინჯვა, ბოლოს კი, 2008-ში, ნოკაუტ-სისტემით გამართულ ტურნირში ვიასპარეზე.

***— თქვენ ჩამონათვალში თვალში საცემია ტურნირთა გამართვის სხვადასხვა სისტემა. ბევრს მიაჩნია, რომ ნოკაუტ-სისტემა არ არის საუკეთესო და ბევრი უარყოფითი მომენტი გააჩნია. თავად რომელ სისტემას ანიჭებ უპირატესობას?***



— მიუხედავად იმისა, რომ ნოკაუტ-სისტემით გამართულ ჩემპიონატში კარიერაში ყველაზე დიდ შედეგს მივაღწიე, ამ სისტემის მხარდამჭერი არ ვარ. კურიოზულად მოგეჩვენებათ, მაგრამ ჩემპიონი გავხდი და დიდოსტატის ნორმაც კი ვერ შევასრულე, რაც სრული აბსურდია... სხვა სისტემის შემთხვევაში მოჭადრაკე ბევრად მეტ სარგებელს ნახავდა. არსებობს მეორე, სუფთა სპორტული მხარეც: ბევრად მერჩივნა იმ მოჭადრაკეებთან შეხვედრა, ვინც ლიდერებად ითვლებიან, ამისთვის კი წრიული სისტემაც გამოდგება და შვეიცარიულიც. ნოკაუტ-სისტემის დროს ძალიან დიდია ნერვული დაძაბულობა და შემოქმედებითადაც პარტიები ვერ არის მაღალ დონეზე — ყველა ფრთხილობს, მთავარ ამოცანად არწაგებას ისახავენ და ამით ჭადრაკიც ზარალდება.

***— მოდით, ფინალურ მატჩზე გავამახვილოთ ყურადღება. მეტოქედ საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე, ოლიმპიური ნაკრების წევრი ლევან ფანცულაია გყავდათ. ოთხივე კლასიკური პარტია ყაიმით დასრულდა და საბოლოო გამარჯვებას ბლიცებში მიაღწიეთ. არადა, ყველა ფიქრობდა, რომ თუ ფანცულაიას დამარცხება სურდა ზარქუას, ეს კლასიკურებში უნდა მოეხერხებინა, თორემ სწრაფ ჭადრაკში იმდენად ძლიერია ლევანი, რომ შანსები თითქმის არ ექნებაო. პროგნოზების საპირისპიროდ კვლავ გააკვირვეთ ქართული საჭადრაკო თემი და 25 წუთიანი პარტიების ყაიმით დასრულების შემდეგ, სწორედ ბლიცში გაიმარჯვეთ.***

— ფინალური ორთაბრძოლა რომ ძალიან რთული იქნებოდა, კარგად მესმოდა და ძალიანაც ვნერვიულობდი, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ნაკლებ დაძაბული არც ნახევარფინალური მატჩი იყო ლუკა პაიჭაძესთან. იმდენად ბევრი ენერგია დავხარჯე ნახევარფინალში, რომ 4 კილოგრამიც კი დავიკელი წონაში. ლევანს მეც ფავორიტად ვთვლიდი, მაგრამ უკვე საკმაოდ თვითდაჯერებული გახლდით და გარკვეულ ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც ვგრძნობდი: მე კვლავ არაფერს ვკარგავდი და ვთვლიდი, რომ ფინალში გასვლითაც ძალიან დიდ შედეგს მივაღწიე, ლევანს კი რენომეს დაცვა ესაჭიროებოდა და მისი განცდები დიამეტრალურად განსხვავდებოდა ჩემისგან... კლასიკური პარტიები გარდამავალი უპირატესობით წარიმართა: პირველ პარტიაში ლევანმა გამარჯვებისთვის კარგი პოზიცია მიიღო, მაგრამ ვერ გამოიყენა; მეორე და მესამეში თითქმის თანაბარი შანსები გაგვაჩნდა, ხოლო მეოთხეში უკვე მე მქონდა შესამჩნევი უპირატესობა, თუმცა შედეგი იგივე დადგა.

***— სხვათა შორის, მეოთხე პარტიის შედეგი ნამდვილად ყველას გაუკვირდა, ოღონდ ამჯერად — თქვენს გამარჯვებას წინასწარმეტყველებდნენ სპეციალისტები. შესაბამისად, გაკვირვებულნი დარჩნენ საყაიმო შედეგით. რამ შეგიშალათ ამჯერად ხელი გამარჯვებაში?***

— გეთანხმები, რომ მეოთხეში საგრძნობ უპირატესობას ვფლობდი, მაგრამ იმდენად დიდი ენერგია მქონდა დაკარგული, ვიფიქრე, მოსაგებად რომ გავიწიო, ძალები არ მეყოფა-თქო და მეტოქეს თავად შევთავაზე დაზავება. ჩემი აზრით, არც ისეთი გადამწყვეტი უპირატესობა მქონდა, რომ იოლად მიმეყვანა გამარჯვებამდე, ამიტომ ძალების დაზოგვა ვარჩიე და ბედი დამატებით პარტიებს მივანდე.

***— ფანცულაია სწრაფ ჭადრაკში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში და თქვენი გადაწყვეტილებაც ამიტომ ჩანდა უტოპიად... წარმოუდგენელია, რომ ეს არ გცოდნოდათ.***

— რა თქმა უნდა, ვიცოდი, მაგრამ თუ დამიჯერებთ, ვგრძნობდი, რომ სწრაფ ჭადრაკში გავიმარჯვებდი — იოტისოდენა შიშიც არ მქონია. არ ვიცი, ასეთი თვითდაჯერება რას მივაწერო, მაგრამ ალბათ ინტერნეტში თამაშია ყველაზე მეტად დამნაშავე; გამარჯვების რწმენაც გამიმყარდა — მე ხომ ფინალამდე ძალიან ძლიერ მოჭადრაკეებს ვძლიე...

***— რამდენიმე წლის წინ, როცა ოცწლამდელთა შორის გაიმარჯვეთ, ინტერვიუში განაცხადეთ, რომ საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიაში აპირებდით წასვლას და იქ საჭადრაკო კარიერის მოწყობას. სურვილის ასრულება ვერ მოხერხდა. რატომ ვერ შეძელით გერმანიაში წასვლა და თვლით თუ არა, რომ ბევრი რამ დაკარგეთ ამის გამო?***

— გერმანიაში წასვლას მართლაც ვგეგმავდი, მაგრამ რიგ მიზეზთა გამო ვერ მოვახერხე და საქართველოში დავრჩი. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა უამრავია ჩვენს ქვეყანაში, დღევანდელი გადმოსახედიდან სანანებლად და გულდასაწყვეტად არ მაქვს საქმე — საქართველოს ჩემპიონობით ბავშვობის ოცნება ავისრულე და მეეჭვება, რომ სხვაგან ყოფნით ამდენს შევძლებდი. სხვა საბაბიც მაქვს: ორი წლის წინ დავოჯახდი და პატარა ანგელოზიც მყავს — ანასტასია. ასე რომ, თავს ბედნიერად ვგრძნობ. ერთი ეგაა, ჩემი მშობლიური მხარის — აფხაზეთის ტკივილი არ მშორდება და მოურჩენელ იარად დამყვება თან. ღმერთს ვთხოვ, ჩემი სოხუმი მანახა ისევ. მართალია, სოხუმი ძალიან პატარა ასაკში დავტოვე — 6 თუ 7 წლის ვიყავი, მაგრამ ბევრი რამ მახსოვს და ძალიანაც მენატრება.

***— რადგან სოხუმი და აფხაზეთი გაიხსენეთ, თქვენი პირველი საჭადრაკო ნაბიჯების შესახებაც გვითხარით. სად დაიწყო ის — სოხუმში?***

— ორი წლის რომ ვიყავი, მაშინ მამამ მასწავლა ჭადრაკის ანა-ბანა. სერიოზულად ამ საქმეს ადრეულ ასაკში არ მოვკიდებივარ. აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ ორი წელი მამის ძმასთან, ხარკოვში ვცხოვრობდით. სერიოზულად ჭადრაკს პირველად იქ ვეზიარე — დედამ მიმიყვანა საჭადრაკო სკოლაში. კიდევ ორი წელიც და საქართველოში, წალენჯიხაში დავბრუნდით, სადაც ბაბუასეული კარ-მიდამო გვქონდა. ჭადრაკში მეცადინეობაც განვაგრძე წალენჯიხაში ძალიან კარგ მწვრთნელთან, გოგი მზარელუასთან. მან ბევრი რამ მასწავლა და ყოველთვის დიდი მადლიერებით ვიხსენებ. სამწუხაროდ, დღეს ბატონი გოგი აღარ არის ჩვენს გვერდით, რასაც ძალიან განვიცდი. ასევე ძალიან დამწყვიტა გული ბატონმა ალეკო ბოკუჩავამ, რომელიც ჩემი მწვრთნელი იყო თბილისში გადმოსვლის შემდეგ. მან დიდ ჭადრაკს მაზიარა, ის უბრწყინვალესი ადამიანი და გამორჩეული პედაგოგი იყო. ვმეცადინეობდი ბატონ ვალიკო ურიდიასთანაც და მისიც ძალიან მადლობელი ვარ — შესანიშნავი ადამიანი და მწვრთნელია. საბედნიეროდ, ბატონი ვალიკო ჯანმრთელად არის, სამწვრთნელო საქმიანობასაც ეწევა და იმედია, კიდევ დიდხანს იქნება ქართული ჭადრაკის სამსახურში.

***— წარმატება, ცხადია, თქვენს მომავალს გარკვეულწილად შეცვლის. ნაკრებში ადგილი დაიბევეთ, რაც მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი ჭადრაკში და რა შეიცვლება პირად ცხოვრებაში?***

— უპირველესად, მეტად მობილიზებული ვიქნები და ვეცდები კვალიფიკაცია ავიმაღლო, რათა ნაკრების შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო. სანაკრებო ბატალიების დროს კი გუნდი არ დავაღალატო და მსოფლიოში ცნობილ და ძლიერ დიდოსტატებთან ჭიდილში მაღალი შედეგები ვაჩვენო. ამისთვის ცვლილებების განხორციელება ნამდვილად დამჭირდება. ალბათ საჯარო სკოლაში პედაგოგობასთან გამოთხოვება მომიწევს, რის გამოც ბოდიში მინდა მოვუხადო სკოლის ხელმძღვანელობას, კოლექტივს და ბავშვებს; სამწვრთნელო საქმიანობას საბოლოოდ თავს ვერ დავანებებ, მაგრამ ამ მხრივ ნაკლებად დავიტვირთები. იმედია, ჩანაფიქრს სისრულეში მოვიყვან, მაგრამ თუ გსურს, რომ სპორტში და, კერძოდ, ჭადრაკში დიდ წარმატებას მიაღწიო, მხოლოდ მონდომება და ნიჭი, ვთვლი, რომ საკმარისი არ არის — აუცილებელია სერიოზული ხელშეწყობა, რომელიც უმთავრესად ფინანსებზე გადის. დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია შემეწევა და მომცემს შესაძლებლობას, ოსტატობის სრულყოფაზე ვიზრუნო. ასევე დიდად მეიმედება აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის, რომელიც, სხვათა შორის, ფინანსურად ადრეც მრავალჯერ დამხმარებია. თუ ასეთი თანადგომა მექნება, ძალისხმევას არ დავიშურებ და ნაკრების ღირსეულ წევრად ვიქცევი.

***— დაბოლოს, მართალია, დიდოსტატის ნორმა ვერ შეასრულეთ წლევანდელ ჩემპიონატში, მაგრამ რეიტინგში საკმაოდ დიდი წინსვლა გაქვთ. რეიტინგს ჭადრაკში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. რამდენი ქულა შეიმატეთ ამჯერად და კიდევ სად აპირებთ წელს თამაშს?***

— ჩემი მცირე რეიტინგი (ტურნირამდე 2356 მქონდა) ჩემს რეალურ საჭადრაკო ძალას არ განსაზღვრავდა. სინამდვილეში უფრო მაღალ დონეზე შემეძლო თამაში და ამჯერად ეს დადასტურდა კიდეც. მართალი ხართ, რეიტინგს დიდი მნიშვნელობა აქვს მოჭადრაკისთვის და მეც ვიზრუნებ საჭირო ქულების დაგროვებისთვის. ამჯერად 45 პუნქტამდე შევიმატე, რაც ძალიან კარგ შედეგად ითვლება. წელს რამდენიმე ტურნირში ვგეგმავ თამაშს, მაგრამ უფრო კონკრეტულად სამოქმედო გეგმას მაშინ შევადგენ, როცა ფედერაციის ხელმძღვანელობას შევხვდები. მთავარი ტურნირი შემოდგომით მელის — ნაკრების შემადგენლობაში საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე ევროპის გუნდურ ჩემპიონატში უნდა ვითამაშო. იმედი მაქვს, რომ სათანადოდ მოვემზადები და ღირსეულად ვიასპარეზებ.

# კარლოს ტევესი: „სულიერი სიმშვიდე ფეხბურთის თამაშზეც სასიკეთო ზეგავლენას ახდენს“

„მანჩესტერ სიტის“ არგენტინელ ფორვარდს, კარლოს ტევესს 5 თებერვალს 27 წელი შეუსრულდა და არგენტინელმა ფორვარდმა დაბადების დღეზე საკუთარ თავს ყველაზე კარგი საჩუქარი გაუკეთა — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ მატჩის პირველი ტაიმის 22 წუთის განმავლობაში ჰეთ თრიკი შეასრულა. მიმდინარე პრემიერლიგაში კარლიტოს უკვე 18 გოლი აქვს გატანილი, რომელთაგან 6 მან „სიტის“ ბოლო 4 მატჩში შეაგდო.

***— კარლოს, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გავრცელდა ხმა, თითქოს „სიტიდან“ წასვლა გინდოდათ. რამდენად სარწმუნო იყო ჟურნალისტების მიერ გამოქვეყნებული ცნობა და თუ ეს ნამდვილია, რატომ გადაწყვიტეთ მანჩესტერში დარჩენა?***

— „სიტიდან“ წასვლაზე არასდროს მიფიქრია და ბოლო წლებია, კლუბის და მისი გულშემატკივრების ერთგული ვარ. ვერც კი წარმომიდგენია ადამიანი და კონკრეტულად ფეხბურთელი, რომელსაც ჩემზე მეტად უყვარს „სიტის“ ცისფერი მაისური. კლუბისადმი ერთგულებას უკლებლივ ყველა მატჩში ვამტკიცებ, არაფერს ვიშურებ „მანჩესტერელ ქალაქელთა“ საკეთილდღეოდ. ვგონებ, ეს ცუდად არ გამომდის, თუმცა, უმთავრესი სიტყვა მაინც ქომაგებს ეკუთვნით.

***— ნეიტრალურს, ამ შემთხვევაში „სიტის“ არაგულშემატკივარს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს „სთედიუმ ოვ მანჩესტერზე“ თამაში მაინც და მაინც დიდ სიამოვნებას არ გგვრით...***



— ეს ყველაფერი იმის ბრალია, პრესის წარმომადგენლებთან ხშირი ურთიერთობა რომ არ მიყვარს. გუნდისადმი სიყვარულს თამაშით ვამტკიცებ და არა გულზე მჯიღის კვრით. რეპორტიორებისგან განსხვავებით, საქმიანი და მეგობრული დამოკიდებულება მაქვს პარტნიორებთან. „სიტიში“ თავს მშვენივრად ვგრძნობ და არაფერს დავიშურებ გუნდის წარმატებისთვის.

***— ამის მიუხედავად, ხშირად იწერება, თითქოს ცალი ფეხით უკვე მადრიდის „რეალში“ ან „ინტერში“ ხართ გადასული...***

— საფუძველს მოკლებულ ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევ. „მანჩესტერ სიტიში“ ყველა პირობა მაქვს შექმნილი საიმისოდ, კიდევ კარგა ხნის განმავლობაში აქ რომ დავრჩე. პროფესიონალი ფეხბურთელის ხვედრი კი ასეთია — გაზეთიდან საკუთარ თავზე იმას იგებ, რაც რეალობისგან შორსაა.

***— ბოლო წლების განმავლობაში „სიტის“ ხელმძღვანელობა ახალ-ახალი მოთამაშეების შესაძენად ასტრონომიული თანხის გადახდისგან უკან არ იხევს. თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელმა შენაძენმა გაამართლა?***

— ასეთ ტრანსფერად ვალენსიიდან მანჩესტერში დავიდ სილვას ჩამოყვანა მიმაჩნია. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს შეხვედრის ბედის გადაწყვეტა თავისი ინდივიდუალური ოსტატობით მარტოს შეუძლია.

***— დავიდ სილვას საფეხბურთო თვისებებიდან განსაკუთრებით რომელს გამოარჩევთ?***

— ესპანელს განსაკუთრებით კარგად დროული და ზუსტი პასის შესრულება შეუძლია, სილვას გაკეთებული გადაცემის შემდეგ ხშირად მოწინააღმდეგის მეკარესთან პირისპირ ვრჩებით. დავიდმა „სიტის“ ასპარეზობა გამოაცოცხლა და თამამად შემიძლია ვთქვა, მისი მოსვლის შემდეგ, გუნდი უფრო მაღალი კლასის თამაშს აჩვენებს.

***— „სიტის“ შემტევი ხაზის პოტენციალით კმაყოფილი ხართ?***

— როცა გუნდში ისეთი ფორვარდები თამაშობენ, როგორებიც მარიო ბალოტელი და ედინ ჯეკო, ასევე გარემარბი, დავიდ სილვა არიან, მისი შემტევი რგოლის სიძლიერე ყველასთვის ცხადია. ცოტა ხნის წინ ამგვარ პარტნიო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# უცნაური შემთხვევა — ევროპაში მხოლოდ ინგლისი ისვენებს

**იტალია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.02 | ბოლონია-პალერმო | 2.87 | 3.1 | 2.55 |
| 19.02 | ინტერი-კალიარი | 1.4 | 4.4 | 8.0 |
| 20.02 | ლეჩე-იუვენტუსი | 5.0 | 3.75 | 1.67 |
| 20.02 | კიევო-მილანი | 4.5 | 3.4 | 1.83 |
| 20.02 | ფიორენტ.-სამპდორია | 1.73 | 3.25 | 5.5 |
| 20.02 | ჯენოა-რომა | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 20.02 | ლაციო-ბარი | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 20.02 | პარმა-ჩეზენა | 1.73 | 3.3 | 5.5 |
| 20.02 | უდინეზე-ბრეშა | 1.4 | 4.4 | 8.0 |
| 20.02 | ნაპოლი-კატანია | 1.4 | 4.4 | 8.0 |

**ბოლონია — პალერმო**

ბოლონია: ***ტრავმ***-ემელიანო ვივიანო (?), ალბინ ეკდალი, ჯორჯ გარიკსი

პალერმო: ***ტრავმ***-გულიო მიგლიჩიო, მიკელე პოლუჩი, მატია კასანი, მატეო დარმიანი, დორინ გოიანი, მაურისიო პინილია; ***დისკვ***-ფედერიკო ბალძარეტი

**ინტერი — კალიარი**

ინტერი: ***ტრავმ***-უესლი სნეიდერი (?), დიეგო მილიტო, ვალტერ სამუელი; ***დისკვ***-კრისტიან კივუ

კალიარი: ***ტრავმ***-არავინ

**ლეჩე — იუვენტუსი**

ლეჩე: ***ტრავმ***-ოფერე, ნენად ტომოვიჩი (?), ალბერტო ჯულიანო; დისკვ-გილერმო ჯიაკომაცი, გუსტავო, ჯედა, რუბენ ოლივეირა

იუვნეტუსი: ***ტრავმ***-ალესანდრო მატრი (?), არმანდ ტრაორე, ფაბიო კვალიარელა, პაოლო დი ჩელიე, ლეანდრო რინაუდო; ***დისკვ***-მოჰამედ სისოკო

**კიევო — მილანი**

კიევო: ***ტრავმ***-მარიანო ბოლიაჩინო, მიკელე მარკოლინი, ლუჩიანო; ***დისკვ***-დავიდე მანდელი, ჯენარო სარდო

მილანი: ***ტრავმ***-დანიელე ბონერა, ანდრეა პირლო, მასიმო ამბროზინი, ჯანლუკა ძამბროტა, ფილიპო ინძაგი

**ფიორენტინა — სამპდორია**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მარიო სანტანა, პერ კლოდრუპი, ხუან ვარგასი, სებასტიენ ფრე, სტევან იოვეტიჩი

სამპდორია: ***ტრავმ***-დანიელე კასტადელო (?), სტეფანო ლუჩინი (?), ლუდოვიკ ბიაბიანი, ნიკოლა პოცი, ფრანკო სემიოლი

**ჯენოა — რომა**

ჯენოა: ***ტრავმ***-მატია დესტრო, მაურო ბოსელი

რომა: ***ტრავმ***-ადრიანო; დისკვ-დანიელე დე როსი, ალეანდრო როსი, მარკო კასეტი

**ლაციო — ბარი**

ლაციო: ***ტრავმ***-სტეფანო მაური (?), სიმონე დელ ნერო, მობიდო დიაკიტე, ტომაზო როკი

ბარი: ***ტრავმ***-ვიტალი კუტუზოვი (?), პაოლო ვიტო ბარეტო, სალვატორე მასიელო

**პარმა — ჩეზენა**

პარმა: ***ტრავმ***-ანტონიო კალვო, ფერნანდო მარკესი

ჩეზენა: ***ტრავმ***-პაოლო დალეფიორე, დომენიკე მალონგა, ივან ფატიჩი; ***დისკვ***-მარკო პაროლო

**უდინეზე — ბრეშა**

უდინეზე: ***ტრავმ***-გაბრიელ ანგელა, დუშან ბასტა, დამიანო ფერონეტი; ***დისკვ***-ალექსის სანჩისი

ბრეშა: ***ტრავმ***-სიმონე დალამანო

**ნაპოლი — კატანია**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლუიჯი ვიტალე, ჯანლუკა გრავა; ***დისკვ***-ეზეკიელ ლავეცი, არმანდო კამპაგნარო

კატანია: ***ტრავმ***-კრისტიან ტერლიცი, ჩირო კაპუანო, ჯუზეპე ბელუჩი, მარკო ბიაჯიანტი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 25 | 15 | 7 | 3 | 44:19 | 52 |
| 2.ნაპოლი | 25 | 14 | 4 | 6 | 40:22 | 49 |
| 3.ინტერი | 25 | 14 | 5 | 6 | 46:29 | 47 |
| 4.ლაციო | 25 | 13 | 6 | 6 | 32:22 | 45 |
| 5.უდინეზე | 25 | 13 | 4 | 8 | 42:30 | 43 |
| 6.იუვენტუსი | 25 | 11 | 8 | 6 | 41:30 | 41 |
| 7.პალერმო | 25 | 12 | 4 | 9 | 44:35 | 40 |
| 8.რომა | 24 | 11 | 6 | 7 | 35:32 | 39 |
| 9.კალიარი | 25 | 10 | 5 | 10 | 32:27 | 35 |
| 10.ფიორენტინა | 25 | 8 | 8 | 9 | 28:28 | 32 |
| 11.ჯენოა | 25 | 8 | 8 | 9 | 20:22 | 32 |
| 12.კიევო | 25 | 7 | 10 | 8 | 27:27 | 31 |
| 13.სამპდორია | 25 | 7 | 9 | 9 | 23:27 | 30 |
| 14.ბოლონია | 24 | 8 | 8 | 8 | 26:33 | 29 |
| 15.კატანია | 25 | 6 | 8 | 11 | 23:33 | 26 |
| 16.პარმა | 25 | 6 | 8 | 11 | 23:34 | 26 |
| 17.ლეჩე | 25 | 6 | 6 | 13 | 26:46 | 24 |
| 18.ბრეშა | 25 | 6 | 4 | 15 | 20:33 | 22 |
| 19.ჩეზენა | 25 | 5 | 6 | 14 | 17:34 | 21 |
| 20.ბარი | 25 | 3 | 6 | 16 | 14:39 | 15 |

***ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა***



**ესპანეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.02 | ვალენსია-ხიხონი | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 19.02 | რეალი-ლევანტე | 1.14 | 7.5 | 17.0 |
| 19.02 | სარაგოსა-ატლეტიკო | 2.95 | 3.25 | 2.4 |
| 20.02 | ალმერია-დეპორტივო | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 20.02 | ხეტაფე-რასინგი | 1.75 | 3.5 | 4.75 |
| 20.02 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 20.02 | ვილიარელი-მალაგა | 1.55 | 4.33 | 5.5 |
| 20.02 | სევილია-ერკულესი | 1.6 | 3.75 | 5.8 |
| 20.02 | ბარსელონა-ბილბაო | 1.14 | 8.0 | 15.0 |
| 21.02 | სოსიედადი-მალიორკა | 2.15 | 3.25 | 3.4 |

**ვალენსია — ხიხონი**

ვალენსია: ***ტრავმ***-ხორდი ალბა, ვისენტე, დავიდ ალბელდა, სესარი, მიგელ მოია; ***დისკვ***-ჰედვიგ მადურო

ხიხონი: ***ტრავმ***-გარსია ტორე; ***დისკვ***-დავიდ ბარალი

**რეალი — ლევანტე**

რეალი: ***ტრავმ***-ირჟი დუდეკი, გონსალო იგუაინი; ***დისკვ***-იკერ კასილიასი

ლევანტე: ***ტრავმ***-მიგელ პალარდო, მიგელ პერესი, იგნასიო გონსალესი; ***დისკვ***-ხავი ვენტა

**სარაგოსა — ატლეტიკო**

სარაგოსა: ***ტრავმ***-ედმილსონი, უჩე იკეჩუკვუ, ვიქტორ ლაგუარდია; ***დისკვ***-ანდერ ერერა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ფილიპ კაშმირსკი, პულიდო; ***დისკვ***-დიეგო გოდინი, მარიო სუარესი

**ალმერია — დეპორტივო**

ალმერია: ***ტრავმ***-მანუელ ორტისი, ხუანიტო, მიგელ ნიეტო; ***დისკვ***-მიჩელი

დეპორტივო: ***ტრავმ***-საული, ანდრეს გუარდადო

**ხეტაფე — რასინგი**

ხეტაფე: ***ტრავმ***-მანუ დელ მორალი, ხავიერ არიზმენდი, მარიო; ***დისკვ***-მიგელ ტორესიი

რასინგი: ***ტრავმ***-ოსკარ სერანო, პაპა დიუფი, ფაბიო კოლტორტი, ალექსანდროს ციოლისი; ***დისკვ***-კრისტიან ფერნანდესი

**ოსასუნა — ესპანიოლი**

ოსასუნა: ***ტრავმ***-კარლოს არანდა, სერხიო, რობერტო, რუპერი; ***დისკვ***-დამია, მიგელ ფლანო

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ივან ალონსო, დავიდ გარსია, მანუ მოლინა, რაულ როდრიგესი, დანიელ ოსვალდო, კორო, ივან დე ლა პენია, ფელიპე მატიონი

**ვილიარელი — მალაგა**

ვილიარელი: ***ტრავმ***-ხუან კარლოსი, ანგელ ლოპესი

მალაგა: ***ტრავმ***-დუდა, სერხიო ასენხო, რუბენი

**სევილია — ერკულესი**

სევილია: ***ტრავმ***-ფრედერიკ კანუტე, დიდიე ზოკორა, ლუკა ჯიჯარინი, რენატო, ტიბერიო გუარენტე, ივიცა დრაგუტინოვიჩი

ერკულესი: ***ტრავმ***-პაკო პენა, ნელსონ ვალდესი, როისტონ დრენტე, მოჰამედ სარი, აბრაჰამ კრუზი

**ბარსელონა — ბილბაო**

ბარსელონა: ***ტრავმ***-კარლეს პუიოლი, ჟეფრენი

ბილბაო: ***ტრავმ***-ალდეკოაოტაროლა უსტარიზი, იბაი გომესი, ხონას რამალიო

**სოსიედადი — მალიორკა**

სოსიედადი: ***ტრავმ***-ხოსება ლიორენტე

მალიორკა: ***ტრავმ***-ვიქტორ კასადესუსი, ტომას პინა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 71-12 | 62 |
| 2.რეალი | 23 | 18 | 3 | 2 | 53-19 | 57 |
| 3.ვალენსია | 23 | 14 | 5 | 4 | 38-25 | 47 |
| 4.ვილიარ. | 23 | 14 | 3 | 6 | 41-23 | 45 |
| 5.ბილბაო | 23 | 12 | 2 | 9 | 37-32 | 38 |
| 6.ესპანიოლი | 23 | 12 | 1 | 10 | 30-31 | 37 |
| 7.ხეტაფე | 23 | 9 | 4 | 10 | 35-37 | 31 |
| 8.სოსიედ. | 23 | 10 | 1 | 12 | 34-37 | 31 |
| 9.სევილია | 23 | 9 | 4 | 10 | 35-38 | 31 |
| 10.მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 25-30 | 31 |
| 11.ატლეტიკო | 23 | 9 | 3 | 11 | 32-31 | 30 |
| 12.ერკულესი | 23 | 7 | 4 | 12 | 24-37 | 25 |
| 13.რასინგი | 23 | 6 | 7 | 10 | 20-33 | 25 |
| 14.დეპორტ. | 23 | 6 | 7 | 10 | 20-34 | 25 |
| 15.ლევანტე | 23 | 7 | 3 | 13 | 24-34 | 24 |
| 16.სარაგოსა | 23 | 5 | 8 | 10 | 22-36 | 23 |
| 17.ხიხონი | 23 | 5 | 8 | 10 | 23-31 | 23 |
| 18.ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 21-30 | 22 |
| 19.ალმერია | 23 | 4 | 8 | 11 | 23-39 | 20 |
| 20.მალაგა | 23 | 5 | 4 | 14 | 30-49 | 19 |

**გერმანია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.02 | დორტმ.-სანქტ პაული | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 19.02 | ფრაიბურგი-ვოლფს. | 2.5 | 3.3 | 2.75 |
| 19.02 | ჰამბურგი-ვერდერი | 1.85 | 3.6 | 4.0 |
| 19.02 | ჰანოვერი-კაიზერი | 2.0 | 3.3 | 3.75 |
| 19.02 | ჰოფენჰაიმი-კიოლნი | 1.8 | 3.6 | 4.33 |
| 19.02 | მაინცი-ბაიერნი | 5.0 | 4.0 | 1.61 |
| 20.02 | ლევერკ.-შტუტგარტი | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 20.02 | გლადბახი-შალკე | 3.4 | 3.6 | 2.05 |

**დორტმუნდი —ზ.პაული**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-იაკუბ ბლაჟიკოვსკი, დამიენ ლე ტალეკი, ფლორიან კრინგი, შინჯი კაგავა, პატრიკ ოვომოიელა; ***დისკვ***-ნევენ სუბოტიჩი

ზ.პაული: ***ტრავმ***-კარსტენ როტენბახი, ფაბიო მორენა, ჟან-პილიპ კალა; ***დისკვ***-კარლოს ძამბრანო

**ფრაიბურგი — ვოლფსბურგი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლას ჰოფლერი, ჯულიან შუსტერი, ჯონათან ჯაგერი, ალაინ ოლე ოლე, დანიელ უილიამსი, სიმონ პუპლინი, პაველ კრმასი, ტომი ბეჩმანი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მადლუნგი, ტომას კალენბერგი, მარიო მანძუკიჩი, სერგეი კარიმოვი, ჯულიენ კლამტი, ანდრე ლენცი, კევინ ვოლცი; ***დისკვ***-სიმონ კიაერი

**ჰანოვერი — კაიზერი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-კრისტოფერ ავევორი, ვილი ევსეევი, ტიმ ჰოფმანი, ჰენრიკ ერნსტი, ვალდეტ რამა, მარკუს მილერი, ლეონ ანდრეასენი; ***დისკვ***-მანუელ შმიედებახი

კაიზერი: ***ტრავმ***-ბასტიან შულცი, ლიიან მისანსკი, ოლივერ კირჩი, ლუკასი, მარსელ კორეია, მარკო კნალერი, ალან სტულინი, იან შიმუნეკი

**ჰოფენჰაიმი — კიოლნი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ანდრეას ლუდვიგი, რობინ ნეუპერტი, კევინ კონრადი, რამაზან ოზგანი, ჩინედუ ობასი; ***დისკვ***-ედსონ ბრააფრეიდი

კიოლნი: ***ტრავმ***-ვილფრედ სანუ, კევინ მაკკენა, კრისტიფერ შორჩი, მარკ უტი, კონსტანტინოს ჯიანოულისი, დანიელ შვაბკე, ალექსანდერ ვაასენი, მიხაელ ნედრიგი

**მაინცი — ბაიერნი**

მაინცი: ***ტრავმ***-ადამ ზალაი, ზოლტ ლოუ, იან შიმაკი, ბო სვენსონი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ივიცა ოლიჩი

**ლევერკუზენი — შტუტგარტი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ფაბიან გუფერი, მიხაელ ბალაკი, ტრანკილიო ბარნეტა, ბენედიქტ ფერნანდესი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-პაველ პოგრებნიაკი, ჩიპრიან მარიკა, ტიმო გერბახტი, არტურ ბოკა, მამადუ ბა, იოან აუდელი

**გლადბახი — შაკლე**

გლადბახი: ***ტრავმ***-ანდრე ტერ სტეგენი, პაულ სტალტერი, ბერნარდ იანეჩკი, კრისტიან დორდა

შალკე: ***ტრავმ***-კირიაკოს პაპადოპულოსი, დანილო აველარი, კრიასტიან პანდერი, ტიმ ჰოოგლანდი, ანგელოს ხარისტეასი, ბოგდან მიულერი, ჰანს სარპეი, ლევან ყენია

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 22 | 16 | 4 | 2 | 47:13 | 52 |
| 2.ლევერკუზ. | 22 | 12 | 6 | 4 | 44:30 | 42 |
| 3.ბაიერნი | 22 | 11 | 6 | 5 | 46:26 | 39 |
| 4.ჰანოვერი | 22 | 12 | 2 | 8 | 30:31 | 38 |
| 5.მაინცი | 22 | 12 | 1 | 9 | 34:26 | 37 |
| 6.ფრაიბურგი | 22 | 10 | 4 | 8 | 29:29 | 34 |
| 7.ჰამბურგი | 22 | 10 | 3 | 9 | 30:31 | 33 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 22 | 8 | 8 | 6 | 39:32 | 32 |
| 9.ნიურნბერ. | 22 | 9 | 5 | 8 | 30:31 | 32 |
| 10.შალკე | 22 | 8 | 5 | 9 | 27:26 | 29 |
| 11.ზ.პაული | 22 | 8 | 4 | 10 | 27:35 | 28 |
| 12.აინტრახტი | 22 | 8 | 3 | 11 | 24:29 | 27 |
| 13.კიოლნი | 22 | 7 | 4 | 11 | 29:41 | 25 |
| 14.ვერდერი | 22 | 6 | 6 | 10 | 28:44 | 24 |
| 15.ვოლფსბ. | 22 | 5 | 8 | 9 | 26:31 | 23 |
| 16.კაიზერი | 22 | 6 | 5 | 11 | 32:38 | 23 |
| 17.შტუტგარტი | 22 | 5 | 4 | 13 | 38:43 | 19 |
| 18.გლადბახი | 22 | 4 | 4 | 14 | 32:56 | 16 |

**საფრანგეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.02 | ოსერი-არლე | 1.4 | 4.2 | 9.5 |
| 19.02 | ბრესტი-მონაკო | 2.6 | 2.9 | 3.0 |
| 19.02 | კაენი-ვალანსიენი | 2.25 | 3.2 | 3.2 |
| 19.02 | ლანსი-სოშო | 2.05 | 3.2 | 3.75 |
| 19.02 | მარსელი-სენტ ეტიენი | 1.5 | 3.8 | 7.5 |
| 19.02 | ლორიენი-ბორდო | 2.37 | 3.2 | 3.0 |
| 20.02 | მონპელიე-ლილი | 3.25 | 3.2 | 2.25 |
| 20.02 | ნიცა-პსჟ | 3.25 | 3.2 | 2.25 |
| 20.02 | ტულუზა-რენი | 2.3 | 3.2 | 3.2 |

**ოსერი — არლე**

ოსერი: ***ტრავმ***-ბენუა პედრეტი, რემი რიო, ალაინ ტრაორე, როი კონტო, ჟანპასკალ მინიო, დელვინ ნდინგა, იაია სანოგო, ალექსანდერ ლიკატა

არლე: ***ტრავმ***-ჯამელ ბენ იდირი, ლიოკ აბენზოარი

**ბრესტი — მონაკო**

ბრესტი: ***ტრავმ***-ტომას კოტი, ნოლან როუ, ოსმან კულიბალი, ივან ბურჟისი

მონაკო: ***ტრავმ***-დანიელ ნიკულაე, კრის მალონგა, მუსა მააზუ, სედრიკ მონგონგუ, ჯიმი ტრაორე

**კაენი — ვალანსიენი**

კაენი: ***ტრავმ***-ტომას ოტრო, ჟერემი სორბონი, დამიენ პერკისი, ბრანკო ლაზარევიჩი

ვალანსიენი: ***ტრავმ***-კრისტიფერ მფუი, ჟუილაუმ ლორიო, რენაუდ კოადე, ფუდ კადირი, ჯონათან ლაკური

**ლანსი — სოშო**

ლანსი: ***ტრავმ***-ყაყა კეიტა, ადილ ერმახი, სიტუ ბუიენტე, ერიკ ჩელე

სოშო: ***ტრავმ***-ბაქარი დრამე, ედუარდო ბუტინი, ჩარლი დევისი, იასინ მიკარი

**მარსელი — სტ.ეტიენი**

მარსელი: ***ტრავმ***-ჟულიენ როდრიგესი, ვიტორინო ჰილტონი, მეტიუ ვალბუენა, სესარ ასპილიკუეტა

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-აბდულაე კულიბალი, იოან ანდრო

**ლორიენი — ბორდო**

ლორიენი: ***ტრავმ***-ბრუნო მანგა, ლამინე კონე, ოლივიე მონტერუბიო, არნო ლე ლანი, ფაბიენ რობერი, იან ჟუფრე, რაფიკ ბუდერბალი, ანტონი ბარონი

ბორდო: ***ტრავმ***-ულრიჰ რამე, მარკ პლანუსი, კარლოს ენრიკე, აბდულაიე კეიტა

**მონპელიე — ლილი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ჯონი უტაკა, ნენად ძოძიჩი, ბენგალი კოიტა

ლილი: ***ტრავმ***-ემერსონი (?)

**ნიცა — პსჟ**

ნიცა: ***ტრავმ***-აბდუ ტრაორე, დავიდ ჰელებიუკი

პსჟ: ***ტრავმ***-არავინ

**ტულუზა — რენი**

ტულუზა: ***ტრავმ***-მოჰამედ ფოფანა, პერი დუმბე, ხავიერ პენტეკოტე, იოან პელე

რენი: ***ტრავმ***-ჟირეს ეკოკო, სტეფან დალმა, კადერ მანგანე, სილვიენ მარვო, ონიეკაჩი აპამი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 23 | 12 | 9 | 2 | 42-22 | 45 |
| 2.რენი | 23 | 11 | 7 | 5 | 26-17 | 40 |
| 3.მარსელი | 23 | 10 | 9 | 4 | 32-19 | 39 |
| 4.პსჟ | 23 | 10 | 8 | 5 | 34-24 | 38 |
| 5.ლიონი | 23 | 10 | 8 | 5 | 34-24 | 38 |
| 6.სტ.ეტიენი | 23 | 9 | 8 | 6 | 32-28 | 35 |
| 7.მონპელიე | 23 | 9 | 7 | 7 | 20-23 | 34 |
| 8.ტულუზა | 23 | 10 | 3 | 10 | 25-24 | 33 |
| 9.ბორდო | 23 | 7 | 10 | 6 | 28-25 | 31 |
| 10.ბრესტი | 23 | 8 | 7 | 8 | 23-24 | 31 |
| 11.ლორიენი | 23 | 9 | 4 | 10 | 27-30 | 31 |
| 12.ვალანს. | 23 | 7 | 8 | 8 | 28-25 | 29 |
| 13.სოშო | 23 | 8 | 4 | 11 | 36-29 | 28 |
| 14.ნანსი | 23 | 8 | 4 | 10 | 26-35 | 28 |
| 15.კაენი | 23 | 7 | 6 | 10 | 24-32 | 27 |
| 16.ნიცა | 23 | 6 | 8 | 9 | 15-25 | 26 |
| 17.ოსერი | 23 | 4 | 13 | 6 | 28-29 | 25 |
| 18.ლანსი | 23 | 5 | 9 | 9 | 24-39 | 24 |
| 19.მონაკო | 23 | 4 | 12 | 7 | 23-24 | 24 |
| 20.არლე | 23 | 1 | 6 | 16 | 11-43 | 9 |

## კარლოს ტევესი: „სულიერი სიმშვიდე ფეხბურთის თამაშზეც სასიკეთო ზეგავლენას ახდენს“

დასაწყისი მე-10 გვერდზე

რებზე მხოლოდ ოცნება თუ შემეძლო.

— ***ფეხბურთისგან კვლავინდებურად სიამოვნებას იღებთ?***

— ამჟამად ცხოვრებაში ისეთი პერიოდი მიდგას, ბევრი რამის გადაფასებას ვახდენ და სიამოვნებას მხოლოდ ფეხბურთი არ მანიჭებს. ბედნიერი ვარ, რასაც სულიერი სიმშვიდე მოაქვს. ეს ფეხბურთის თამაშზეც სასიკეთო ზეგავლენას ახდენს.

— ***„სიტის“ საამსეზონოდ რა ამოცანების გადაჭრა აქვს დასახული მიზნად?***

— ჩემპიონთა ლიგის საგზურის დაუფლება გვწადია. ამ მიზანს გვისახავენ მწვრთნელი და კლუბის ხელმძღვანელები და ჩვენც საამისოდ ვიბრძვით.

— ***როგორ გგონიათ, თქვენს გუნდს ევროპის უმთავრეს საკლუბო ტურნირზე მოხვედრის პოტენციალი აქვს?***

— რატომაც არა. პრემიერლიგის გათამაშების ცხრილში მესამე პოზიციაზე ვართ და ჩემპიონატის ფინიშზე მინიმუმ ამ ადგილის შენარჩუნება „სიტის“ სავსებით ხელეწიფება. ჩემპიონთა ლიგაში „იუნაიტედის“ რიგებში გამოსვლისას მითამაშია, კარგად ვიცი, რა დონის ტურნირია და მასში დაბრუნებაზე ვოცნებობ.



# ხალხის ხარჯზე ნაშოვნი ფული არავის არ შერჩება

## გახდება თუ არა ბენდუქ ე მეორე ბადრი პატარკაციშვილი



ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, თქვენ ტელეკომპანია „იმედს“ უჩივით პროკურატურაში. ბოლო პერიოდია არ წყდება სკანდალები თქვენსა და ლევან გაჩეჩილაძის გარშემო, რუსული ფული, იგორ გიორგაძე და ასე შემდეგ...***

— არც შეწყდება, უფრო მოიმატებს უახლოესი ორი თვის განმავლობაში. ხელისუფლების მთავარი საზრუნავი და საშიშროება არის ახლა გაზაფხულზე მოსალოდნელი პოლიტიკური პროცესები. ამიტომ ხელისუფლებას ხელში აქვს ტელეკომპანია „იმედი“ და „რუსთავი 2“ იმ პოლიტიკოსების წინააღმდეგ, ვისგანაც საფრთხეს ელოდება, ან დიდი ქისა იმ პოლიტიკური ძალებისათვის, ვისგანაც საფრთხეს არ ელოდება. გიორგაძესთან დაკავშირებული პასკვილი სულაც არ იყო გამონაკლისი, ეს გადასცა ყველა სამთავრობო არხმა, დაიწერა ყველა სამთავრობო გაზეთში. გარდა ამისა, ჩემთვის ცნობილია, რომ კონკრეტულმა ადამიანებმა მიიღეს დავალება, ეს ჭორი გაევრცელებინათ ისე, ზეპირადაც. ხელისუფლების ამოცანაა არა მარტო დისკრედიტაცია ჩემი და ჩვენი ორგანიზაციისა, ეს არის ერთგვარი მუქარაც, იმიტომ რომ გიორგაძესთან კავშირი, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ჩვენც ხელისუფლებას ძალიან ნათლად და გასაგებად ვუპასუხებთ. შანტაჟი და მუქარა აქ არ გავა, პირიქით, უკვე თითქმის ორი კვირაა, მივმართეთ პროკურატურას, დაიწყოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რადგან თუ ჩვენ მართლაც ვიღებთ თანხას საქართველოს ფარგლებს გარედან, თანაც იმ ადამიანისგან, რომელიც ბრალდებული და მსჯავრდებულია ტერორიზმის მუხლით, ეს არის მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის დანაშაული, მოვითხოვ, დამაპატიმრონ, დამკითხონ, გამოიძიონ ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულები. მე არა ვარ მიმალვაში, ვცხოვრობ წყნეთის გზატკეცილზე 4-ში, ვმუშაობ ფალიაშვილის 33ა-ში. მათ შეუძლიათ განახორციელონ ყველა ის მოქმედება, რომელსაც საჭიროდ ჩათვლიან. ბუნებრივია, როგორც ამ გასული ორი კვირის მანძილზე, შემიძლია ზუსტად გითხრად, რომ არც დანარჩენი მომდევნო პერიოდის მანძილზე არანაირი რეაგირება პროკურატურის მხრიდან არ იქნება. ჩვენი ამოცანაა, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ საზოგადოებას დავანახვოთ, რა ხდება რეალურად, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენ ვაპირებთ, ამ საქმეს მივცეთ გაგრძელება და დავანახვოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, თუ რა მეთოდებს იყენებს საქართველოში არსებული რეალური არასისტემური ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ სახელისუფლებო მედია.

***— რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ პროკურატურა ობიექტურად გამოიძიებს ამ საქმეს?***

— პროკურატურა, ალბათ, საერთოდ ვერ გამოიძიებს, ეს ის შემთხვევა არ არის, როცა მას შეუძლია, საქმე სუბიექტურად გამოიძიოს, საერთოდ ვერ იძიებს. პროკურატურას რაღაცა ხომ უნდა ჰქონდეს ხელში, თუნდაც ყალბი მტკიცებულება იმისათვის, რომ ამ საქმის გამოძიება დაიწყოს. ამ საქმეზე კი მტკიცებულებების გაყალბება საკმაოდ რთულია, ვინაიდან ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ყველა შემთხვევაში გახდება საერთაშორისო ყურადღების საგანი და აქ ყალბი მტკიცებულებების გამოყენება საკმაოდ რთული, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ამიტომაც ჩვენ ამ საქმეს აუცილებლად დავასრულებთ ხელისუფლების დისკრედიტაციით.

***— თქვენსა და ლევან გაჩეჩილაძის სახელს ყოველთვის ერთმანეთს უკავშირებენ. ამ რამდენიმე დღის წინ მასზეც გავიდა სიუჟეტი რუსულ ფულსა და ვალებზე...***

— ეს არაფერ შუაში არ არის, ძველი ისტორიაა. უბრალოდ, ლევან გაჩეჩილაძისაგან, ისევე, როგორც ჩემგან, ელოდებიან გარკვეულ უსიამოვნო სიურპრიზებს და ამიტომაც არის ამოჩემებული. მგონი, ბოლო ორი კვირაა, არ ჩაუგდიათ ტელევიზიებს არც ერთი დღე, სულ ახალ-ახალ პასკვილებს ამზადებენ. სიმართლე რომ გითხრათ, ეს ძალასაც მატებს ჩვენს ორგანიზაციას, „თავისუფალ საქართველოს“, იმიტომ რომ არაფერი უფრო ზუსტად არ გაჩვენებს და არ არის უფრო ზუსტი პარამეტრიც იმისა, თუ რამდენად წარმატებული ხარ, ვიდრე ის, როდესაც გამწარებული გებრძვის სახელისუფლებო რეჟიმი.

***— რუსეთში თქვენი ვიზიტებიდან გამომდინარე აგორდა ეს კამპანია...***

— ვიზიტები, რა თქმა უნდა, იყო ძალიან მნიშვნელოვანი დარტყმა ხელისუფლებისათვის, ვინაიდან ადრე ოპოზიციის კონტაქტები ძირითადად შემოიფარგლებოდა თბილისში აკრედიტირებული ან საქართველოში ჩამოსული საშუალო რანგის დიპლომატებით, მაგრამ ის, რომ ჩვენ გქონდა შეხვედრა, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის საბჭოს პრეზიდენტთან და ყველა ფრაქციის თავმჯდომარესთან, იყო უპრეცედენტო მოვლენა. ბუნებრივია, ამის გამო ძალიან გამწარებული იყვნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები და ეს სტრასბურგში გაკეთებულ კომენტარებსაც ეტყობოდა. პეტრე ცისკარიშვილი კომენტარს რომ აძლევდა, თან კბილებს აკრაჭუნებდა. რა ვუყოთ, ყველაფერს უნდა ცოდნა, ყველაფერს უნდა კომპეტენტურობა. ამ დელეგაციამ მიაღწია იმას, რომ ძალიან არასერიოზულად, სასაცილოდ უყურებენ ქართული დელეგაციის წევრებს ევროპელი პოლიტიკოსები, რაც სამწუხაროა და სასიხარულო ნამდვილად არ არის, მაგრამ მათ დაინახეს სერიოზული, სოლიდური პოლიტიკური ძალა საქართველოში და, ბუნებრივია, ითანამშრომლებენ ყველგან. სტრასბურგი სულაც არ არის ერთადერთი ინსტანცია, სადაც ჩვენ გვექნება ეს კავშირები. ეს იყო პირველი ვიზიტი. გარწმუნებთ, რომ ყველა შემდეგი ვიზიტი დასავლეთში იქნება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, სოლიდური და წარმატებული.

***— თქვენ განაცხადეთ, გაზაფხულზე მოსალოდნელი პროცესები აშინებს სააკაშვილსო. ყველა საუბრობს იმის შესახებ, რომ გაზაფხული ძალიან მძიმე იქნება და სწორედ ამიტომ დაიწყო პრეზიდენტმა ფასიანი ვაუჩერების დარიგება...***

— ვაუჩერები, მგონი, ბოლოს დარიგდა 7 ნოემბრის წინ და მაშინაც ხელისუფლებას ჰქონდა შიში და პანიკა. ახლაც გასაგებია, თუ რატომ რიგდება ვაუჩერები. ეს არავისთვის რთული მისახვედრი არ არის. ახლა ამ ვაუჩერებს რომ სოციალური პრობლემის გადაწყვეტის მიზანი არა აქვს, მგონი, ადვილი მისახვედრია. 30 ლარად ვერავინ გაიუმჯობესებს მდგომარეობას. ამას აქვს ერთგვარი მოსყიდვის დანიშნულება, მაგრამ, როგორც 7 ნოემბერს ვერ გამოიღო ამან ვერანაირი შედეგი და ის აქციები მაინც აგორდა, მე შემიძლია უბრალოდ ვარაუდი გამოვთქვა, რომ სერიოზული ცვლილებების და რეფორმების გარეშე აუცილებლად პროტესტის კიდევ ერთი დიდი ტალღა გადაუვლის საქართველოს.

***— სააკაშვილის გამოსვლას რაც შეეხება პარლამენტში, რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?***

ეს კაცი არანაირად ადეკვატური არ არის პროცესების მიმართ და არც არანაირად საინტერესო არ იყო მისი გამოსვლა. მისი გამოსვლა იყო ერთი და იგივე ტყუილები, იცვლებოდა მხოლოდ და მხოლოდ თარიღები. მე მახსოვს, როცა მე ვიყავი პარლამენტის დეპუტატი და 2006 წელს გამოვიდა სააკაშვილი პარლამენტში, ამბობდა, 2007 წელს მივიღებთ მაპს და 2008 წელს ვიქნებით უკვე ნატოს წევრი ქვეყანაო. ეს იყო მისი გამოსვლა 2006 წელს. ახლა არაფრით განსხვავებული გამოსვლები არ არის, უბრალოდ, წლები შეიცვალა და ახლა ამბობენ, რომ 2015 წელს ჩვენ გვექნება ევროპის ყველაზე უფრო დინამიკურად განვითარებული ეკონომიკა. ტყუილები იგივეა, შეიცვალა თარიღები და მეტი არც არაფერი შეიცვლება, ვიდრე არ შეიცვლება თვითონ სააკაშვილი, იმიტომ რომ ეს არ არის პოლიტიკური ლიდერი, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, ამ სიტყვის ევროპული გაგებით. ეს არის ოლიგარქი, ეს არის კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელი, ამიტომ პოლიტიკური მოტივები და პოლიტიკური აქცენტები მის გამოსვლაში სრულიად უშედეგო საქმეა.

***— სააკაშვილს ეშინია, რომ ეგვიპტის პროცესები საქართველოშიც გამეორდებაო. თქვენ რამდენად ხედავთ ამის საფრთხეს?***

— ამისი საფრთხე არსებობს. ეგვიპტესა და საქართველოს ბევრი საერთო თავისებურებაც აქვს და ბევრი განმასხვავებელიც, მაგრამ მთავარი, რის გამოც პროტესტი ხდება, ეს არის მაშინ, როდესაც ქვეყანაში ცვლილებები სხვა გზით ვერ ხდება. ეგვიპტეში, რომ გითხრათ, ახლა უფრო მძიმე სოციალური მდგომარეობა იყო, ვიდრე საქართველოში, მოლდავეთში ან ძალიან ბევრ სხვა ქვეყანაში, თუნდაც ჩვენს მახლობელ ქვეყნებში, ასე არ იყო. ნამდვილად არ არის ყველაზე ღარიბი ქვეყანა ამ რეგიონში, მაგრამ 30 წელია ქვეყანას მართავს ერთი და იგივე დიქტატორი. უბრალოდ, ადამიანებს მუდმივად სჭირდებათ ცვლილებები. როდესაც საქართველოში არის პრობლემები და არაფერი იცვლება, არც პრეზიდენტი, არც შინაგან საქმეთა მინისტრი, არც უმუშევრობა, არც უსამართლო სასამართლო და ყველაფერი რჩება იგივე, სააკაშვილი გვეუბნება, რომ 2015 წლამდე არც არაფერი შეიცვლება, ეს არის მთავარი მოტივაცია იმისთვის, რომ ადამიანები ქუჩაში გამოვლენ. სააკაშვილის ადგილას რომ ვიყო მე, სხვათა შორის, ეს გააკეთეს იემენის, ალჟირის, იორდანიისა და სხვა დიქტატორულმა მთავრობებმა, ეგვიპტის რევოლუციის შემდეგ გააკეთეს დასკვნები და მათ დაიწყეს ძალიან სწრაფი რეფორმები და დიალოგი ოპოზიციასთან. სააკაშვილს რომ თავში ჰქონდეს ინტელექტის მცირე ნასახი, რა თქმა უნდა, დღეს ის უნდა საუბრობდეს ახალ რეფორმებზე, ახალ ცვლილებებზე და თვითონ ეძებდეს ოპოზიციასთან კონტაქტებს.

***— ბატონო კახა, რა ხდება დღეს ოპოზიციაში, იქნება ამის შესახებაც ვისაუბროთ...***

— მე ვფიქრობ, პროცესი, რომელზეც ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით, ოპოზიციის კრისტალიზაცია, ალბათ, დასრულდება უახლოესი ერთი თვის მანძილზე და გამოიკვეთება ორი დიდი ოპოზიციური ბანაკი. ერთი, რომელიც იქნება ხელისუფლებასთან ამა თუ იმ ფორმით, არ ვიტყოდი, რომ სატელიტური, მაგრამ სისტემური ოპოზიცია, რომელიც იმოქმედებს იმ რელსსა და სივრცეში, რომელსაც ხელისუფლება გამოყოფს. იქნება ეს სხვადასხვა ტიპის მოლაპარაკებები, დისკუსიები და ასე შემდეგ და ალბათ მოხდება ოპოზიციის იმ ნაწილის კონსოლიდაციაც, რომელიც დაუპირისპირდება სისტემას მთლიანობაში.

***— თუ იქნება აქციები გაზაფხულზე?***

— ეს დამოკიდებულია არა იმდენად ოპოზიციაზე, არამედ ხელისუფლებაზე, იმიტომ რომ, თუ ხელისუფლება გააგრძელებს იმ კურსს, რომელსაც დღეს ახორციელებს, იმ ცინიზმით, გამოწვევით, თუნდაც ვეტერანებთან მიმართებით რა კურსიც გაატარა, აქციები, რა თქმა უნდა, გარდაუვალია. თუმცა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას თეორიულად შეუძლია, განახორციელოს რამდენიმე ყველაზე კრიზისულ სფეროში სწრაფი ცვლილებები და ასეთ შემთხვევაში აქციებისთვის გაცილებით ნაკლები ბაზა იქნება.

***— საუბარია იმის შესახებ, რომ ეროვნულმა საბჭომ სახალხო კრება დატოვა. აღარ ითანამშრომლებთ მათთან თუ რა ხდება?***

— მე შემიძლია გითხრათ „თავისუფალი საქართველოს“ პოზიცია, ეროვნული საბჭოს განცხადების ავტორი კი ზვიად ძიძიგურია.

***— თქვენი პოზიცია როგორია?***

— ჩვენი ხედვა არის განსხვავებული სახალხო კრების ხედვებისგან, ამიტომ ჩვენ არ ვაპირებთ მათთან კონფროტაციაში შესვლასა და ახალი კონფლიქტის გაღვივებას, ამიტომ ჯობია, მათ ცალკე მიხედონ თავიანთ საქმეს და ჩვენ ვიმოქმედებთ ისე, როგორც ჩვენ მიგვაჩნია უმჯობესად.

***— საერთოდ აღარ აპირებთ მათთან თანამშრომლობას?***

— არა, სახალხო კრებასთან ჩვენ დავასრულეთ ყოველგვარი ურთიერთობა.

***— ბატონო კახა, ვრცელდება ინფორმაციები, რომ ბენდუქიძე, ბოკერია და რამიშვილი ახალ პოლიტიკურ პარტიას ქმნიან ვანო მერაბიშვილის დასასუსტებლად. თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ, რა ხდება უმრავლესობაში?***

— მე მგონია, რომ დაასუსტებს მაგათ მერაბიშვილი, ოღონდ, რა მეთოდებით, ამას ციხის საპყრობილეებში აუხსნიან ბატონ ბენდუქიძესა და ბატონ ბოკერიას.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ არაფერი გამოუვათ მერაბიშვილთან?***

— რა თქმა უნდა, ძალიან არასერიოზულია პოლიტიკური პარტიის შექმნა. ის, რომ მათ პარტია დააფუძნეს, ჯერჯერობით არაფერს ნიშნავს. იმისთვის, რომ საქართველოში იყო ოპოზიციაში, ელემენტარულად, ძალიან დიდი პირადი გამბედაობაა საჭირო, გამბედავი ბოკერია და ვაჟკაცი ბენდუქიძე კი ცოტა სერიოზულად ძნელი წარმოსადგენია.

***— ხომ არ მიდის ის პროცესი, რომ სწორედ ისინი ცდილობენ სააკაშვილის ჩანაცვლებას 2013 წლის შემდეგ?***

— შეიძლება, ეს სურთ, მაგრამ, კიდევ ერთხელ გეუბნებით, ამისთვის ისინი უნდა შეელიონ კომფორტს. თუ ბატონი ბენდუქიძე მზად არის, მაგალითად, გაიაროს ის გზა, რომელიც ბადრი პატარკაციშვილმა გაიარა, როდესაც მას ჩამოართმევენ ყველა ბიზნესს, მის წინააღმდეგ, მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ, მისი მეგობრების წინააღმდეგ აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეებს, რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია, მაგრამ, ვიცნობ რა ბენდუქიძეს, რომელსაც არც შუბლის ძარღვი აქვს და არც ერთი სხვა ძარღვი მთელი აღარ აქვს უკვე ძალიან დიდი ხანია, ეჭვი მეპარება, მან პრინციპები პირადი კომფორტზე მაღლა დააყენოს.

***— თქვენც ფიქრობთ, რომ მერაბიშვილსა და ამ გუნდს შორის სერიოზული განხეთქილებაა?***

— მერაბიშვილი არაფერ შუაშია. აქ სააკაშვილია მთავარი ღერძი. საქმე რაშია — თუნდაც მუბარაქს რატომ არ აძლევდნენ დიდხანს გადადგომის საშუალებას თავისი გარემოცვის წევრები? სააკაშვილის გარდა, დაახლოებით ასმა თუ ორასმა ოჯახმა დააგროვა მილიარდობით ქონება ამ 7-წლიანი მმართველობის მანძილზე. მილიარდებზეა აქ საუბარი და არა, დავუშვათ, 5 ან 10 მილიონზე, რომელიც შეიძლება ჩემოდანში ჩადო და წაიღო. ამ მილიარდების პატრონებისთვის სულაც არ არის სულ ერთი, რა მოხდება საქართველოში 2013 წელს და მათთვის მაინცდამაინც არ არის მისაღები ის ფორმულა, რომ პრეზიდენტად დარჩეს სააკაშვილი, რასაც, ბუნებრივია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვება. მათ სჭირდებათ სტაბილურობის გარანტიები, რა პირობებშიც შეინარჩუნებდნენ თავიანთ კაპიტალს. ამიტომ მიმდინარეობს ამაზე ბრძოლა, ვინ შეიძლება იყოს ამ სტაბილურობის გარანტი — თვითონ სააკაშვილი, ბაქრაძე, უგულავა თუ რაიმე სხვა მოდელი. ამაზე მიმდინარეობს მსჯელობა, მაგრამ ის, რომ ვინმე დღეს მზადაა, დაუპირისპირდეს მიხეილ სააკაშვილს, რეალური არ არის და მინდა ვურჩიო მათ, თავიანთ ფულებზე სულ ტყუილად ზრუნავენ, რადგან ვერავინ შეინარჩუნებს თავის ფულს. ეს ფული მათი არ არის, მათ არ უშოვიათ, ეს ფული სააკაშვილმა მისცა, იმიტომ რომ ასე დასჭირდა და, თუ დაჭირდება პოლიტიკურ ვითარებას, ამ ფულს ჩამოართმევენ. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, ეს მცდელობები, რომლებსაც ახორციელებს დღეს რამდენიმე სხვადასხვა, დაჯგუფებასაც არ ვუწოდებდი, ბუდუარში მოკალათებული ჩინოვნიკი, აბსოლუტურად წარუმატებლად დასრულდება. სააკაშვილი მათთან შედარებით უფრო ენერგიულიც არის, უფრო ჭკვიანიც და უფრო შეძლებს რეალური ნაბიჯების გადადგმას.

## ორშაბათი 21 თებერვალი

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "უჩინარი კვალი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფილმი **"ია-იას დების ღვთაებრივი საიდუმლოებები"** (ს. ბალოკი) **02.30** მოამბე **02.50** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფილმი **"ორსაუკუნოვანი ადამიანი"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45**, **17.45**, **23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. **"მზიანი მხარე"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ჯილი"** (15)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სტუმრად იუმორინასთან **23.30** მხ. ფილმი **"ილაის წიგნი"** (15) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) **01.50** მხ. ფილმი **"ზოროტების სავანე 3"** (18) (მ. იოვოვიჩი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) (სუბტ.)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** დოკ. ფილმი **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** ქართ. ფილმი **"კონფლიქტის ზონა"** **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"პატიმარი"** (18) (ს. სტალონე) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30**, **23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50**, **21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50**, **19.30** სერ. **"საყვარელი არსებები"** **14.50** ფერისცვალება **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **24.00** საგალობელი **12.05**, **15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"იყო შაშვი მგალობელი"** **13.30** კონცერტი – რ. სებისკვერაძე **15.05** სპექტაკლი **"გუშინწინ, გუშინ, დღეს"** **17.05** დოკ. ფილმი "გზა", ფილმი **1**-ლი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ხანუმა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძველი აფიშა "მარტოობის დღესასწაული" **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლემ. ფილმი **"წერილი ნაძვებს"** **00.30** სუფთა დაფა

## სამშაბათი 22 თებერვალი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ჩემპიონთა ლიგა. წინასაფეხბურთო გადაცემა **23.40** **ფეხბურთი**. ლიონის ოლიმპიკი – რეალი **01.40** მოამბე **02.00** მხ.ფ. **"შოუ იწყება"** (12) (სუბტ.)

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"რეიგანების ოჯახი"** 1-2 ს. **01.00** მხ.ფ. **"ია-იას დების ღვთაებრივი საიდუმლოებები"**

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** მხ. ფილმი **"კრისტი"** (ლ. ლი სმიტი) (სუბტ.) **01.25** მხ. ფილმი **"ლომის გული"** (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფილმი **"კერკეტი კაკალი"** (12) (სუბტ.)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **04.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა **20** ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ჯაზის ლეგენდები" **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. კოპენჰაგენი-ჩელსი **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** მხ. ფ. **"წყვდიადის პრინცი"** (18) (დ. პლეზანსი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30**, **23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50**, **21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50**, **19.30** სერ. **"საყვარელი არსებები"** **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00**, **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **11.00** ერთსულოვანი ოჯახი **11.20** მოკლემ. ფილმი **"წერილი ნაძვებს"** **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ხანუმა"** **13.10** კონცერტი – ნ.მემანიშვილი **15.05** მხ. ფილმი **"თხუნელა"** **16.35** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **17.05** დოკ. ფილმი "გზა", ფილმი მე-**2** **18.00** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.15** მხ. ფილმი **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** შარავანდედი

## ოთხშაბათი 23 თებერვალი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** "აირექსის" მედია პროგრამის პრეზენტაცია **23.00** ჩემპიონთა ლიგა. წინასაფეხბურთო გადაცემა **23.40** **ფეხბურთი**. მარსელის ოლიმპიკი-მანჩესტერი **01.40** მოამბე **02.00** მხ. ფილმი **"სუპერმენი"** (მ. ბრანდო) (სუბტ.)

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"რეიგანების ოჯახი"** 3-4 ს. **01.00** მხ. ფ. **"შოუ იწყება"** (12)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** კონცერტი **23.30** "ფეის კონტროლი" **00.30** მხ. ფილმი **"წერილები ჯულიეტასთვის"** (ა. სიფრიდი) (სუბტ.) **02.30** მხ.ფ. **"დამცველი"** (12)(სუბტ.) **04.00** მხ. ფ. **"გამოგონილი მკვლელობა"** (12) (სუბტ.)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **04.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** კომედი შოუ (გამ.) **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. ინტერი-ბაიერნი **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** მხ. ფილმი **"პატარძლის მამა"** (18) (ს. მარტინი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30**, **23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50**, **21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50**, **19.30** სერ. **"საყვარელი არსებები"** **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05**, **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **11.25** დროის ჩანაწერები **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.20** მხ. ფილმი **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **13.35** კონცერტი – ანს. "კელაპტარი" **15.05** მხ. ფილმი **"აქედანა და შენამდე"** **16.25** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **16.50** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ყვარყვარე"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** ისტორიანი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15**, **00.35** სუფთა დაფა **00.50** გადაცემა "კარაბადინი"

## ხუთშაბათი 24 თებერვალი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.30** "აირექსის" მედია პროგრამის პრეზენტაცია **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სქესთა საიდუმლო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. **"ფარი"** (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"სულელები ჩქარობენ"** (12) (მ. პერი)

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"სუპერმენი"** **01.00** მხ. ფილმი **"ფარული ვნება"** (18)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.00** მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** (ბ. პიტი) (სუბტ.) **02.05** მხ. ფ. **"კომანდო"** (15) (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"უცხოები"** (18) (სუბტ.)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** დოკ. ფილმი **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ. ფილმი **"სხვა 48 საათი "** (18) (ე. მერფი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30**, **23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50**, **21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50**, **19.30** სერ. **"საყვარელი არსებები"** **14.50** სცენა **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30**

დილის პროგრამა "განთიადი" **10.00**, **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **10.35** გადაცემა "კარაბადინი" **11.00** სუფთა დაფა **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ყვარყვარე"** **13.40** კონცერტი – სტუმრად კვარტეტთან **15.05** მხ. ფილმი **"ისინი ჩამოვიდნენ მთიდან"** **16.35** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "გზა", ფილმი მე-**3** **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ჩარირამა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** მიწათმოქმედი **22.25**, **23.15** დოკ. ფილმი "წინანდალი" **23.00** საღამოს ლოცვა **00.35** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

## პარასკევი 25 თებერვალი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00**, **03.20** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სქესთა საიდუმლო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. **"ფარი"** (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"იცოცხლე გენაცვალე"** (12) **02.50** მხ.ფ. **"ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"** (18)

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"სულელები ჩქარობენ"** **01.00** მხ. ფილმი **"ვნება და დანაშაული"** (12)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.00** მხ. ფ. **"ადრენალინი"** (15) (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) **01.55** მხ.ფ. **"შეხვედრა ვამპირთან"** (15) (ბ. პიტი) (სუბტ.) **03.55** მხ. ფილმი **"შეუპოვარი"** (12) (ჰ. ფორდი) (სუბტ.)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** პროფილი **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კონცერტი "იუმორისტული **2007**" **01.00** მხ. ფილმი **"გაყიდული გულები"** (18) (რ. ჯულია) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** გადაცემა **"105** წუთი" (პირდ.) **22.50** მხ. ფილმი (სუბტ.) **01.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**09.00**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.30**, **23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50**, **21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50** სერ. **"საყვარელი არსებები"** **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **19.00** მუსიკა **19.30** სერ. **"დიდი ტურინი"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30**

დილის პროგრამა "განთიადი" **10.00**, **19.00**, **22.00**, **00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფ. "წინანდალი" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ჩარირამა"** **13.20** კონცერტი – კვინტეტი "ურმული" **15.05** მხ. ფილმი **"ბანდიტი აგურის ქარხნიდან"** **16.35** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "გზა", ფილმი მე-**4** **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფ. **"ცარიელი ბინა"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **22.45** ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა **00.35** კვირიაკე

## შაბათი 26 თებერვალი

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **10.00** მხ. ფ. **"ელმოს თავგადასავალი ბუზღუნეთში"** **11.30** "ბავშვობანა" **12.00**, **16.00**, **20.00**, **03.30** მოამბე **12.15** დოკ. ფილმი "გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი - ალმამატერი" **12.30** კონცერტი – მ. კვალიაშვილი, **1**-ლი ნ. **14.00** **კალათბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი. "სოხუმი"-"არმია" **16.15** ქართული დოკუმენტალისტიკა **17.00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** კონცერტი – "შინი" ეგარი **18.50** **რაგბი**. ერთა თასის გათამაშება: პორტუგალია- საქართველო **20.00** მოამბე **21.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **22.00** ქართ. სერ. **"ჯ-17"** **23.00** სერ. **"ფარი"** (12) **00.00** მხ. ფილმი **"დავიწყებულნი"** (18 (ჯ. მური) **03.00** მხ. ფილმი **"იცოცხლე გენაცვალე"** (12)

**08.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** ბრიფინგის დროით **17.00** ბრიფინგის დროით **17.30** ჩვენი სამართალი **18.00** დოკ. ფილმი **19.00** რეგიონის დროით **19.30** საუკუნის პორტრეტები **20.00** მხ. ფ. **"ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"** **22.05** კონცერტი: მაია თომაძის ხსოვნისა საღამო **23.40** წითელი ზონა **00.40** მხ. ფილმი **"იცოცხლე გენაცვალე"**

**08.00**, **09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "სპანჯბობი" **09.15** მხ. ფილმი **"ზოლიანი ჩემპიონი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.10** სერ. **"მონსტრებთან მებრძოლები"** **11.45** სერ. **"შუა ქალაქში"** **12.35** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.30** ბოიარის ციხესიმაგრე **15.00** თბილისი ლაივი **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **20.30** სპეც. რეპორტაჟი **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სტუმრად იუმორინასთან **00.00** სერ. **"მკვლელის პორტრეტი"** (15) 1-ლი ს. **01.00** მხ. ფილმი **"სიბრმავე"** (18) (ჯ. მური) (სუბტ.) **03.25** მხ. ფილმი **"ლამაზი ქალი"** (რ. გირი) (სუბტ.) **05.40** მხ. ფილმი **"სიკვდილის შემდეგ"** (12) (სუბტ.)

**08.00** კურიერი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **09.00** საბ. სერ. "სინდბადი" **10.00** სერ. **"ლეგენდა მაძიებელზე"** **11.00** ეკი-ვოკი (გან.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **13.00** მხ. ფილმი **"აბა"** **15.30** ქართ. ფილმი **"ლონდრე"** **17.30** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **18.50** ანა-ბანა **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.00** პ. ს. კურიერი **22.00** კონცერტი "სხვა კონცერტი" **23.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"** **00.00** მხ.ფ. **"ვარსკვლავები ყინულზე"** (18) (უ.ფერელი) **02.30** მხ. ფ. **"მერვე მილი"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** საბ. სერ. **"ოდისეა"** **11.30** პულსი **12.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** სერ. **"ელიზა"** **15.00** მხ. ფილმი **17.00** მულტფილმი **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **21.00** სერ. **"სი ეს აი"** **22.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**09.00**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **09.30**, **23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.00** დილის ტალღა **12.00** ფერისცვალება **12.30**, **21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.15**, **19.30** სერ. **"დიდი ტურინი"** **14.30** დროის ვექტორი **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.20**

მულტფილმი **08.55**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05**, **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **10.35** კვირიაკე **12.15** მხ. ფ. **"ცარიელი ბინა"** **13.30** მულტფილმი **15.10** ოპერა **17.30** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **18.05** საქ. არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ქართული ალბომი **19.30** მხ. ფილმი **"როცა აყვავდა ნუში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** გამოყენებითი ხელოვნება **21.30** სამედიცინო გადაცემა "კარაბადინი" **22.20** ტაძრები **22.35** ჩემი ქალაქი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **00.25** მხ. ფილმი **"ეი მაესტრო"**

## კვირა 27 თებერვალი

**07.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **08.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **10.00** მხ. ფილმი **"ჯუმანჯი"** **12.00, 16.00, 20.00, 03.10** მოამბე **12.30** კონცერტი – მ. კვალიაშვილი, მე-**2** ნ. **14.00** ჩვენი ფერმა **14.30** სპექტაკლი **"ბნელ ოთახში"** **15.30** ჩვენი სამართალი **16.15** ჩვენი ეზო **17.00** დოკ. ფილმი "მოგზაურის დღიური" **17.30** ვაშინგტონი დღეს **18.00** მხ. ფ. **"ნუცას სკოლა"** **20.00** აქცენტები **21.00** ცხოვრება მშვენიერია **22.00** კონცერტი – ჩიკ კორეა **23.00** სერ. **"ფარი"** (12) **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფ. **"ცხოველი"** (12) **02.50** აქცენტები

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **15.00** პარლამენტის სხდომის დაიჯესტი **17.00** ისტორია **18.00** დოკ. ფილმი "კუბა, აფრიკული ოდისეა" **19.00** საუკუნის პორტრეტები **20.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **21.00** პროცესი **21.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **22.00** მხ. ფილმი **"ქალი და მამაკაცი"** **01.00** მხ. ფ. **"დრაკულა"** (18)

**08.00**, **09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "სპანჯბობი" **09.15** ან. ფილმი "ბარბი" **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** ქრონიკა **11.15** თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი **12.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ. **"რობინზონ კრუზოს თავგადასავალი"** **14.30** სპეც-რეპორტაჟი **15.00** მხ. ფილმი **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **17.30** ბოიარის ციხესიმაგრე **17.45** ეტალონი **19.05** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **20.15** იმედის გმირები **20.30** "იუმორინა" **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** თბილისი ლაივი **00.00** სერ. **"მკვლელის პორტრეტი"** **01.00** მხ.ფ. **"ვარსკვლავის დაბადება"** (ჰ .დაფი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფ. **"სხეულის გამტაცებლები"** (ბ. უორთი) **04.35** მხ. ფილმი **"პირდაპირი მოქმედება"** (12) (სუბტ.)

**08.00** "კურიერი პ.ს." დაიჯესტი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **09.00** საბ. სერ. "სინდბადი" **10.00** ანა-ბანა (გან.) **11.00** საბავშვო ამბები **11.30** მულტფილმი "მხიარული ფერმა" **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.00** კურიერი **12.30** ვაკანსია **13.00** მხ. ფ. **"ბიმბოლენდი"** **15.20** სერ. **"სიამაყე"** **17.25** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **19.00** ეკი-ვოკი **20.00** ეთამაშე ვარსკვლავს **21.00** კონცერტი "იუმორისტული **2011**" **23.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"** **00.00** მხ.ფ. **"პირდაპირი და აშკარა საფრთხე"** (18) (ჰ. ფორდი) **02.20** მხ. ფილმი **"უცნაური მეცნიერი"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** გადაცემა "ტვ-ტესტი" **11.30** ანიმაცია **12.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** სერ. **"ელიზა"** **15.00** მხ. ფილმი **17.00** მულტფილმი **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **21.00** სერ. **"სი ეს აი"** **22.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**09.00**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **09.30**, **23.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.00** დილის ტალღა **12.00**, **21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **19.30** სერ. **"დიდი ტურინი"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** მულტფილმი **08.55**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05**, **19.00**, **22.00** სიახლენი **10.35** ჩემი ქალაქი **11.30** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **12.15** მხ. ფილმი **"როცა აყვავდა ნუში"** **13.40** ქართ. მულტფილმი **13.50** დიდი მარხვა **14.30** გადაცემა "კარაბადინი" **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.35** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** სუფთა დაფა **17.15** საღვთისმეტყველო საუბრები **18.00** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.00** გზა, რომლითაც ვიარე **19.30** მხ. ფილმი **"პასტორალი"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.05** პატრიარქის ქადაგება **00.40** ოპერა

# უფულობის გამო მეგობრებმა მიმატოვეს

**ნათქვამია, თუ გინდა ჭეშმარიტი მეგობარი გვერდით გყავდეს, ის ჭირსა და ლხინშიც უნდა გამოსცადო. ლევანი, რომელსაც მთელი ცხოვრება მიაჩნდა, რომ გვერდით უახლოესი მეგობრები ჰყავდა, ახლა დარწმუნებულია, რომ მამამისი ცამდე მართალი იყო და „მეგობრები" მას უბრალოდ იყენებდნენ. ერთმა წარუმატებელმა ნაბიჯმა და ფინანსურმა კრიზისმა ახალგაზრდა მამაკაცს თვალი აუხილა და საბოლოოდ დაანახა ჭეშმარიტი სიმართლე. ახლა ის სრულიად მარტოა და თავისი სათაყვანებელი მეგობრები ერთხელაც აღარ უნახავს.**



ლევანი:

— მამაჩემი სულ მეუბნებოდა, ჭეშმარიტი მეგობარი ჭირში გამოიცდება, თორემ ლხინში და ჭიქების ჭახუნში ყველა მაგარიაო. მაშინ მისი არ მესმოდა და ყოველთვის ამაზე ვკამათობდით. მე ვუმტკიცებდი, რომ ჩემს მეგობრებში სულ ტყუილად ეპარებოდა ეჭვი, ის კი მათ უარყოფით მხარეებზე მიმითითებდა. ერთხელ იმდენად სერიოზულად ვიჩხუბეთ, რომ სახლიდან წავედი და ორი კვირა ჩემს მშობლებთან საერთოდ არ მივსულვარ.

***— თქვენი მეგობრები მამას რატომ არ მოსწონდა?***

— ღმერთის იმითაც მადლობელი ვარ, რომ ჩემს გვერდით ნარკომანი და ლოთი მეგობრები არასოდეს ყოფილან, მაგრამ მამა მაინც ამჩნევდა, რომ ისინი ჩემი ფულით იყვნენ დაინტერესებულნი. მამაჩემი ყოველთვის კარგ თანამდებობაზე მუშაობდა, არც ფული გვაკლდა, არც გართობა და არც საზღვარგარეთ დასვენება. ჩემი უმცროსი ძმა უფრო მოკრძალებული ბიჭი იყო, არც დროსტარება უყვარდა და არც მეგობრებში გართობა. მთელ დღეებს წიგნების კითხვაში ატარებდა და მისთვის წიგნების გარდა, ამქვეყნად არაფერი არსებობდა. როცა წამოვიზარდეთ, მინდოდა ჩემს ძმასთან ერთად ღამის კლუბებში მევლო, ან სადმე ერთად წავსულიყავით, მაგრამ ის მაინც წიგნებთან დარჩენას ამჯობინებდა, ამიტომ შევეშვი.

ჩემი მეგობრებისთვის არაფერი მენანებოდა, რამდენი თანხაც არ უნდა ეთხოვათ, უარს არაფერზე ვეუბნებოდი. თუ ვინმეს მანქანა სჭირდებოდა, მაშინვე ვაძლევდი, ან თავად მივყვებოდი ჩემი მანქანიანად. ეს სულაც არ მწყინდა, პირიქით, მიმაჩნდა, რომ ნამდვილი მეგობრები ასეც უნდა იქცეოდნენ. სულ მათ პრობლემებზე ვფიქრობდი, იქ ბინაში გადასვლა იყო, თუ ქალაქგარეთ გასვლა, ყველაფერს ვუგვარებდი. მამაჩემი ამის გამო სულ მეკამათებოდა, ასე არ შეიძლება, ცოტა შენს ოჯახზეც იფიქრეო. მამაჩემს ჩემი მეგობრები თითქმის არასოდეს მოსწონდა. ყოველთვის ყველას მიწუნებდა და მეუბნებოდა, ესენი შენთან იმიტომ არიან, რომ ფინანსურად ძლიერი ხარ, როგორც კი ფეხს წამოკრავ და ცოტა გაგიჭირდება, არც ერთი შენს გვერდით არ დადგებაო.

***— მამა მართალი აღმოჩნდა?***

— კი. ამას მანამდე ვერ მივხვდი, სანამ ფინანსურად არ გამიჭირდა და სანამ კისერი არ წავიმტვრიე. მადლობა ღმერთს, ისეთი საშინელი არაფერი მომსვლია, მაგრამ ცოტა მოგვიანებით ჭკუა მაინც ვისწავლე. მცხეთაში წავედით მეგობრები და იქიდან რომ ვბრუნდებოდით, ავარიაში მოვყევით. ყველა გადარჩა, მაგრამ მე ვიყავი ცოტა მძიმედ. მაშინ მამაჩემი მუშაობდა და ჩემთვის არაფერი დაუკლია, მინიმალურ დროში ფეხზეც დამაყენა, მაგრამ ჩემი მეგობრები მაშინ ალბათ ზრდილობის გამო თუ მოდიოდნენ ჩემს სანახავად. ათასში ერთხელ, რამდენიმე წუთით შემოირბენდნენ და მალევე გარბოდნენ. თან მებოდიშებოდნენ, ახლა ფულთან დაკავშირებით ცოტა გვიჭირს და როგორც კი ფეხზე დავდგებით, პატივისცემას არ მოგაკლებთო. მაშინ ფული არ გვჭირდებოდა, ამიტომ იქით ვამშვიდებდი, თქვენი ფული არაფერში მჭირდება, მთავარია თქვენ იყოთ კარგად-მეთქი. თურმე ეს უბრალოდ ლამაზი სიტყვები იყო და მეტი არაფერი. ამაში კიდევ ერთმა ცხოვრებისეულმა გამოცდამ დამარწმუნა, რომელიც ალბათ ღმერთმა იმიტომ დაუშვა, რომ თვალი საბოლოოდ ამხელოდა და ყველაფრისთვის რეალურად შემეხედა.მამაჩემი მოულოდნელად ცუდად გახდა, სიკვდილის პირას იყო. სამსახურს თავი დაანება და რეანიმაციაში სიკვდილს ებრძოდა. ყველა გვეუბნებოდა, რომ მას კიბო ჰქონდა, თან ბოლო სტადიაში და რამდენიმე თვის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ამის არავის გვჯეროდა. განსაკუთრებით ამ ამბავთან შეგუება დედაჩემს გაუჭირდა. ის ძლიერი ქალია, ცრემლებს არასოდეს გვაჩვენებდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როგორც კი მარტო დარჩებოდა, მაშინვე თავის წუხილს ცრემლებში აღრჩობდა. მამაჩემის ავადმყოფობამ ფინანსურად დაგვაუძლურა, მისი მანქანა რომ გავყიდე, ის თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა, ჯერი ჩემს მანქანაზე მიდგა, ძალიან მენანებოდა, ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო მანქანა მყავდა, მაგრამ რა მექნა, სასწორზე მამაჩემის სიცოცხლე იდო, ამიტომ მასზე უარი უნდა მეთქვა. ჩემს მეგობრებს მივაკითხე, იქნებ მანქანის გაყიდვას გადამარჩინოთ, თანხა მჭირდება და იქნებ შემიგროვოთ-მეთქი. როგორც თქვენ არ მოსულხართ და ჩემთვის არაფერი მოგიციათ, ისე არ გაუნძრევიათ ხელი ჩემს მეგობრებს. ყველა უარს მეუბნებოდა, ახლა არ მაქვს, ვერავისგან ვისესხებ, თვითონ ვალებში ვარ გაჭედილიო. რა უნდა მექნა, შეველიე ჩემს მანქანას და იმის ნახევარ ფასად გავყიდე, ვიდრე რეალურად ღირდა. სასწორზე მამაჩემის სიცოცხლე იდო, ამიტომ დაგვიანება არაფრით შეიძლებოდა.

***— მამა გადარჩა?***

— კი, მამა გადარჩა. სამწუხაროდ, ახლაც ძალიან მძიმედაა, მაგრამ ცოცხალი ხომ არის? ჩემთვის ახლა მარტო ესაა მთავარი. აღარც ფული მაქვს, რომ ღამის კლუბებში ვიარო და აღარც ჩემი სანაქებო მეგობრები მყავს. მას შემდეგ, არც მანქანა აღარ მყავს და ფულიც შემომელია, ჩემი საუკეთესო მეგობრებიც შემომეცალნენ. თითქოს მათ ცხოვრებაში არც კი ვყოფილვარ. ამასწინათ ერთ-ერთმა ჩემმა ყოფილმა მეგობარმა მანქანით ჩამიარა და არც კი გაუჩერებია. არ მჯერა, რომ ვერ დამინახა. დარწმუნებული ვარ, თვალი სპეციალურად ამარიდა, ვითომ არ მიცნობდა. მადლობა ღმერთს, მათხოვრებად არ ვქეულვართ და თავი ასე თუ ისე გაგვაქვს, მაგრამ ისე ხელგაშლილად ვეღარ ვცხოვრობთ, როგორც აქამდე. პატარა სამსახური მეც ვიშოვე, პურის და სიგარეტის ფული მრჩება, მაგრამ გადასაყრელი ნამდვილად არ მაქვს. მამაჩემის ამბავმა რადიკალურად შემცვალა და ჩემში ბევრი რამის გადაფასება მოხდა.

***— მამა ახლაც გესაუბრებათ მეგობრებზე?***

— არა. ამ ბოლო დროს მათზე საერთოდ აღარ ვსაუბრობთ. როგორც ჩანს, მამაჩემი კმაყოფილია, თვითონ ცხოვრებამ დამანახა, ვინ ვინ არის რეალურად და ვინ არის ჩემი მეგობარი. დღეს ჩემი მეგობრებიდან არც ერთი აღარ მოდის და აღარც მნახულობს. თავიდან ეს ძალიან მწყინდა. ერთი ორს დავურეკე კიდეც და გავლანძღე, ეგ არის თქვენი კაცობა-მეთქი, მაგრამ თავი გაიმართლეს, ქალაქში არ ვიყავით, ავად ვიყავით, არ გვეცალა და ა.შ. მათი მიზეზები არ დაილია. რამდენიმე მეგობარს სოლიდური თანხა ვასესხე, როცა მისი დაბრუნება მოვითხოვე, აქეთ გამამტყუნეს, არ გრცხვენია, მეგობრებს ფულს სთხოვო? კიდევ იქით გამოვედი არასწორი. ბოლოს გადავწყვიტე მათთვის საერთოდ დამენებებინა თავი. მივხვდი, რომ მათ ჩემთან მეგობრობა მხოლოდ ჩემი ფულის გამო სურდათ. ოჯახურმა პრობლემამ თვალი ამიხილა და ჭეშმარიტება დამანახა. მართალია ეს მამაჩემის ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე მოხდა, მაგრამ მთავარია, რომ ახლა მამა კარგად არის და მაქსიმალურად ვცდილობ, ნერვები არ მოვუშალო.

***— ძველი მეგობრებიდან არავინ შემოგრჩათ?***

— თქვენ წარმოიდგინეთ და არავინ. გვერდით ის ადამიანები დამიდგნენ, ვისაც უბრალოდ ვესალმებოდი და მათ მეგობრებადაც კი არ ვთვლიდი. ყველაფერს გვიან მივხვდი, მაგრამ გამოსწორება არც ახლაა გვიან. იმედს არ ვკარგავ, რომ მალე ისევ გავიმართებით წელში და ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული. ჩემს ყოფილ მეგობრებს არ ვეჯიბრები, მაგრამ მინდა დავუმტკიცო, რომ ძალიან შეცდნენ, როცა ჩემში მარტო სარგებელი ნახეს და ასე უნამუსოდ გამომიყენეს.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

### sfdbcnrbdbkbclhjc

თუ თავის ტკივილი შემოგეჩვიათ, ეცადეთ ძილის წინ დიდხანს იაროთ სუფთა ჰაერზე. მიიღეთ პოზიტიური ემოციები, განიტვირთეთ. თავის ტკივილისთვის კარგია მარწყვის ფოთლების, კრაზანას, პიტნის, ვალერიანის ძირების ან გვირილის ნაყენი. ნაყენის მოსამზადებლად დაგჭირდებათ ერთი კოვზი ვალერიანა, პიტნა, კრაზანა, მარწყვის ფოთლები. ამ ყველაფერს დაუმატეთ გვირილისა და კალენდულას მშრალი ყვავილები. დაასხით ერთი ლიტრი ადუღებული წყალი, რამდენიმე წუთით შემოდგით ცეცხლზე. როცა გაცივდება, გადაწურეთ და ისე მიიღეთ.

### ubylfsb.jskfvfpb0

თუ გინდათ ლამაზად და მოხდენილად გამოიყურებოდეთ, უარი თქვით ყველანაირ ძვირადღირებულ კოსმეტიკურ საშუალებებზე და ხალხური რჩევები გაითვალისწინეთ. აი, რამდენიმე მათგანი:

1. წვრილად დაჭერით ახალი კიტრი, ჩადეთ ბოთლში და დაასხით არაყი. ორი კვირის განმავლობაში გააჩერეთ მზეზე. ორი კვირის შემდეგ დილა-საღამოს გამოიყენეთ, როგორც სახის გამწმენდი საშუალება. ეს ნაყენი თქვენს კანს უფრო ნაზს გახდის.

2. ერთი უმი კვერცხის გული აურიეთ ერთ ჩაის კოვზ თაფლსა და ამდენივე რაოდენობის გლიცერინში. ყველაფერი ერთმანეთს კარგად შეურიეთ. მიღებული მასა წაისვით სახეზე და გაიჩერეთ მაქსიმუმ ორი საათით. ჩამოიბანეთ წყლით. სახეზე მაშინვე იგრძნობთ სიმსუბუქეს. თუ ამ ნიღაბს დიდხანს იხმართ, გასწორდება ნაოჭები. თუკი ნიღაბი დაგრჩათ, ნუ მოისვრით სანაგვეში, მოათავსეთ სიცივეში და ეს ნიღაბი კვირაში ორჯერ გამოიყენეთ.



3. გაზაფხულზე კანს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სჭირდება. ნუ დაინანებთ თქვენი სილამაზისთვის არაჟანს, რძეს. დაიდეთ სახეზე კიტრის, კარტოფილის ნაჭრები.

### sesvfuwdbdfs

თმის ცვენა საკმაოდ აქტუალური პრობლემაა. ამისთვის მრავალი ხერხი არსებობს. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

ერთი წილი არაყი შეურიეთ ოთხ წილ ხახვის წვენსა და ექვსი ძირი თალგამის ძირების ნახარშს. ნარევი შეიზილეთ თმის ძირებში. თუკი ამ პროცედურებს ხშირად გაიმეორებთ, თქვენი თმა კიდევ უფრო მეტ ბზინვარებას შეიძენს, თმის ცვენაც შეგიჩერდებათ და მალე გაიზრდება.

კარგად ათქვეფილ კვერცხს დაამატეთ ცოტაოდენი წყალი და თავი ასე დაიბანეთ. ეს ნარევი თმის პრობლემების მოგვარებას უწყობს ხელს.

### kfmt,bcfl tpt

სახეზე გაჩენილი ლაქები არაერთი ქალბატონის მთავარი სატკივარია. იმისათვის, რომ ლაქებისგან განთავისუფლდეთ, არსებობს სამი რეალური საშუალება.

1. ერთი კოვზი წყალბადის ზეჟანგი და ორი წვეთი ნიშადურის სპირტი აურიეთ ერთმანეთში. მიღებული მასა სწრაფად და თანაბარი რაოდენობით წაისვით სახეზე; როგორც კი იგრძნობთ, რომ სახე გეწიწკნებათ, მაშინვე ჩამოიბანეთ.

2. ერთ კოვზ ღვინის სპირტს დაასხით სამი კოვზი ცხელი რძე. მიღებული მასა სახეზე წაისვით ღამით. გაიმეორეთ რამდენიმე დღის განმავლობაში და თქვენი სახის კანი ლაქებისგან თანდათან გათავისუფლდება.

3. ძილის წინ გაიწმინდეთ სახის კანი ახალი ზეთისხილის ზეთით ან კარგად დაწმენდილი მზესუმზირის ზეთით.

### ufbovbyltsjhufybpvb

ტკბილეულის, ცხიმებისა და ხორცის ჭარბი რაოდენობით მიღების გამო, ადამიანს მრავალი დაავადება აწუხებს. კუჭი იტვირთება და არ შეუძლია იმდენი საჭმელი მოინელოს, რამდენსაც ჩვენ მივირთმევთ. ბევრი ცხიმი და ტკბილეულობა ადამიანის კუჭ-ნაწლავს, ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს, თირკმელებსა და კუჭქვეშა ჯირკვალს პრობლემებს უქმნის.

მედიკოსები გვირჩევენ, რომ ეტაპობრივად მოვახდინოთ ორგანიზმის გაწმენდა. სანამ მედიკამენტური ჩარევა დაგჭირდებოდეთ, სცადეთ გაიწმინდოთ ორგანიზმი. ყველაზე მარტივი და ყველაზე სასიამოვნო წვენები და წყალია. დილით უზმოზე დალიეთ ერთი ჭიქა წვენი, რომელშიც შერეული იქნება წყალიც. უმჯობესია ორგანიზმის გაწმენდა დაიწყოთ ორი ცალი ლიმონის წვენით. შემდეგ კი მიიღეთ წყლიანი ვაშლის, სტაფილოს, ჭარხლის წვენები. თუკი მეორე დღეს თავს მხნედ იგრძნობთ, არ მიირთვათ საკვები. თუ თავბრუსხვევა და სისუსტე იგრძენით, დაიწყეთ ჭამა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ მარილიანი, შემწვარი, ცხიმიანი და ტკბილი. თუკი ამ მეთოდით ორგანიზმს გაიწმენდთ, მთელს სხეულში სასიამოვნო სიმსუბუქეს იგრძნობთ.

### rfvbccbrtst



კამა ქრონიკული გულის უკმარისობის დროს პირველი მშველელია. იგი სტენოკარდიული შეტევების პროფილაქტიკის, ასევე ნაწლავებში სპაზმების თუ ტკივილების მოხსნისთვისაც გამოიყენება.

მასში დიდი რაოდენობით არსებული ასკორბინის მჟავა და რკინის მარილები შეუცვლელია სისხლნაკლულობით დაავადებულთათვის. მისი ნახარში გამოიყენება ჰიპერტონიის საწყისი ფორმების მკურნალობისთვის, ის აქვეითებს არტერიულ წნევას სისხლძარღვების გაფართოების ხარჯზე. ამ მცენარის კალიუმის მარილები აწესრიგებს გულის შეცვლილ რითმს, აძლიერებს დაღლილი გულის მუშაობას.

კამის თესლი აუმჯობესებს მადას, აძლიერებს კუჭის ჯირკვლებს, ზრდის ნაღვლის გამოყოფას, ხსნის ნაწლავის შებერილობას. იგი სხვა სამკურნალო მცენარეებთან კომბინაციისას გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ.

თუ თქვენ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ერთი ჩაის კოვზი გამხმარი კამის ბალახის ფხვნილს მიიღებთ, ის შეუცვლელია, როგორც ძილისმომგვრელი და დამაწყნარებელი საშუალება.

კამა ყველაზე ხშირად გავრცელებულია, როგორც ჩვილებში ნაწლავების შებერილობისა და სპაზმა-ტკივილების მომხსნელი საშუალება. კამის ნაყენი ასე მზადდება: ერთ სუფრის კოვზ კამის თესლს დაასხით ერთი ჭიქა ადუღებული წყალი. ბავშვებს მიეცით 1-2 კოვზი ჭამის წინ დღეში ორჯერ.

### !) jmhjcotcblbl[ fyc cbwjw[ kbcsdbc

ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ათი ოქროს წესი, რომელიც ნებისმიერ ადამიანს დიდხანს სიცოცხლეში, სიბერემდე ფორმაში ყოფნასა და ახალგაზრდული სულის შენარჩუნებაში დაეხმარება:

1. ნუ ჭამთ ზედმეტს! რაც უფრო მსხვილია ტორსი, მით მოკლეა თქვენი სიცოცხლე!
2. დაწექით დასაძინებლად მშიერი კუჭით — უფრო მხნედ გაიღვიძებთ!
3. ასაკთან და დაავადებებთან ერთად ზომიერი გახადეთ თქვენი სურვილები!
4. არც ერთი საკვების მიღება ბოსტნეულის გარეშე!
5. დილას შეეგებეთ ღიმილით და მოძრაობით!
6. საღამო გააცილეთ გასეირნებით!
7. ძილის წინ იფიქრეთ განვლილი დღის კეთილ საქმეებზე, არც ის დაგავიწყდეთ, დაგეგმოთ, რას გააკეთებთ ხვალ!
8. იყავით ყოველთვის მოხდენილი და სულიერად ახალგაზრდა!
9. ნუ ეცდებით საქმის დროს გამოწუროთ ყველაფერი საკუთარი თავიდან!
10. გიყვარდეთ სიცოცხლე და ყველაფერი კარგად იქნება!

### tccfcfhut,kjf

პური არ დაობდება და არ გახმება რამდენიმე დღე თუ პოლიეთილენის პარკში ჩადებულს მაცივარში შეინახავთ.

დალაქული ვერცხლის ნივთები კარგად იწმინდება გაცხელებულ ძმარში.

თუ გინადთ ხახვის დაჭრისას თვალები არ დაგეწვათ, დანა წინასწარ ცივ წყალში დაასველეთ.

ჭარხალი ფერს არ დაკარგავს თუ ხარშვისას ძმარს დაუმატებთ.

თუ დაჭრილ ბოსტნეულს დიდხანს გააჩერებთ სინათლეზე, ის გემოს დაკარგავს.

ძეხვს ობი არ გაუჩნდება, თუკი მას მარილიან წყალში ამოავლებთ.

გამხმარი ყველი დარბილდება, თუ მას რძეში ჩადებთ.

რძე არ მიიწვება, თუ ქვაბს ცივ წყალს მოვავლებთ.

დაფნის ფოთოლი კარადაში სინესტეს მოსპობს.

მაცივარში უსიამოვნო სუნს ხახვის პატარა ნაჭერი მოსპობს.

# უსინათლო მამაკაცს მხედველობა გარდაცვლილი ცოლის პორტრეტის კოცნის შემდეგ დაუბრუნდა

ბრიტანელ უსინათლო პენსიონერს, ექიმების პროგნოზების მიუხედავად, სრულიად მოულოდნელად მხედველობა დაუბრუნდა — გარდაცვლილი მეუღლის პორტრეტს აკოცა.



76 წლის ჯორჯ ჰადსპეთს ათი წლის წინ მაკულარული დეგენერაციის გამო მხედველობა დაუქვეითდა. აღსანიშნავია, რომ იმავე დაავადებამ მისი მამა და დაც დააბრმავა. ერთი წლის წინ პენსიონერი სრულიად დაბრმავდა.

კოცნის უჩვეულო ეფექტმა ისე ააღელვა მამაკაცი, რომ ღამე ვერ დაიძინა და დილის ხუთ საათამდე ტელევიზორს უყურებდა. ექიმებს მისი უცნაური განკურნების ახსნა არ შეუძლიათ და ვარაუდობენ, რომ მას დიაგნოზი არასწორად დაუსვეს.

ამჟამად პენსიონერის მხედველობა ნორმალურია.

მაკულარული დეგენერაცია თვალის ბადურის ქრონიკულ დისტროფიულ პროცესს წარმოადგენს. სიბრმავის გამომწვევ დაავადებებს შორის იგი პირველ ადგილზე იმყოფება. დაავადების გამომწვევი მიზეზები ბოლომდე ცნობილი არ არის, მაგრამ, ექიმების ვარაუდით, მისი განვითარება განპირობებული შეიძლება იყოს მემკვიდრეობითი მიდრეკილებით, ათეროსკლეროზით, არტერიული ჰიპერტენზიით, თამბაქოსა და ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარებით, ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებით, ცუდი კვებით.

**გ.თ.**

# ტექსასელი მილიარდერი აშშ-ის მთავრობას 7.2 მილიარდს ედავება



ტექსასელი მილიარდერი, ალენ სტენფორდი, აშშ-ის სახელმწიფო ორგანოებს, რომლებსაც იგი მისი კონსტიტუციური უფლებების შელახვის ბრალდებებს უყენებს, სასამართლოში უჩივის და კომპენსაციის სახით 7.2 მილიარდ დოლარს მოითხოვს.

ამ საქმეში მოპასუხეების როლში გამოდიან აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია და გამოძიების ფედერალური ბიურო. სარჩელში ნათქვამია, რომ ამ ინსტიტუტების მოსამსახურეებმა სტენფორდის ფინანსური პირამიდის საქმის გამოძიების დროს უკანონო მეთოდები გამოიყენეს.

როგორც ხელისუფლები ამტკიცებენ, აღნიშნული ფინანსური სქემის საშუალებით სტენფორდმა ანტიგუაში რეგისტრირებული ბანკის „სტენფორდ ინთერნეიშნლის“ საშუალებით ინვესტორების კუთვნილი 7 მილიარდი დოლარი მიითვისა. სტენფორდს თაღლითობის, მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის შეთქმულების ბრალდებები წაუყენეს.

სტენფორდი თავს დამნაშავედ არ ცნობს და ბრალდებებს უარყოფს.

მიმდინარე წლის იანვარში მოსამართლე დევიდ ჰითნერმა დაადგინა, რომ სტენფორდს სასამართლოს წინაშე წარდგომა არ შეუძლია, რადგან მიმდინარე მომენტისათვის საკუთარ ადვოკატთან თანამშრომლობისათვის აუცილებელი გონებრივი შესაძლებლობები არ გააჩნია.

ალენ სტენფორდი 2009 წლის ივნისში დააკავეს. თავის დროზე დიდ ბრიტანეთსა და კარიბის კუნძულებზე მან თავი გამოიჩინა, როგორც კრიკეტის მეტად გულუხვმა სპონსორმა.

კერძოდ, 2008 წელს მან ანგიტუაში დიდი ბრიტანეთისა და გუნდის „სტენფორდის ყველა ვარსკვლავის“ შეხვედრის ორგანიზებისათვის 20 მილიონი დოლარი გადაიხადა.

**გ.თ.**


## განცხადებები

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის!იმპოტენციის,პროსტატიტის,ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბიზნესზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**


# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნინო ჯამარჯაშვილი, შვილები ალეკო, სოფო, დები ნათელა, სონია პეტრიაშვილები, რძალი თამუნა თათარიშვილი, სიძე გიორგი ქევხიშვილი, შვილიშვილები გიორგი, თემო, ქეთო, ნუკა, ნიკო, დისშვილები ლაშა, ფატი შარაშენიძეები, ცოლისძმები ვაჟა, აჩიკო ჯამარჯაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თემო პეტრიაშვილი**

პანაშვიდი: 19 თებერვალს.
დაკრძალვა: 20 თებერვალს, 14 საათზე.
მისამართი: იოსებიძის ქუჩა №53.

---

დოდო გურჯია, ქეთევან თათრიშვილი და მურად ცხოვრებაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თემო პეტრიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები მერაბ თევზაძე, რამაზ ანთაძე, იური ცოტაძე, გივი კეკელიძე, ზაზა ჯანაშია, ვასიკო ბოყოჩაძე, გერმანე მეძმარიაშვილი, გურამ ნარიმანაშვილი, ავთო მჭედლიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თემო პეტრიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

---



**სტავროს ტულუშის გახსენება**

24 თებერვალს 40 დღე სრულდება ბატონი სტავროს გარდაცვალებიდან. ვერ გადმოგცემთ იმ მწუხარებას, რაც თითოეულმა ჩვენგანმა განვიცადეთ, მაგრამ გვამშვიდებს ის, რომ დატოვეთ კარგი ოჯახი, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. დაუღალავი შრომით, კაცური კაცის სახელით იცხოვრე, ამიტომ გაგყვა ამდენი ხალხის ცრემლი და სიყვარული.

ნათელში გამყოფოს უფალმა!

*მ ახალი ლამარა ჩხარტიშვილი*

---

ნინელი კუხალაშვილი და რომულ ჯიქია შვილებითა და შვილიშვილებით თანავუგრძნობთ მწუხარებაში დალი, ნანი, მარინა, მედიკო კუხალაშვილებს და მათ ოჯახებს საყვარელი დედის, შესანიშნავი პიროვნების, ქალბატონ

**ეთერ ცხაკაია-კუხალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---



ნაყოფიების საგვარეულო ღრმა მწუხარებით იუწყება

**ვანო (ვანიჩკა) ვერდემის ძე ნაყოფიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**




ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.


# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 2. კუთხე საქართველოში; 3. ჩაის მწარმოებელი ინგლისური ფირმა; 5. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 7. მგალობელი ჩიტი; 9. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 13. ცხელი ქარი; 15. პოპულარული ზამთრის კურორტი შვეიცარიაში; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 18. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

**თარაზულად:** 4. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 6. უბანი ქუთაისში; 8. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 10. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 11. რაიონული ცენტრი იმერეთში; 12. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 14. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 17. წყვილად აჭრილი ყურძნის რქა; 19. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 20. მძლავრი შეიარაღების მქონე დიდი, სწრაფმავალი სამხედრო გემი; 21. ოპტიკური მინების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 20. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 23. ეგვიპტელი ქრისტიანები.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბაჯაღლო; 2. ალუვი; 3. გეოლოგია; 4. ფანტომი; 5. საწნახელი; 9. ბრაილი; 12. პლაფონი; 14. პაგოდა; 15. ტენი; 17. ვერძი; 18. ანსა.

**თარაზულად:** 6. შატილი; 7. კეჭნაობა; 8. ზანავი; 10. კოშმა; 11. მონოგრაფია; 13. ეპისტოლე; 16. ალიევი; 19. ნიკოლაძე; 20. საქსონია.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რეზორმა; 2. ტრანზიტი; 3. აზურიტი; 5. კომბაინი; 7. ეგოიზმი; 9. დეპორტივო; 13. ფაქტორი; 15. ეროზია; 16. სოსელო; 18. გრილი.

**თარაზულად:** 4. ბედეკერი; 6. შარტრეზი; 8. პოტამოლოგია; 10. ფაიზერი; 11. პატი; 12. ამპერი; 14. ლექსი; 17. ატილა; 19. მონდი; 20. კემპინგი; 21. ოქრო; 22. ბანდეროლი; 23. ფილიპსი.

# ირაკლი ჩარკვიანი ჩემთვის მარტო ქმარი არ იყო

ეკა ირემაშვილი

## როგორია ცხოვრება მის გარეშე

**24 თებერვალს ირაკლი ჩარკვიანის გარდაცვალებიდან 5 წელი სრულდება. ამ დღესთან დაკავშირებით, ხელახლა გამოიცემა „მეფის“ ლექსების კრებული, რომელიც გაიყიდება ლიტერატურულ კაფეებსა და წიგნების მაღაზიებში, სადაც „მეფის“ ხსოვნის პატივსაცემად, მთელი დღის განმავლობაში მისი სიმღერები იქნება ჩართული. ამჯერად ქეთათო და ირაკლის მეგობრები არ გეგმავენ კონცერტის ჩატარებას. თუმცა მომღერლის მეუღლე არ მალავს, რომ ძალიან საინტერესო და კარგი პროგრამა აქვს, რომელსაც ფინანსური მხარდამჭერი სჭირდება.**



უკვე რამდენიმე წელია, ქეთათომ ერთადერთი შვილი ნანა მამამთილს — გელა ჩარკვიანს ლონდონში გააყოლა. როგორც ამბობს, გელა მის შვილს ყველანაირ პირობას უქმნის იმისთვის, რომ ბავშვმა სწორი განათლება და აღზრდა მიიღოს.

როგორია ირაკლის გარეშე გატარებული ხუთი წელი, რას ფიქრობს ოჯახის შექმნაზე, როგორ ძლებს შვილისგან შორს და რატომ არ უყვარს „მეფის“ საფლავზე სიარული, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ირაკლი ჩარკვიანის მეუღლე **ქეთათო** ესაუბრა:

***— ქეთათო, რას უმზადებთ ირაკლის თაყვანისმცემლებს 24 თებერვალს?***

— 24 თებერვალს 5 წელი სრულდება ირაკლის გარდაცვალებიდან. ამ დღესთან დაკავშირებით ხელახლა გამოიცემა მისი ლექსების კრებული, რომელშიც ირაკლის ინგლისურენოვანი ლექსებიც შევა. ამ დღეს წიგნის ყველა მთავარ მაღაზიაში, გაიყიდება ირაკლის ლექსების კრებული და იქნება ჩართული „მეფის“ მუსიკა.

***— მოთხოვნა ირაკლის შემოქმედებაზე ისევ დიდია?***

— კი, მოთხოვნა დიდია, მაგრამ შესაბამისად არ არის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული — უამრავი უცხოელი ინტერესდება ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედებით, მაგრამ ყოველთვის არ არის ხოლმე გაყიდვაში სიდიები. ეს მოგვარებადია, ვგეგმავ ყველა ალბომის თავმოყრას და გამოშვებას.

***— მისი სიმღერების ერთად შეკრებას აპირებთ?***

— რა თქმა უნდა. მომავალში ვაპირებ ირაკლის სიმღერები ერთ დისკად გამოვცე. ირაკლის შემოქმედება ბევრს უყვარს და ბევრიც იწერს ინტერნეტიდან, სადაც არალეგალურად დევს ესა თუ ის სიმღერა, მაგრამ მინდა გამოვცე ირაკლის ყველა ალბომი, სადაც ხარისხი იქნება მაქსიმალურად მაღალი და მსმენელს მიეცემა საშუალება მოისმინოს სხვადასხვა დროის ჰიტები. სხვა თუ არაფერი, უცხოელები ჩამოდიან, რომლებსაც უნდათ საქართველოდან წაიღონ როგორც ფოლკლორი, აგრეთვე თანამედროვე ქართული მუსიკა, არა მდარე ხარისხის ბაზრობის რეპერტუარი, არამედ ისეთი, სადაც ასახულია თანამედროვე ქართული სული და ამავდროულად მულტიკულტურულია.

***— 24 თებერვალი ცოცხალი მუსიკის დღედ გამოაცხადეთ...***

— საერთოდ მიმაჩნია, რომ მუსიკა უნდა იყოს ცოცხალი და პირადად ჩემთვის მუსიკა ყოველთვის ცოცხალია. სად აღებენ აკვარიუმის თევზებივით პირს ფონოგრამაზე და სად არ მღერიან ცოცხლად? დარჩნენ კი ასეთები?!.. ცოცხალი ცოცხალია და მკვდარი მკვდარია, ამიტომ ამაზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს.

***— კონცერტს არ გეგმავთ?***

— 24-ში კონცერტის ჩატარებას არ ვაპირებ. კონცერტს, რა თქმა უნდა, სჭირდება ფინანსური მხარდაჭერა, მუსიკოსებმა უნდა იმუშაონ, რეპეტიციებია საჭირო, არენდაა გადასახდელი, ყველაფერს ხარისხიანს თანხა სჭირდება. მხარდაჭერა თუ არ იქნა, ისე არაფერი გაკეთდება. კარგი პროდიუსინგის გარეშე კონცერტის ჩატარება შეუძლებელია. მაქვს ძალიან საინტერესო პროექტები, შედგენილია პროგრამა. დადგება დრო და ამ პროგრამას წარვადგენ.

***— ირაკლის გარდაცვალებიდან უკვე 5 წელი გავიდა. რომ ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მართალია?***

— გააჩნია რა კუთხით შევხედავთ ამას. საყვარელი ადამიანის დაკარგვა უდიდესი ტრამვაა, ისეთი, რომ წლების მერეც აისახება ჩვენს ცნობიერებაზე. გიწევს ხელახლა გაიცნო საკუთარი თავი, ოღონდ მის გარეშე. ამისათვის რეალობასთან თვალის გასწორებაა საჭირო და იმის დაჯერება, რომ ის აქ აღარ არის, რაც სათქმელად ადვილია, მაგრამ შესასრულებლად — რთული. საკუთარ თავს ეცნობი, ეჩვევი. გიხარია, გწყინს, ოღონდ უკვე მის გარეშე. ამისთვის შენს თავზე გიწევს მუშაობა.

***— როგორი იყო ეს ხუთი წელი ირაკლის გარეშე?***

— ძალიან მრავალფეროვანი იყო. ცხოვრება გრძელდება, ყოველი დღე განსხვავებულია, მით უმეტეს, თუ დღიურს წერ, ჩანაწერებს თუ თვალს გადაავლებ, აღმოაჩენ, რომ ცხოვრება საკმაოდ ცვალებადია. ადამიანს ყოველდღიურობაში ეჩვენება ცხოვრება ნაცრისფერი. ამ ხუთი წლის განმავლობაში ხან ვმუშაობდი სხვადასხვა ორგანიზაციაში, ხან არა, ვეცნობოდი ახალ ადამიანებს, ზოგს დავუახლოვდი, ზოგი დარჩა უბრალო ნაცნობად. ადამიანები მიდიან, მოდიან, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ემთხვევა თქვენი ინტერესები ერთმანეთს.



***— უფრო სახლში გინდათ ყოფნა?***

— გააჩნია. მთლიანობაში ამ ხუთ წელს რომ გადავხედო, საინტერესო ცხოვრება მქონდა. მძაფრი როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური იმპულსებით. საკუთარი თავი ადამიანმა არ უნდა დაითრგუნო და ჩარჩოებში არ უნდა მოექცე. საზოგადოებას არ ვგულისხმობ, რადგან ვთვლი, რომ სუსტი ინდივიდების გამოუსწორებელი ჩვევაა, საკუთარი თვითდაუჯერებლობის საზოგადოებაზე გადაბრალება. უნდა აკონტროლო ის, თუ რამდენი ინფორმაციის მიღება შეგიძლია, რამდენის — გაცემა, გარემოსგან რას ელი. ურთიერთობის კულტურას რომ ჩამოაყალიბებ, უკვე პრობლემებიც აღარ გექმნება. საკუთარი თავის დოზირება უნდა ისწავლო ადამიანმა. როგორ გაიღვიძებ, როგორ დაიძინებ, რაზე იფიქრებ, ვის შეხვდები — ყველაფერი მნიშვნელოვანია, რადგან ამ კონპონენტებისგან შედგები შენ! ასე რომ, ცხოვრებისადმი ცნობიერი მიდგომა ცხოვრებას საინტერესოს ხდის. ზოგჯერ სახლში მშვიდად ყოფნა და გარემოსთან მინიმალური კონტაქტი მიქმნის კომფორტს. ამ დროს თვითგამორკვევით, შემეცნებით ვარ დაკავებული და ყოველგვარი გარე ინფორმაციის მიღება და ადამიანებთან ურთიერთობა მინიმუმამდე მაქვს დაყვანილი, ხან საკმაოდ ექსტრავერტული და ენერგიული პერიოდია — როდესაც ვხვდები უამრავ ადამიანს, ვაგვარებ ათას საქმეს დღის განმავლობაში.

***— საზოგადოების აზრი თუ გაინტერესებთ?***

— საზოგადოება აბსტრაქტული ცნებაა! ამიტომ მისთვის ანგარიშის გაწევას, ყოველთვის ვამჯობინებ საკუთარ თავთან არ წავიდე კომპრომისზე და ვიყო მართალი.

***— როცა ცნობადი ხართ?***

— ცნობადობა ნიშნავს პასუხისმგებლობის გაორმაგებას.

***— ეს განსაკუთრებულ ჩარჩოებში არ გაქცევთ?***

— რა ჩარჩოებში უნდა მომაქციოს? მთავარია ისეთი რამ არ გავაკეთო, რაც საკუთარ თავთან შემიქმნის დისკომფორტს. ზრდასრული ადამიანი ვარ და რასაც ვაკეთებ, პასუხისმგებლობასაც ვიღებ საკუთარ თავზე.

***— ირაკლის შემოქმედებას ხშირად კითხულობთ?***

— მქონდა პერიოდი, როცა ზე-აქტიურად ვკითხულობდი. მისი რომანი სანამ გამოქვეყნდა და დაიბეჭდა, სამჯერ-ოთხჯერ გადავიკითხე, კორექტურაც გავუკეთე. როცა ეს რომანი გამოიცა, ირაკლი უკვე აღარ იყო ცოცხალი. მერე ვკითხულობდი შუიდან, ბოლოდან, თავიდან. მთელი დღეები ამაში ვიყავი ჩართული. ირაკლის შემოქმედება იმდენად მიზიდავს თავისკენ, როგორც მორევი, ისე მითრევს. ამ ეტაპზე უფრო მის ლექსებს ვკითხულობ. მეფის მუსიკა იქნება ეს თუ ნაწერები, დამოკიდებულება არ გაგიჩინოს, შეუძლებელია. ეს არაერთ ჩემთვის ავტორიტეტულ ადამიანს აღუნიშნავს საუბარში და მეც არ ვარ გამონაკლისი ამ კუთხით.

***— მის მიმართ დამოკიდებულება გიჩნდებათ როგორც ირაკლი ჩარკვიანის თუ როგორც მეუღლის?***

— ირაკლი არ იყო უბრალოდ პარტნიორი, უბრალოდ ქმარი, უბრალოდ მამა, ან შვილი, ირაკლი იყო ერთდროულად ყველაფერი. მთელი ის განზომილება, რომელიც ირაკლიმ თავისი ხელოვნებით შექმნა და უკვე მისგან დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას, გთავაზობს არაამქვეყნიურ კომფორტს, არის საოცრად დახვეწილი, მაგრამ ამავდროულად „დაუნდობელი, როგორც ყოველი მართალი — დრო“ (ნაწყვეტი ირაკლის ლექსიდან). მის სამყაროში განზავებულს, თვალში გხვდება ყოველდღიურობის ულიმღამობა, ადამიანთა მისწრაფებების და სურვილების სიმარტივე, ამიტომ აქაც ზომიერებაა მნიშვნელოვანი, იმისთვის, რომ ხელოვნებისგან ოვერდოზი არ დაგემართოს და რეალობასთან დამაკავშირებელი ძაფი არ გაგიწყდეს.

***— როგორ იქცევით, როცა ირაკლი გენატრებათ, მიდიხართ საფლავზე, კითხულობთ მის შემოქმედებას თუ უსმენთ მის სიმღერას?***

— საფლავზე არ მივდივარ. ძალიან არ მიყვარს მის საფლავზე სიარული. ირაკლი ჩემთვის აქ არის, ის მიწასთან და საფლავთან არასოდეს არ ასოცირდება. მე მის სახლში ვცხოვრობ და ეს ყველაზე მყუდრო თავშესაფარია ჩემთვის. გული სულ აქეთ მომიწევს. როცა მენატრება, მუსიკას ვუსმენ, ლექსებს ვკითხულობ, ან ვმღერი მისთვის, მასზე.

***— თქვენ მეუღლის გვარზე არასოდეს გადასულხართ, ირაკლის გვარი რატომ მოგაწყენეს?***

— ჩემი გვარის ცოდნის აუცილებლობა არც არასოდეს ყოფილა, იმიტომ, რომ ვარ ქეთათო და მორჩა. ახლა შეიძლება ქეთინოებმა ქეთათოობა გადაწყვიტეს, მაგრამ დედაჩემის მიერაა მოგონილი ეს სახელი. ქეთათოს რომ ვიტყოდი, გვარის დამატება აუცილებელი აღარ იყო. მერე უკვე ჩარკვიანი გამხადეს. ირაკლიც მეტყოდა ხოლმე, გახდი ჩარკვიანიო.

***— ეს ხომ არ გწყინდათ?***

— არა. არც ვთვლიდი საჭიროდ, რომ გვარი უნდა შემეცვალა. ჩემი სახელი ქეთათო ძალიან ორიგინალურია და გვარის მიმატებას არც საჭიროებს. ჩემთვის ორგანულია ვიყო უბრალოდ ქეთათო, გვარის გარეშე, ან ქეთათო ჩარკვიანი, ან თუნდაც ქეთათო პოპიაშვილი.

***— ახლა რას საქმიანობთ, მუშაობთ?***

— არა, არც ერთ ორგანიზაციაში არ ვმუშაობ. ფრილენსერი ვარ. რაც ყველაზე ძალიან მიყვარს, ვაკეთებ იმას — მუსიკას, ვარ ჩემთვის. რა თქმა უნდა, უკეთესია, როდესაც გაქვს ყველა პირობა შექმნილი იმისთვის, რომ როცა საჭიროდ ჩათვლი, მსმენელს მიაწოდო სიმღერა, ჩაატარო კონცერტი, რაც უდიდესი სიამოვნებაა ხელოვანისთვის, რეალობა ზოგჯერ სხვაგვარია, მაგრამ ამასაც ეშველება ასე მგონია, თანაც სულ მალე.

***— როგორ ძლებთ თქვენი შვილის, ნანას გარეშე?***

— ნანა უკვე მეორე წელია ბაბუამისმა — გელა ჩარკვიანმა წაიყვანა ლონდონში. თავიდან მორალურად როცა ვამზადებდი ბავშვს, რომ ლონდონში უნდა გამეშვა, მეც განვიცდიდი და ისიც. როცა მასთან ჩავდივარ და იქიდან ვბრუნდები, აბსოლუტური დაკარგულობის შეგრძნება მაქვს. იგივე მემართება, როცა ბავშვი თბილისიდან ლონდონში მიდის. პირველი ორი კვირა, ჩემთვისაც და ნანასთვისაც რთულია ხოლმე.

***— შვილს ხშირად ნახულობთ?***

— ხშირად არა, მაგრამ ალბათ უახლოეს მომავალში წავალ.

***— ვინ არის ნანასთან?***

— ირაკლის მშობლები — ნანა და გელა. გელამ აიღო პატარა ნანა ჩარკვიანის აღზრდა-განათლების პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. ის არაჩვეულებრივი, საინტერესო ადამიანია და ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ ბაბუას და შვილიშვილს.

***— რამხელაა ახლა თქვენი ქალიშვილი?***

— შვიდი წლის არის, რვა წლის ხდება. ზოგჯერ რომ მეკითხებიან, ვიბნევი და თვლას ვიწყებ. რა სწრაფად გადის დრო...

***— ირაკლი დღეს რომ ცოცხალი იყოს...***

— ამ კითხვას ხშირად მისვამენ. ძალიან მიჭირს ამაზე პასუხის გაცემა. ახლა რასაც ვიტყვი, ამას არ ვამბობ როგორც ირაკლიზე შეყვარებული ადამიანი და როგორც ქეთათო, რომელმაც მას თავისი ცხოვრების წლები მიუძღვნა. როცა ადამიანი ეპოქას ქმნის, ის არასოდეს მიდის სიბერემდე. ეს კლასიკური სცენარია, ეპოქის შემქმნელი ადამიანები დიდხანს არ ცოცხლობენ, ისინი არ ბერდებიან და მოხუცებულობაში სკვერში ჯდომისას არ თბებიან მზის სხივებით.

***— დღევანდელობაში მისი ადგილი არ არის?***

— ისეთ კითხვას მისვამთ... არის კი დღეს ირაკლი ცოცხალი?

***— ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ, კიდევ გაბედავთ და შექმნით ოჯახს?***

— ოჯახის შექმნას გაბედვა არ უნდა, ოჯახის შექმნას სიყვარული სჭირდება. ამ კითხვისგანაც ძალიან დავიღალე. რა არის ამაში გასაბედი? სიყვარული თუ არის, ე.ი. ყველაფერია. შორს ვარ პრაგმატული მოსაზრებებისგან, მე არ ვარ ადამიანი, რომელიც უსიყვარულოდ შექმნის ოჯახს, თუ მეყვარება, მართლა მეყვარება. თუ არ მეყვარება, არც ოჯახი მინდა და არც არაფერი.

***— მაგრამ ირაკლიზე ისე ლაპარაკობთ...***

— მარტო მე კი არა, ასე ირაკლიზე ბევრი ლაპარკობს. ირაკლისნაირი ადამიანები არ გვხვდებიან ხშირად. მე მიყვარს ირაკლი, ხალხს უყვარს ირაკლი — „დრო, მხოლოდ სიყვარულს დაინდობს“...

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 19 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7699

ევრო —2,394

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8425

რუსული რუბლი — 0,0604

**ამინდის პროგნოზი 19 თებერვლისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2-6, ღამით — -1-2

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-16, ღამით — 6-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -3-1, ღამით — -14-9





## ქართული ფლორის საოცრება



## „სალხინო"

## უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


# მიშელ პლატინი: „მესი ნამდვილი ბრილიანტია"

ლეგენდარულმა ფრანგმა, უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ არგენტინაში ვიზიტისას იქაურ ჟურნალისტებთან ისაუბრა.

— *მესის პირისპირ ესაუბრეთ?*

— პირისპირ არა, თუმცა ბურთი ვაჩუქე. ის ბურთი, რომლითაც მან 2009 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს" გოლი გაუტანა. მესიმ კი მაისურზე ავტოგრაფი დამიტოვა — ეს უეფას გენერალური მდივნის თხოვნა იყო.

***— როგორ ფიქრობთ, მესი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელია?***

— ძნელია ამის თქმა. ლეო ჯერ ახალგაზრდაა და არ დაგვავიწყდეს, რომ ყველა თაობას თავისი იდეალი ფეხბურთელი ჰყავს. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ასე იყო რონალდინიოს გარშემო. როდესაც მან „ოქროს ბურთი" მოიგო, ყველა უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდა, ამიტომაც უნდა მოვითმინოთ და მოვლენებს წინ არ უნდა გავუსწროთ. როდესაც მე დიდ კლუბში სათამაშოდ მივედი, უკვე 28 წლის ვიყავი. ლეო კი უკვე დიდ კლუბშია და ჯერ 23 წლისაა.

— *ყველაზე მეტად მესიში რა მოგწონთ?*

— ყველაფერი. იცის გოლის გატანა და ისეთი დრიბლინგი აქვს, როგორც არავის. ლეო ძალიან ეფექტურია და პლუს, ბრწყინვალე ადამიანია. მას ყველაფერი აქვს და არ უნდა დაგვავიწყდეს, ფეხბურთელი დიდი ვერ გახდება, თუ უმაღლესი დონის კლუბში არ თამაშობს. ანუ, ლეო ნამდვილი ბრილიანტია.

***— ამბობენ, პლატინის ხავი უფრო მოსწონსო, ასეა?***

— დიახ. „ბარსელონაში" დიდი ფეხბურთელების მთელი კომპანიაა — ანდრეს ინიესტა, ხერარდ პიკე, კარლეს პუიოლი, დანი ალვეში... მაგრამ ჩემი აზრით, ხავი ყველაზე მეტად იმსახურებდა „ოქროს ბურთს", რადგან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და კიდევ, ხავის ალბათ აღარ ექნება წლის საუკეთესო ფეხბურთელობის შანსი. ვაღიარებ, გამოკითხვაში ჩემი ფავორიტი ხავი იყო და ეს მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესოებად



სხვებს მივიჩნევ — მესის და კრიშტიანუ რონალდუს.

***— ხოსეპ გვარდიოლას მუშაობას როგორ შეაფასებდით?***

— საოცარი შედეგი აქვს, რადგან ის ძალიან ძლიერი ფსიქოლოგია. გვარდიოლას სულაც არ სჭირდება იმაზე ფიქრი, თუ როგორ ასწავლოს ფეხბურთის თამაში მესის. სამაგიეროდ, უნერგავს მოგების სურვილს და უხსნის, როგორ უნდა მიაღწიოს უმაღლეს მიზნებს. სწორედ ესაა გვარდიოლას ამოცანა.

***— გვარდიოლა „ბარსასთვის" იდეალური სპეციალისტია?***

— თქვენს კითხვას რომ ვუპასუხო, ამისთვის საჭიროა, რომ მწვრთნელი „ბარსადან" გავუშვათ. მერე ვნახავდით, რას მიაღწევდა კლუბი გვარდიოლას გარეშე და რას მიაღწევდა გვარდიოლა „ბარსას" გარეშე.

# როდ სტიუარტს მერვე შვილი შეეძინა

66 წლის ბრიტანელ მუსიკოსს, როდ სტიუარტს, მერვე შვილი შეეძინა. მეუღლემ, პენი ლანკასტერმა, მას ვაჟიშვილი აჩუქა. ცოლ-ქმრის განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი აღელვებულები და ბედნიერები არიან ამ სიახლით. დედა და შვილი თავს კარგად გრძნობენ. ვაჟიშვილს სახელად ეიდენი დაარქვეს. იგი როდ სტიუარტისა და პენი ლანკასტერის მეორე შვილია. მათი პირველი ვაჟი, ალისტერი, ხუთი წლისაა.

როდ სტიუარტს დანარჩენი ექვსი შვილი სხვა ქალებთან ჰყავს. წყვილმა ბუნებრივი გზით ბავშვის ჩასახვა ვერ შეძლო, ამიტომ 39 წლის ლანკასტერმა ექსტრაკორპორალური განაყოფიერების პროცედურა გაიარა.



მანეკენი პენი ლანკასტერი როდ სტიუარტის მესამე მეუღლეა. მათ 2007 წელს იქორწინეს, ათწლიანი ერთობლივი თანაცხოვრების შემდეგ.

როდ სტიუარტს პირველ ცოლთან, ალანა ჰემილტონთან, ვაჟი და ქალი ჰყავს. 1987 წელს მოდელ კელი ემბერგთან სტიუარტს ქალიშვილი შეძინა.

მეორე ცოლთან, რეიჩელ ჰანტერთან, როდ სტიუარტს ორი ბავშვი ჰყავს. გარდა ამისა, სტიუარტს 1960-იან წლებში ქორწინების გარეშე ქალიშვილი, სარა, შეეძინა, რომელიც შემდეგ სხვა ოჯახმა იშვილა.

როდ სტიუარტმა პოპულარობა ანსამბლ „ჯეფ ბექ გროუფის" შემადგენლობაში მოიპოვა, თუმცა უფრო მეტი წარმატება მას სოლო კარიერამ მოუტანა.

**გ.თ.**

# ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწ

**19 თებერვალი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — მხოლოდ ის საქმე გააკეთეთ, რაც მოგწონთ. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს არ გადაიღალოთ. **სასწორი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **ღრიანკალი** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაცის თქმა სურს. **თხის რქა** — არ ღირს წარსულზე დარდი, აწყმოზე იფიქრეთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — თქვენი საქმე წინ მიდის, არ გაექცეთ პასუხისმგებლობას.

**20 თებერვალი — შემოქმედებითი დღეა.**

**ვერძი** — მშვენიერი დღეა, ბედი გწყალობთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ახალი პროექტი ამართლებს. **ლომი** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მშვილდოსანი** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **თხის რქა** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, პრობლემები არ გაქვთ. **თევზები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ტესტი

## რამდენად ორგანიზებულია თქვენი ცხოვრება



1. მოგწონთ მოულოდნელობები?
2. სახლი ყოველთვის დალაგებული გაქვთ?
3. თქვენზე უფრო ლოგიკა მოქმედებს, ვიდრე ემოციები?
4. იცით, ამ წუთას სად არის თქვენი პასპორტი?
5. ანდერძი დაწერილი გაქვთ?
6. დაწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიგყავთ?
7. ანგარიშს დროულად ისტუმრებთ?
8. პაემანზე, როგორც წესი, არ იგვიანებთ?
9. მანქანებთან მუშაობა გირჩევნიათ ადამიანებთან ურთიერთობას?

**პასუხები**

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

ა. თქვენი ცხოვრება არაორგანიზებულია, რაც ზოგჯერ პრობლემებს გიქმნით.

ბ. საკმაოდ კარგად ხართ ორგანიზებული, მაგრამ ხანდახან ქაოსში გადავარდნა გიყვართ.

გ. ძალიან პუნქტუალური, ზუსტი და აკურატული ადამიანი ხართ ყველაფერში.

# იუმორი



— აბა, შენი ხელწერის შესწავლის შემდეგ გრაფოლოგმა რა გითხრა?

— მითხრა, რომ ბოროტი და აგრესიული ვარ.

— შენ რა უთხარი?

— ტყუილებისათვის ცხვირ-პირი ამოვუნაყე...

* * *

— აღარ მახსოვს, ეწევი თუ თავი დაანებე?

— „არც დამიწყია" ჩვენს დროში ალბათ უცნაურად ჟღერს...

* * *

— კარგი ადვოკატი გჭირდებათ?

— კარგ მოსამართლეს ვამჯობინებდი...

* * *

— წავიკითხე ხელით დაწერილი განცხადება „ვყიდი პრინტერს" და შევფიქრიანდი...

* * *

— დიდი წარმატება ხვდა წილად ელექტრონულ სარკეს, თანდართული „ფოტოშოპით"...

* * *

წარწერა ვეფხვის გალიაზე:

„გალიაში თითს ნუ გაყოფთ, ჯარიმა — ერთი თითი".

* * *

— იცით, ბავშვის გაჩენა მინდა, ჩემს ქმარს კი არ უნდა, რა ვქნა?

— თქვენც ადექით და გააჩინეთ, თქვენი ქმარი კი ნუ გააჩენს...

* * *

— ამბობენ, მკერდის ზომა მემკვიდრეობით გადადისო. თუ ასეა, რატომაა, რომ მე პირველი მაქვს, დედას კი მეოთხე?

— ალბათ, მამის გენები გამოგყვა...

* * *

— შეიძინეთ მაჯის საათი, შვეიცარიული საათის ზუსტი ასლია.

— მომეცით. ინებეთ, ქართული ლარის ზუსტი ასლია.

# კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. აშშ-ს ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 3. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 4. უდაბნოში გავრცელებული მცენარე; 5. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ფილიპინების დედაქალაქი; 12. სატირული ხასიათის მიბაძვა; 14. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 15. ვულკანი სიცილიაში; 17. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 18. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა ბირჟაზე.

**თარაზულად:** 6. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 7. მწვანეთა და ეკოლოგთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 8. ქსოვილების, ფართლეულის ვაჭარი ძველად; 19. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 13. სასჯელი ქურდობისათვის ძველად საქართველოში; 15. არწივის ნაშიერი; 19. ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 20. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**